

ციბეხანი

№ 63 / 14-20 თებერვალი / 2011

გამართლებულია თუ არა 20-ლარიანი ვაუჩერების დარიგება? **33. 06**

ეკვიპტის პოლიტიკური პერსპექტივაები **33. 08**

ცენტრ პონდის „რჩეული“ პირამიდა **33. 26**

ვინ რას „ჩაღიჩობს“ KStreet-ზე? **33. 30**

როგორი ტურისტის სჭირდება საქართველოს? **33. 36**

ქართველები GOOGLE-ში **33. 39**

სიყვარულის ელემენტარული ნაწილაკები **33. 41**

ეკისტოლა პარლინალესგან **33. 48**

მზრუნველოგამოკლებული გუდაური **33. 50**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



ჩამ შეჯამ  
ბიზნესი?

DOING BUSINESS IN GEORGIA **33. 12-29**

**FM**  
**სენტი**  
**98.0**





ფოტო: რეიტინგ აგენციის / REUTERS

ხალხი ზეიმობს ჰოსნი მუბარაქის გადადგომას, კაირო, 11 თებერვალი 2011

**ნომერში:**

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
გამართლებულია თუ არა მთავრობის მიერ 20-ლარიანი ვაუჩერების დარიგება?  
**ვევიპტე**
- 08 პოლიტიკური პერსპექტივები  
**კონფლიქტები**
- 11 მოსკოვი - ბაღდადის დედაქალაქი  
**მთავარი თემა**
- 12 ბიზნესის კეთება ქართულად  
**ჟურნალისტური გამოძიება**
- 26 „რჩეული“ პირამიდა  
**პოლიტიკა**
- 30 ვინ რას „ჩალიჩობს“ K Street-ზე?

- 33 **თვალსაზრისი**  
„გადატვირთული“ ობამა  
**ტურიზმი**
- 36 როგორი ტურისტი სჭირდება საქართველოს?
- 39 **ინტერვიუ**  
ქართველები Google-ში დავით რაჭველიშვილი, გიორგი ლეკვეიშვილი  
**საზოგადოება**
- 41 სიყვარულის ელემენტარული ნაწილაკები
- 44 **ინტერვიუ**  
რა არის კერძო-სავაჭრო საქმიანობა?  
უილიამ ემიკი

- თვალსაზრისი**
- 46 დილა და საუზმე საქართველოში  
მარკ მალენი  
**ტექნოლოგიები**
- 47 ქართული კომპიუტერული თამაში „პოლიცია“ – შთაბეჭდილებები  
**კულტურა**
- 48 ეპისტოლე ბერლინალესგან
- 50 **თვალსაზრისი**  
უთოვლო, მზრუნველობამოკლებული გუდაური  
**სპორტი**
- 51 ინგლისი როცა მოიგებს  
**ქალაქში მონეტიალუ კაცის ჩანაწერები**
- 52 მარტივად და გასაგებად

**გარეკანზე:**  
რამ შეჭამა ბიზნესი?



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლა საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლა საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

უშუაგვრობით გაღალღიღნი



უმუშევრობა დღითიდღე მატულობს, იზრდება ფასები საარსებო საშუალებებზე და შესაბამისად იღვევა ადამიანების მოთმინება. ამ ქვეყანას აშენებს დღევანდელი ხელისუფლება.

სტუმარი

100% ანალოგიური სიტუაცია მქონდა მეც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მე 2 წელი ვეძებდი სამსახურს. ახლა დასაქმებული ვარ, თან საკმაოდ მაღალანაზღაურებად პოზიციაზე. მაგრამ ისევ ნეპოტიზმის „წყალობით“ დავსაქმდი. იმის თქმა მინდა, რომ განათლება აუცილებელია (!) და, ამასთან ერთად, პირადი კონტაქტებიც. ანას კი მინდა ვურჩიო, არ დანებდეს. წარმატებები ანა.

სტუმარი

17 %-იო? რატომღაც მგონია, რომ ბევრად მეტი იქნება უმუშევარი.

DreaMar

ქაოსი ქუჩაში

ამას წინათ ქუჩაში მივდიოდი და პატრულმა გამაჩერა, უმანქანოდ რატომ ხარო... :)

T.G.

არა მარტო თბილისში... ნახეთ, რას ჰგავს გორის ქუჩები! ჭავჭავაძის გამზირზე ტროტუარებს ნახევარზე მეტი ჩამოაჭრეს და ფასიანი ავტო-

სადგომები გამართეს. ორი კაცი ვერ გაივლის გვერდიგვერდ. გორელები ისედაც შუა ქუჩაში სიარულით გამოირჩევიან და ახლა კიდევ ეს გვინდოდა? ვერ გაივლი ტროტუარზე. ოღონდ რაიმე ახალი შემოსავლის წყარო გამოჩნხრიკოს ამ ხელისუფლებამ და ბიუჯეტი შეავსოს, ყველაფერს გაყიდოან.

სტუმარი

„ნუგეზის“ ჯიხუკაბთან რიბაზია



უცნაური დამთხვევაა არა? მერიამ გზის ნაპირას მდგომი ჯიხუკების 100% უკანონოდ გამოაცხადა და აიღო. მათ ადგილას კი „კანონიერი“ „ნუგეზი“ გამოჩნდა.

გიორგი

ჩემი აზრით, ფასები მართლა ზედმეტად არის გაბერილი... ისე, სურათზე გამოსახული ჯიხური ჩემს უბანშია და დღეს პირველად შევამჩნიე ხალხის რიგი, გმადლობთ, რომ ამისხენით, რაშიც ყოფილა საქმე...

გიორგი მღვივანი

არის თუ არა ხელოვნურად გაბერილი ფასები, ამას მალე გავიგებთ. ყველა შემთხვევაში, სხვა მალაზიებს მოუწევთ ფასის დაგდება კონკურენციის პირობებში, თუ ეს გააკეთეს, ესე იგი, შესაძლებელი ყოფილა ფასების დაწევა.

მარიამი

ძალიან მაინტერესებს და იქნებ „ლიბერალმა“ გაგვაგებინოს, მერიას თუ აქვს გაცემული ნებართვები ამ ჯიხურების ტროტუარებზე განსათავსებლად და რა კრიტერიუმები დააკმაყოფილა „ნუგეზის“ უსახურმა ჯიხურებმა ასეთი, რომ ადრე აღებულეს აჯობა. და კიდევ, უცნაურია, შეუფერხებლად როგორ მუშაობენ ეს ჯიხურები, თუ იქ ადამიანები ერთი კვირის სამყოფს ყიდულობენ. მათი ფართობი ხომ 2 კვადრატულიც არ იქნება.

სალომე

ყველაფერი ძალიან მარტივია, მერიამ ხელოვნურად შექმნა რალაც ადგილობრივ მასშტაბებზე გათვლილი მონოპოლის მსგავსი წარმონაქმნი damping price-ებით, ასეთი ნაბიჯი ნაკლებად ემსახურება ფასების დაწევას, უფრო პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებისკენ მიმართულ გეგმას ჰგავს, მიუხედავად იმისა, თუ რა ზარალი შეიძლება მიადგეთ ბაზრის თავისუფალ მოთამაშეებს.

soso

ტუნისი, ევროპა და საქართველო

არ შეიძლება ასე ზერულედ საუბარი. ევროპტეში ძალიან კომპლექსური სიტუაციაა. მუბარაქს ძალიან დიდი როლი მიუძღვის იმაში, რომ ახლო აღმოსავლეთში ბოლო 30 წლის მანძილზე, ასე თუ ისე, არსებობს მშვიდობა. ასევე იმაში, რომ იქ ისლამისტური ფუნდამენტალიზმი მოგერიებულია და სახელმწიფო პოლიტიკას არ განაგებენ მუსულმანთა საძმო და მისი მსგავსი ორგანიზაციები.

ზელიმხან იშმაილაშვილი

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე / შტაბის მენეჯერი: მათა ნიკოლაიძე, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭიჭინაძე, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიშაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი / კომპიუტერული: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდვა, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექუაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე / რედაქტორი: ფოტორედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ღონღაძე / ბაიოტექნოლოგია: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიტიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელა / ბაიოტექნოლოგია: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სხვა ბაიოტექნოლოგია: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი - ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბაიოტექნოლოგია: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი. www.liberali.ge

# მშვიდობით «Виа Гра»!

მარკა ქოჩიაშვილის ბლოგი

„თუ გინდათ, სომხურს დაგიკრავთ, ან აზერბაიჯანულს, რასაც გინდათ, იტალიურსაც უკრავენ ჩვენი მუსიკოსები, ოღონდ რუსულს აღარ“, – მითხრა ერთ-ერთი რესტორნის მფლობელმა, რომელსაც ვახშამს იმ შემთხვევაში შევუკვეთავდი, თუკი რუსულ მუსიკას დაუკრავდნენ.

მაინტერესებდა, მართლაც თავისუფლად შეეძლოთ თუ არა რესტორნების მეპატრონეებს რეპერტუარის შერჩევა, რადგან წინა დღით კულტურის მინისტრმა, ნიკოლოზ რურუამ ჩემთან ინტერვიუში განაცხადა: „ეგეთი კანონიერი აკრძალვა არ არსებობს, სისულელეა. კანონში ასეთი ფორმატი რაიმე ენობრივი კუთვნილების პროდუქციის აკრძალვა გამორიცხულია თავისუფალ ქვეყანაში და ეს არის მითი. მე, პირადად, სიამოვნებით არ მოვუფლებდი „დენ პაბედის“ 9 მაისს“.

„მაია მულატკა“, „ჟილანაია მაია“, „ლიტიტ ნაშ სამალიოტ“, „მარჯანჯა“ და კიდევ ბევრი სხვა რუსული „ხიტი“ თბილისის რესტორნებში თითქმის ერთი თვეა აღარ ისმის.

„რუსული არ იქნება, მაგრამ იქნება მისგავსებული, „ვაკა – ვაკა“ და რაღაც ეგეთები გვაქვს“.

„ცალკე დარბაზში დაგვამთ, თქვენთვის იქნებით. იქ დაგიკრავენ რუსულს. ეს მთავარი დარბაზი ძალიან ხმაურიანია და ვერ შეგპირდებით“.

მითხრეს კიდევ ორ დიდ რესტორანში, სადაც რუსული პოპ-მუსიკა სულ ცოტა ხნის წინ რეპერტუარის ნაწილი იყო და ცოცხლადაც სრულდებოდა, ახლა კი „აკრძალულია“.

კითხვაზე, თუ რატომ აღარ უკრავენ რუსულ ჰიტებს, როცა არანაირი ოფიციალური შეზღუდვა არ არსებობს, ერთ-ერთი დიდი რესტორნის მფლობელმა, რომელმაც იდენტიფიკაციისგან თავი შეიკავა, მითხრა:

„ფინანსურ სამსახურში დაგვიბარეს. გვითხრეს, რუსული მუსიკა აღარ დაუკრავთო. სიტყვიერი გაფრთხილება მოგვცეს



მხოლოდ. ვთხოვე, რომ დანერვილი ბრძანება მოეცათ. მთვრალი კაცი რომ შემოვა და მომთხოვს რუსული მუსიკა დამიკაროო, რა ვუთხრა?! ხალხი ძალიან უკმაყოფილოა, ამ აკრძალვის გამო“.

თითქმის იგივე მითხრა სხვა რესტორნების პერსონალმაც – მათი მეპატრონეები „ზემოთ“ დაიბარეს და თითი დაუქნიეს, ზოგმაც სხვისი თითის დაქნევა გაიზიარა და ზედმეტი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, თავის მუსიკოსებს რუსული სიმღერების დაკვრა აუკრძალა.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში ხელისუფლების მიერ მუსიკაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის შეზღუდვას მორალური, პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური მოტივებიც კი ჰქონია.

რიჰარდ ვაგნერის ანტისემიტური იდეებისა და იმ კავშირის გამო, რაც მას ნაცისტურ გერმანიასთან ჰქონდა, გერმანელი კომპოზიტორის მუსიკა ისრაელში, 2000 წლამდე აკრძალული იყო.

ირანში დასავლური და ირანული პოპ მუსიკა ახლაც აკრძალულია. თუმცა, ამის მიუხედავად, „შავ ბაზარზე“ აკრძალული მუსიკის დისკები მაინც იყიდება. შარშან

ტაქსისტებს ამ მუსიკის მანქანაში დაკვრა აუკრძალეს და ტაქსისტობის ნებართვის ჩამორთმევით ან მანქანის კონფისკაციით დაემუქრნენ.

„ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, შეეძლოს აირჩიოს რას მოუსმენს და არავის აქვს უფლება, ეს განუსაზღვროს... ვის აქვს უფლება, გადანყვიტოს, რომელი [მუსიკა] უნდა იყოს აკრძალული და რომელი არა? რის საფუძველზე დგინდება ეს?“ – ამბობს ერთ-ერთი ირანელი ტაქსისტი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას.

შესაძლებელია, სწორედ იმის გამო, რომ კანონით აკრძალვა ფუნდამენტური უფლებების დარღვევის აღიარებაა, საქართველოს ხელისუფლება საჯაროდ აკრძალვის მიუღებლობაზე საუბრობს, სინამდვილეში კი, სხვანაირად იქცევა: რესტორნების მფლობელებს ფარულად აშინტაჟებს.

დაუნერვლი კანონის დარღვევის შემთხვევაში, მეპატრონეებს ჯარიმით დაემუქრნენ. ამიტომ, „სიტყვიერი აკრძალვის შემდეგ“, ქართული რესტორნების უმრავლესობაში რუსულ მუსიკას აღარ უკრავენ.



## პრეზიდენტი პარლამენტში

საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება პარლამენტში ერთ საათსა და 20 წუთს გაგრძელდა. დეპუტატებმა პრეზიდენტს სიტყვა ტაშით 33-ჯერ შეაწყვეტინეს. ფასების ზრდა, განათლების რეფორმა, ჯანდაცვა, სასამართლო რეფორმა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარება, დასაქმება, დევნილთა პრობლემები, საქართველოს ენერგეტიკული უზრუნველყოფა — პრეზიდენტმა ყურადღება ამ საკითხებზე გაამახვილა. დევნილებზე საუბრისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დევნილების მდგომარეობა არა-დამაკმაყოფილებელია და მალე არსებულ კომპაქტურ ჩასახლებებში მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება. პრეზიდენტმა აქცენტი სოფლის მეურნეობის უმძიმეს მდგომარეობაზეც გააკეთა. მისი თქმით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები დარგის განსავითარებლად საკამრისი არ აღმოჩნდა. სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად მონოპოლიების არსებობა დასახელა: „აღარ უნდა არსებობდეს კახას სიგარეტი და ჯაბას ბენზინი“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა რეფორმების დასრულების და თითქმის ყველა პრობლემის მოგვარების წლად 2015 წელი დაასახელა. მისი განცხადებით, 2015 წელი იქნება მისი ხელისუფლების შედეგების შეჯამების წელი, როდესაც ქართული განათლების სისტემა შვედეთისა და ჰოლანდიის სტანდარტებს უნდა გაუთანაბრდეს; საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონიანი ნიშნულს მიუახლოვდეს, მკვეთრად შემცირდეს უმუშევრობა და 50 პროცენტით გაიზარდოს ხელფასები: „2015 წელს საქართველო იქნება ევროპის ყველაზე მზარდი ეკონომიკა“, — განაცხადა პრეზიდენტმა. საპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტის გამოსვლით უკმაყოფილო დარჩა. მათი განცხადებით, პრეზიდენტის გამოსვლა სუსტი იყო და ქვეყნის პირველმა პირმა ყველა შეკითხვას სათანადო პასუხი არ გასცა. „ვერ დავინახე პრობლემების გადაჭრის გზები“, — ამბობდა პაატა დავითაია. პრეზიდენტის მოხსენების შემდეგ, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხელისუფლება ბიზნესში არსებული მონოპოლიის, გაზრდილი ფასების, დევნილთა დევნის, დახურული საჯარო ინფორმაციის, სასამართლო დამოუკიდებლობისა და ჯანდაცვის სისტემის არარსებობის გამო გააკრიტიკეს.

### იაპონია-ჩინეთის დაპირისპირება

იაპონია-რუსეთს შორის დაპირისპირება გრძელდება. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის, სეიძი მაეჰარამის განცხადებით, ტერიტორიული საკითხები ორივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს. „რამდენიც უნდა იარონ იქ რუსეთის ოფიციალურმა პირებმა, რამდენადაც უნდა გააძლიერონ სამხედრო ძალები, ეს არ ცვლის საერთაშორისო სამართლის დასკვნებს იმის შესახებ, რომ ჩრდილო ტერიტორიები — ეს ჩვენი ქვეყნის კუთვნილი მიწაა. ჩვენი ნებისყოფა ურყევია“, — განაცხადა მინისტრმა. იაპონური მხარის გალიზანება კურილიის კუნძულებზე დიმიტრი მედვედევისა და რუსი მაღალჩინოსნების გაზშირებულმა ვიზიტებმა გამოიწვია.

### საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში

ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში შეიყვანა. ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფო შტაბის ინფორმაციით, ისრაელის მოქალაქეებისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ ეგვიპტი, თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, კოტ-დ'ივუარი, მალი, მავრიტანია და ვენესუელა. უსაფრთხოების სამსახურები ისრაელის მოქალაქეებს ამ ქვეყნებში სტუმრობისაგან თავის შეკავებას ურჩევენ.

## ახალი მასალები ქაზახისტანის საჩუქარზე



ქართველი მოციგავის, ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, კანადის სამაუნწყებლო კომპანია „სიბისი“, სპორტსმენის დალუპვის მიზეზად

ტრასის გაუმართაობას ასახელებს. ტელეკომპანიის მიერ მოპოვებული, ოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტის (VANOC) და ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის მიმონერებიდან (FIL) ირკვევა, რომ უისტლერის ტრასა, სადაც ნოდარ

ქუმარიტაშვილი 2010 წლის 12 თებერვალს, სავარჯიშო დაშვებისას გარდაიცვალა, ზედმეტად სწრაფი იყო, რასაც შეიძლება მოციგავეების დაშვება ან დალუპვაც კი გამოენვია.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო კანადური ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესწავლას აპირებს: „თუ ფაქტი დადასტურდება, სულ მცირე, რაც მოხდება, კანადის სამართალდამცავი ორგანოები ფაქტის ხელახალ გამოძიებას დაიწყებენ“, – აცხადებს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ გეგელია.

## ჩხუბითან ბანკისტი ქუჩისტი

„გარდიანის“ ჟურნალისტი ლუკ ჰარდინგი, რუსეთში უცხოელი ჟურნალისტის აკრედიტაციის უქონლობის გამო არ შეუშვეს. „გარდიანი“ მიიჩნევს, რომ ეს ჰარდინგის იძულებითი დეპორტაციის ადეკვატური განმარტება არ არის. ლუკ ჰარდინგი კი, ვარაუდობს, რომ რუსეთის მთავრობა მისმა სტატიამ გააღიზიანა, სადაც ის „ვიკილიქსის“ მასალებზე დაყრდნობით წერდა, რომ

რუსეთი ვლადიმირ პუტინის მმართველობის პერიოდში „ვირტუალური მაფიის სახელმწიფოდ“ იქცა. ჰარდინგის რუსეთიდან გაძევება ცივი ომის შემდეგ საშტატო ბრიტანელი კორესპონდენტის დეპორტაციის პირველი შემთხვევაა. ბოლო პერიოდის მანძილზე რუსეთში შეშვებაზე უარი სხვა ორ ბრიტანელ ჟურნალისტსაც უთხრეს, ერთ-ერთი მათგანი კავკასიის ექსპერტი, თომას დე ვალია.

## საჩუქარი ქუჩისტი საჩუქარზე ხაზისტი მათი ჩხუბითან მონოლოგს

ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებიმ ევროკავშირსა და ეუთოს რეგიონში გაძლიერებული ჩართულობისკენ მოუწოდა. ვენაში ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას სემნებიმ განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასიაში არსებული მოუგვარებელი კონფლიქტები რეგიონის სტაბილურობის მთავარ საფრთხედ მიაჩნია. „აუცილებელია, რომ საერთაშორისო აქტორებმა კონფლიქტე-

ბის სტაბილიზაციისკენ, მართვისა და მოგვარებისკენ მიმართული ძალისხმევა განაგრძონ. კერძოდ, ეს გულისხმობს ეუთოს ძლიერ ჩართულობას მთელი რეგიონის მასშტაბით,“ – განაცხადა მან და დასძინა, რომ საქართველოში ეუთოს მისიის დახურვამ უარყოფითად იმოქმედა ორგანიზაციის პარტნიორებზე.



### ჩისხუბი

<b>10</b>	<b>50%-ით</b>	<b>20</b>	<b>60</b>
თეთრით გაძვირდა პური	გაიზარდა მეორადი ავტომობილების რეალიზაცია საქართველოში	ლარიანი ელექტროენერჯის ვაუჩერი მილიონ აბონენტს დაურიგდება	ლარი ეღირება გრძელვადიანი პაემანი საპატიმროში

### სიტყვები



„ეგვიპტის პროტესტი ახალი შუა აღმოსავლეთის ნიშანია“. **ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი ეგვიპტეში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე**

„ეკონომიკა მონოპოლიების გარეშე! დღეიდან ერთ-ერთი მანკიერება, რომელსაც ჩვენ ვებრძვით, არის მონოპოლიები და სხვადასხვა ბიზნესის ჩაკეტილობა“. **პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტში გამოსვლისას**

„დამამშვიდებელი პროგნოზი ვერ გაკეთდება“ **სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი შაქრის ფასის ზრდაზე**

„ძნელია, იყო დიდი ქვეყნის მეზობელი“. **ბრიტანეთის დედოფალი საქართველოს პატრიარქთან საუბრისას**

ბამახთიჯებჯიჯიჯ თუჯ ჯიჯ ბთიჯვიმბიჯიჯ ბიჯიჯ  
ღო-ღიჯიჯიჯიჯ ვიჯიჯიჯიჯიჯიჯ ღიჯიჯიჯიჯიჯ?



ილუსტრაცია სურფი კვიციანი / ფიქსი, საბჭოთა

**პი**

**საქართველოს ეროვნული ბანკის პოზიცია**

ვაუჩერების დარიგება არ უნდა იყოს განხილული, როგორც ინფლაციის საწინააღმდეგო მეთოდი, ის არის განკუთვნილი ინფლაციის უარყოფითი სოციალური გავლენის შესარბილებლად.

დღეს საქართველოს რა ტიპის ინფლაციაც გააჩნია (მინოდების მხრიდან, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დაბალი მოსავლისა და გაზრდილი მოთხოვნის გამო მსოფლიო ფასების ზრდა), მის საწინააღმდეგოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენება შეუძლებელია.

ასეთი ტიპის ინფლაცია ასევე ნაკლებად ახდენს უარყოფით გავლენას ეკონომიკის ზრდაზე, თუმცა სოციალურად უარყოფითი შედეგის მომტანია განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი ფენისათვის, ვისი ხარჯების უმეტესი ნაწილი კვების პროდუქტებს ხმარდება.

აქედან გამომდინარე, მთავრობის ინიციატივა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში (ანუ იმ დონემდე, რომ არ გამოინვიოს მოთხოვნის მხრიდან ინფლაცია) შეამციროს ინფლაციის უარყოფით სოციალური ეფექტი, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულია. ■



**არა**

**გაჯანდიერი**

ახალი ეკონომიკური სკოლის ვიცე-პრეზიდენტი

ინფლაციის კომპენსაცია ვაუჩერების დარიგების გზით გაუმართლებელია. ინფლაციის პირობებში კომპენსაციების გაცემას არანაირი გამართლება არ შეიძლება, ჰქონდეს. ვაუჩერების გაცემა ან ხელფასების ზრდა ინფლაციას არ აბათილებს, პირიქით, ეს ინფლაციის გაზრდის ერთ-ერთი წყაროა, რომელიც სპირალის მსგავს მოვლენას იწვევს.

ერთი მხრივ, ვაუჩერების დარიგებას ექნება მცირედი ინფლაციური შედეგი და არა სერიოზული ზიანი, რადგანაც საუბარია დაახლოებით 20 მილიონ ლარზე, მაგრამ მეორე მხრივ, შეიქმნება პოლიტიკური პრეცედენტი, რომლის გაუქმებაც ძნელი გახდება მომავალში. მოსახლეობას შეექმნება ცუდი მოლოდინი, რომ ინფლაციის პირობებში მთავრობა ფულს დაარიგებს. იქნება მოლოდინი, რომ მთავრობა ხალხს უშველის, სინამდვილეში კი ეს „საშველი“, პირიქით, ინფლაციას ახანგრძლივებს.

მომავალში პოლიტიკოსების და მოსახლეობისთვისაც ეს შეიძლება, ცუდი პრეცედენტი იყოს, და მთავრობამ შეიძლება, გააგრძელოს სხვადასხვა ვაუჩერის გაცემა და ამ ტიპის კომპენსაციების გასაცემად პროგრამების დაფინანსება. მომავალში შეიძლება შეიქმნას გარყვნილი მდგომარეობა, როცა ინფლაციის პირობებში მთავრობამ ფული უნდა დაარიგოს. გეგონება, ეს ფული არსებობს, სადღაც ჩნდება და ამ ფულით მოსახლეობის დახმარება შეიძლება. ფული სინამდვილეში არსაიდან არ ჩნდება, ეს ფული, რომლითაც ახლა ვაუჩერების გადახდა ხდება, ის ფულია, რომელიც ჩვენმა მოსახლეობამ გადასახადებით გადაიხადა და ახლა უკან უბრუნებენ ვაუჩერების სახით.

ჩვენ თუ გვჯერა, რომ მოსახლეობისთვის ზედმეტი ფულია გამორთმეული, მოდი, ნუ გამოვართმევთ, უბრალოდ გადასახადები შევამცირებთ. თორემ, თუ ამ მეთოდს გავყვებით, გამოვა, რომ მთავრობა გამოგვართმევს ხოლმე ბევრ ფულს და მერე დაგვიბრუნებს უკან. ასეთ სისტემას არანაირი კავშირი არა აქვს კეთილდღეობასთან.

ვაუჩერების გაცემის ნაცვლად, სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა შეამციროს სახელმწიფო ხარჯები, შეამციროს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, შეამციროს გადასახადები და შემოიტანოს მკაცრი დისციპლინა მონეტარულ სფეროში. ეს შეიძლება ასე გაკეთდეს – ლარი მყარად მივაბათ რომელიმე ცნობილ, მყარ ვალუტას, მაგალითად, როგორცაა ევრო. ■



ფოტო: ფილანკ ბარბინსკი / REUTERS

ხალხი ზეიმობს ჰოსნი მუბარაქის გადადგომას, კაირო, 11 თებერვალი 2011

თვალსაზრისი

# ჰოციბიხი ჰეხსჰეხივი

რა იქნება მუბარაქის წასვლის შემდეგ – ირანული მოდელის მსგავსი ისლამური თეოკრატია, ევროპული დემოკრატია თუ სამხედრო დიქტატურა? შედეგმა, შესაძლოა, მსოფლიო ისტორიის მიმართულელებაზე უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინოს.

ემილ სულიმანოვი



**■ რომ არა პროდასავლური არაბული რეჟიმების არსებობა, თანამედროვე სამყარო, აბსოლუტურად განსხვავებული იქნებოდა** – ცეცხლმოკიდებული ნავთობის ფასებით, აგრესიული ანტი-ამერიკული და ანტიისრაელის პოლიტიკით, თანამედროვე ტერორიზმის ღია მხარდაჭერით.

მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობდნენ მის შესახებ, ჰოსნი მუბარაქის რეჟიმი პროდასავლური იყო. იგი არმიის ავტორიტეტს ეყრდნობოდა, არმია კი, თურქეთის მსგავსად, სეკულარული სახელმწიფოს დასაყრდენია.

საბჭოთა კავშირში განათლებამიღებულ სახმედრო მფრინავი მუბარაქი არაბეთის აღმოსავლეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი – 80 მილიონიანი სახელმწიფოს სათავეში 80-იანი წლების დასაწყისში მოვიდა. მას შემდეგ ეგვიპტე ამერიკის ერთგული მოკავშირეების რიცხვში განიხილებოდა და აშშ-სგან ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების სამხედრო დახმარებას იღებდა. უმნიშვნელოვანესია ის, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე ეგვიპტე ერთადერთი სახელმწიფო არაბული ქვეყნების ლიგაში, რომელიც ებრაული სახელმწიფოს მიმართ ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებდა, რითაც ანტიისრაელის მოძრაობის მომხრე „ქორების“ პოზიციას ანეიტრალებდა.

დღეს ეს რეგიონი დულილს იწყებს. პროტესტის ტუნისიდან იემენამდე გადაჭიმვა, ერთი შეხედვით, „თოვლის გუნდის“ თეორიას ამართლებს, რომლის შესახებ სამუელ ჰანტინგტონი თავის ცნობილ წინგში – „მესამე ტალღა“ – საუბრობდა. ამ თეორიის მიხედვით, ერთ ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის დაძვრა, თანდათანობით, რეგიონის სხვა სახელმწიფოშიც გადაიზრდება. თუმცა, არ უნდა დაგვაინყდეს, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში აბსოლუტურად განსხვავებული რეალიებია.

წარმოდგენა, რომ დასავლური დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის კონცეფციის გავრცელება მთელ მსოფლიოში შესაძლებელია, საშიში მითია. ქვეყანა, რომელმაც ბოლო ასი წლის განმავლობაში შუა საუკუნეების აგრარული საზოგადოებიდან სა-

მხედრო დიქტატურამდე გზა განვლო, დასავლეთ ევროპული სახელმწიფოსგან ცოტა განსხვავებულ სანყის პოზიციაში იმყოფება. ევროატლანტიკურ სივრცეში ცნობილი დემოკრატიული მექანიზმები ისლამურ სამყაროში განსხვავებულად მუშაობს. მაგალითად, ის სამხედრო ისლამისტებს ხელისუფლების კანონიერი გზებით მოპოვებაში ეხმარება, რადგან ბევრი მოქალაქის სიმპათია, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ სასოფლო რეგიონებში, სეკულარული სახელმწიფოებრიობის ნაცვლად პოლიტიკური ისლამისაკენ იხრება. საკმარისია გავისხენოთ 1979 წლის რევოლუცია ირანში.

დასავლეთის სახელმწიფოების მიერ არაბული არადემოკრატიული რეჟიმების მხარდაჭერა იმავე ლოგიკას ეფუძნება, რასაც ცივი ომის დროს ვაშინგტონის მხარდაჭერა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის დიქტატორული რეჟიმების მიმართ: დიახ, ეს არც ისე მორალურია, მაგრამ რა ვქნათ, თუ ეს ყველა შესაძლო არჩევნიდან ყველაზე უსაფრთხოა? ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ხშირად პროდასავლური, მაგრამ დიქტატორული რეჟიმების ალტერნატივას რელიგიური ფანატიკოსების გამარჯვება წარმოადგენს. ისევე, როგორც 70-იან წლებში არაბულ აღმოსავლეთში და მსოფლიოს სხვა რეგიონებში ამ ალტერნატივას კომუნიზმის გამარჯვება წარმოადგენდა. რომ არა პროდასავლური არაბული რეჟიმების არსებობა, თანამედროვე სამყარო, სავარაუდოდ, აბსოლუტურად განსხვავებული იქნებოდა – ცეცხლმოკიდებული ნავთობის ფასებით, აგრესიული ანტი-ამერიკული და ანტიისრაელის პოლიტიკით, თანამედროვე ტერორიზმის ღია მხარდაჭერით და სხვა. ამერიკის მიერ საუდის თეოკრატიის მხარდაჭერა, მაგალითად, საუდის არაბეთს ოპეკში (ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგა-

ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს „არაბული აჯანყება“ უკვე უწოდეს. ამ პროცესმა შეიძლება, მთლიანად შეცვალოს ატლანტიკის ქვიშიანი დიუნებიდან ინდის ნაპირებამდე გადაჭიმული იმ უმნიშვნელოვანესი რეგიონის გეოპოლიტიკური რუკა, რომელიც მსოფლიოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგის 2/3-ს ფლობს და არაბული სამყაროს ცენტრს წარმოადგენს.

მთავარი კითხვა დღეს ასეთია: რა მიმართულებით მოხდება ცვლილება?

## მუხარაჯი ბაიდა, ეპიკა თავისუფალი



11 თებერვალს, ნაციონალური ტელევიზიით გამოსვლისას, ეგვიპტის ვიცე-პრეზიდენტმა ომარ სულიმანმა განაცხადა, რომ ჰოსნი მუბარაჯი გადადგა, ძალაუფლება კი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას გადასცა.

„მონყალე ღმერთის სახელით, ეგვიპტისთვის ამ ძალიან რთულ ვითარებაში, პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაჯმა გადადგომა გადაწყვიტა და ქვეყნის მართვა შეიარაღებულ ძალებს ჩააბარა“, – თქვა სულიმანმა.

კაიროს მთავარ მოედანზე შეკრებილი დემონსტრანტები 18-დღიანი პროტესტის შემდეგ ამ განცხადებას ოვაციებითა და სტვენით შეხვდნენ. „ხალხმა რეჟიმი დაამარცხა“, – ისმოდა შეძახილები, მანქანები ქუჩებში გაბმული სიგნალით დადიოდნენ.

მუბარაჯის გადადგომა მთელი საერთაშორისო მედიისთვის მთავარ ამბად იქცა. „ეგვიპტე თავისუფალია“, – პრეზიდენტის წასვლას CNN-ის ოფიციალური ვებგვერდი ამ ლოზუნგით ოუწყებოდა.

იმავე დღეს ეგვიპტეში ხელისუფლების შეცვლას აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა „ისტორიული და დრამატული“ ცვლილება უწოდა. „ეგვიპტის ისტორიაში ეს გარდამტეხი მომენტი, რომლის შემდეგაც ქვეყნის მომავალს მისი მოქალაქეები განსაზღვრავენ“, – აღნიშნა ბაიდენმა.

მუბარაჯმა საკუთარ ხალხს წინა დღეს, ნაციონალური ტელევიზიით პირადად მიმართა. მისი განცხადება „სი-ენ-ენ“-ისა და „ბი-ბი-სი“-ს პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ამ განცხადების მოსასმენად მოედანზე

უამრავი ადამიანი შეიკრიბა. როგორც დემონსტრანტები, ისე ჟურნალისტები, ელოდნენ, რომ 10 თებერვალს მუბარაჯი იტყოდა, რომ ჰოსნიდან მიდის. ამას დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს წარმომადგენლები და პრეზიდენტი ობამაც ირიბად ადასტურებდნენ. ბრიტანულ გაზეთებს კი უკვე მზად ჰქონდათ მეორე დღისთვის სტატიები, სადაც მკითხველებს ჰოსნი მუბარაჯის გადადგომის შესახებ ამცნობდნენ. მათ გვიან ღამე ახალი სტატიების დანერგა მოუხდათ, რის გამოც ბრიტანეთში გაზეთები დაგვიანებით გამოვიდა.

გადადგომის ნაცვლად, მუბარაჯმა კონსტიტუციის დაცვის პირობა დადო. მან აღნიშნა: „მე ვიღებ პასუხისმგებლობას, დავიცავ კონსტიტუცია და მოქალაქეები და გადავცემ ხელისუფლებას მას, ვისაც ხალხი აირჩევს სექტემბერში თავისუფალ და გამჭვირვალე საპრეზიდენტო არჩევნებზე“.

პრეზიდენტის სიურპრიზმა ხალხი უარესად გააღიზიანა. ამიტომ ხუთშაბთს და პარასკევს დემონსტრანტების ნაკადი ქუჩებში ერთი-ორად გაიზარდა.

ტაჰირის მოედანზე შეკრებილი ასი ათასობით ეგვიპტელი, მუბარაჯის გადადგომას სამკვირავზე მეტი ხნის განმავლობაში ითხოვდა. 1 თებერვალს მუბარაჯმა სატელევიზიო მიმართვაში განაცხადა, რომ სექტემბერში კენჭს პრეზიდენტობის პოსტზე აღარ იყრიდა. თუმცა, ამ კომპრომისმა დემონსტრანტები არ დააშოშმინა. მათი ერთადერთი მოთხოვნა მუბარაჯის წასვლა იყო. ამ მასობრივ და ხანგრძლივ პროტესტს 25 იანვრიდან მოყოლებული ასი ადამიანის სიცოცხლე შეენირა.

შეიარაღებულ ძალებს ეგვიპტეში თავდაცვის მინისტრი მუჰამედ ჰუსეინ ტანტავი ხელმძღვანელობს.

მუბარაჯმა კაირო პარასკევსე დატოვა და წითელი ზღვის მდიდრულ კურორტზე, შარმ ელ-შეიხზე გაემგზავრა, სადაც მას საკუთარი რეზიდენცია აქვს.

მუბარაჯის გადადგომას პარასკევს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, გერმანიის კანცლერი, ისრაელის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, კატარის ამირა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გამოეხმაურნენ.

ნიზაცია) ანტიამერიკულად განწყობილი ნევრების პოზიციების დამუხრუჭების და ნავთობის ფასების გონივრულ ჩარჩოებში შენარჩუნების საშუალებას აძლევს. პაკისტანის სამხედრო დიქტატურაზე ხელის დაფარება თითქმის ერთადერთი გზაა, რომ ატომური იარაღის მქონე ეს სახელმწიფო მთელი მსოფლიოსათვის სავალალო შედეგის მომტანი რელიგიური და ეთნიკური არეულობის ქარცეცხლში არ გაეხვეს.

ეგვიპტეში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ქრესტომათიული მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, შეიცვალოს ზოგიერთი მუსლიმური ქვეყნის ბედი. ისრაელთან ომში არაერთმა მარცხმა ეგვიპტე 70-იან წლებში აიძულა, თავისი პოლიტიკა ისრაელის და შეერთებული შტატების სასარგებლოდ გადაეფასებინა. ჰოსნი მუბარაჯის შემდეგ ეს კურსი შეიძლება ისევ 180 გრადუსით შეტრიალდეს, რადგან ოპოზიცია, განსაკუთრებით ისლამისტური, დიდი ხანია აცხადებს, რომ მუბარაჯი ამერიკისა და ისრაელის წინაშე მონურ მორჩილებას ავლენს.

არაბული სახელმწიფოები, რომლებსაც მზარდი ამბიციები აქვთ და ცდილობენ, გაუტოლდნენ რეგიონის ნომერ პირველ საფრთხეს – გაძლიერებულ ირანს; თურქეთში მიმდინარე რეისლამიზაციის პროცესი – ეს ყველაფერი მშვენიერი ფონია იმისთვის, რომ ანტისახელმწიფოებრივმა პროტესტებმა კიდევ უფრო მასშტაბური სახე მიიღოს და მთელი ახლო აღმოსავლეთი მოიცვას.

ზოგი დასავლელი პოლიტიკოსი შეცდომით ფიქრობს, რომ დიქტატორის ჩამოგდება და თავისუფალი არჩევნების ჩატარება ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა პრობლემას ავტომატურად გადაწყვეტს.

ამ რეგიონში მიმდინარე პროცესების მხოლოდ კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლად წარმოჩენა ყველაზე ადვილი და მცდარი გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან. ბევრად უფრო რთულია რამდენიმე მოსალოდნელ სცენარზე დაფიქრება და მთელი ახლოაღმოსავლური სურათის გაანალიზება. ხშირ შემთხვევაში, აშშ-ის წარუმატებლობების მთავარი მიზეზი სწორედ ასეთი გამარტივებული მიდგომაა. ■

აფხაზეთი

# მოსკოვი - ბალაფშის დედაქალაქი

ბალაფშმა თქვა, რომ მოსკოვი მისი დედაქალაქია. იყო თუ არა ეს შემთხვევითი წამოცდენა?

## ინალ ხაშიგი

მოსკოვში ბოლო ვიზიტისას ერთ-ერთი რუსული გამოცემისათვის მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „ჩემთვის მოსკოვი იყო დედაქალაქი და დედაქალაქადვე დარჩება ისევე, როგორც რუსეთი – ჩვენს დიდ და ძლიერ მოსილ სახელმწიფოდ.“ ეს სიტყვები თუნდაც ცნობილ აფხაზ მწერალს, მხატვარს ან მომღერალს რომ ეთქვა, სავარაუდოდ, ცოტა ვინმე თუ მიაქცევდა ყურადღებას. შემოქმედებითი ადამიანები ყოველთვის ცოტა კოსმოპოლიტები არიან, ხანდახან საზღვრებს დემონსტრაციულადაც არღვევენ. ერთნი ამას რწმენით აკეთებენ, მეორენი ასე საკუთარ ინდივიდუალურობას უსვამენ ხაზს, სხვებს კი, საკუთარი შემოქმედებით მეტისმეტად გატაცებულებს, უბრალოდ, ავიწყდებათ თავიანთი წარმომავლობა.

მაგრამ აქ აშკარად სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საკუთარ დედაქალაქად მოსკოვი აფხაზმა კულტურის მოღვაწემ კი არ დაასახელა, და არც მან, ვისაც ეს განცხადება თანამედრობიდან გამომდინარე შეეფერება (რუსეთის პრეზიდენტი მყავს მხედველობაში), არამედ რუსეთის თუნდაც მეგობარი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი მეზობელი სახელმწიფოს – აფხაზეთის – ხელმძღვანელმა.

როცა პრეზიდენტი ასეთ რამეს ამბობს, ეს რეაგირების გარეშე ვერ დარჩება. ინტერვიუ, რომელიც ბალაფშმა რუსულ გაზეთს მისცა, საკმაოდ ვრცელი იყო და ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხებოდა: შავი ზღვის აფხაზურ შეღწეულ ნავთობის მოპოვებას, რუსეთის მოქალაქეებისათვის აფხაზეთში საკუთრების შექმნის უფლების მინიჭებას, რუსული ფინანსური დახმარების ათვისებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ა.შ თუმცა, გაჩნდა თუ არა ეს ინტერვიუ ინტერნეტში, სოციალუ-



რი ქსელების აფხაზმა მომხმარებლებმა სწორედ მოსკოვის შესახებ გამოხატეს მზე მოახდინეს კონცენტრაცია. ალბათ, სერგეი ბალაფშის არცერთ განცხადებას, პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად, ასეთი ერთსულოვანი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. ერთ-ერთმა, სერგეი ბალაფშისადმი საკმაოდ ლოიალურად განწყობილმა მომხმარებელმა, რიტორიკული კითხვაც კი დასვა: „ეს კაცი მართლა ჩვენი პრეზიდენტი?“

ზოგიერთები ამბობენ, რომ ბალაფშმა, უბრალოდ, დაუფიქრებლად ილაპარაკა, ცოტა მოეშვა. ნაწილობრივ, შესაძლოა, დაეთანხმო ამ მოსაზრებას. თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან სრულიად დარწმუნებული შეიძლება ვიყოთ, რომ მსგავსი რამე ბალაფშს აფხაზ ჟურნალისტებთან საუბრისას არასოდეს წამოცდებოდა.

რატომ თქვა ეს ბალაფშმა სწორედ რუს ჟურნალისტთან საუბრისას? ნუთუ, როცა აფხაზეთის ფარგლებს ტოვებს, ბალაფში კონტროლის დაკარგვამდე ეშვება? რა თქმა უნდა, არა. ბალაფში მოსკოვში დასასვენებლად წამდვილად

არ ჩადის. ის იქ სამუშაოდ, უფრო სწორად კი – საშოვარზე ჩადის. ამბობენ, რომ მოსკოვში მისი შეხვედრების განრიგი საკმაოდ დატვირთულია. პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობა, სამინისტროები და უწყებები, სახელმწიფო კორპორაციები, მსხვილი და საშუალო ბიზნესი – ვისთან აღარ უწევს შეხვედრა. ყველგან უნდა გაიღიმოს, მადლიერება და სიყვარული უნდა გამოხატოს, საუკუნო მეგობრობის ფიცი-მტკიცე დადოს. შესაძლოა, მსგავსი დიტირამები აღიზიანებდეს, მაგრამ მაინც იძულებულია ასე მოიქცეს, რადგან იგი მთხოვნელია, ხოლო მეორე მხარემ კი დახმარება უნდა უბოძოს. ფული ქვეყანას ძალიან სჭირდება. მმართველობის ჩამორჩენილი და ჩლუნგი სისტემის გამო, ქვეყანას ფულის გამოშვება თავად არ ძალუძს. სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც გამოუწნორებელი ნარკომანი, რუსული დოტაციის გარეშე ვერ არსებობს. ბიუჯეტის შემოსავლების 71% რუსულ დახმარებაზე მოდის. საჯარო მოხელეები, ვისი გამოი-სობითაც ეს ჩლუნგი სისტემა არსებობს, ასევე არაფრად ვარგიან და უკვე საკუთარ თავზე კი აღარ ფიქრობენ, არამედ შვილთაშვილების კეთილდღეობაზე. მათაც უკიდურესად სჭირდებათ ფული.

შესაბამისად, ამ არგუმენტების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ აფხაზეთის პრეზიდენტისათვის დედაქალაქი მოსკოვია. ეს წამოცდენა კი არ არის, არამედ ფროიდისეული წამოცდენა. **□**



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

# ბიზნესის ხეტიაბა ქაჩთუნად

მანანა ვარდიაშვილი





„Doing Business“-ის 2011 წლის მოხსენებაში საქართველო, ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით, მსოფლიოს 183 ქვეყანას შორის მე-12 ადგილზე დასახელდა და გასულ წელთან შედარებით პოზიცია 1 საფეხურით გაიუმჯობესა. მსოფლიო ბანკის კვლევა „Doing Business 2011“ 9 კრიტერიუმისგან შედგება. იმ კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც ახალი ბიზნესის დასაწყებად საჭირო დროს, პროცედურებს, ხარჯებსა და მინიმალურ სანესადებო კაპიტალს ეხება, საქართველოს 183 ქვეყანას შორის მერვე ადგილი უკავია. სამშენებლო ნებართვების ასაღებად საჭირო პროცედურების, დროის, ხარჯებისა და შემონახვების მიხედვით – მეშვიდე, ხოლო საკუთრების დარეგისტრირების – კომერციული უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებული პროცედურების, დროისა და ხარჯების მიხედვით – მეორე.

სინამდვილეში, მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგი არა ბიზნესის კეთების, არამედ ბიზნესის დაწყების სიმარტივეს გულისხმობს. ექსპერტთა უმეტესობა აღიარებს, რომ, ამ მხრივ, საქართველო მართლაც დანიშნურადა, მაგრამ უცვლელი დარჩა ბიზნესის წარმოების სისტემური პრობლემები. გასული წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმაც აღიარა, რომ მენარმეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის გარკვეული პრობლემები არსებობს: „ძალიან ბევრ მენარმეს აქვს განცდა, რომ სახელმწიფო მას სათანადოდ არ უსმენს და უსამართლოდ ექცევა; ჯერაც ხშირია შემთხვევა, როდესაც სასჯელი უფრო დიდია, ვიდრე ამას არსებული დარღვევა იმსახურებს. მენარმეებს ხშირად სამართლიანად უჩნდებათ განცდა, რომ სახელმწიფო არ აკეთებს საკმარის იმისათვის, რომ ბიზნესგარემო კიდევ უფრო უკეთესი იყოს“. პრეზიდენტმა სააკაშვილმა მენარმეებისადმი სახელმწიფო სამსახურების მიდგომის შეცვლის მიზნით ეკონომიკის „ახალი კურსი“ გამოაცხადა, ბიზნესმენტა დასაცავად კი საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი შემოიღო.

საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს პრობლემებზე საუბრობს „ლიბერალისთვის“ მიცემულ ინტერვიოში აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ბასი: „ხელისუფლებასა და საქართველოს კერძო სექტორის რამდენიმე წარმომადგენელს შორის ურთიერთობა ბოლომდე გამჭვირვალე არ არის. ამიტომ, რთულია, ამ ურთიერთობის რეალური ხასიათი გაარკვიო. ამის შესახებ ყველა ქართველ ჩინოვნიკს ველაპარაკები. ჩვენი საუბარი ქვეყანაში პროგნოზირებადი, გამჭვირ-

ვალე ბიზნესგარემოს შექმნას ეხება. ეს აუცილებელია, თუ საქართველოს სურს, დასახულ მიზანს მიაღწიოს და დასავლეთიდან და ისეთი სახელმწიფოებიდან, როგორცაა იაპონია, კორეა და ინდოეთი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიზიდოს. გადაწყვეტილებას ინვესტიორები ჯიბით იღებენ, ისინი ფულს იქ აბანდებენ, სადაც მათ ბიზნესშესაძლებლობის გამოყენება შეეძლებათ და გადასახადების ან რეგულაციების შესახებ კაპრიზული გადაწყვეტილებების მსხვერპლი არ გახდებიან, ან არასამართლიანი კონკურენციის პირობებში არ აღმოჩნდებიან იმის გამო, რომ ბაზარზე რეგულაციები და წესები, ვინმესთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, უცებ შეიცვალა. საქართველომ, ასეთი გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით, დიდი პროგრესი განიცადა, მაგრამ, ვფიქრობ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“.

■ „მენარმეებს ხშირად სამართლიანად უჩნდებათ განცდა, რომ სახელმწიფო არ აკეთებს საკმარის იმისათვის, რომ ბიზნესგარემო კიდევ უფრო უკეთესი იყოს“ – სააკაშვილი.

ხელისუფლების ჩარევა ბიზნეს სექტორში რამდენიმე შემთხვევაში საჯაროა („ნუგეში“, „კავკასუს ონლაინი“), უფრო ხშირად კი სახელმწიფოს მძიმე ხელი ბიზნეს კომპანიებს ფარულად აწვება. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები მხოლოდ ნაწილია საერთო სურათის. თუმცა, ჩანს ტენდენცია, რომლის შესახებაც არაერთი კერძო მენარმე წუხს. ხელოვნური მონოპოლიების შექმნა („ლატარიის კომპანია“, „თბილისის წყალი“), ღია ტენდერების გვერდის ავლით მილიონიანი პროექტების შემსრულებლების პირდაპირი წესით შერჩევა („მაგი სტილი“, „უაიდ დისტრიბუშენი“), პარკინგის ტარიფებისა და პროდუქტების ფასების განსაზღვრაში უხეში ჩარევა – მთავრობა, რომელიც თავისუფალი ბაზრის პრინციპების ღია აპოლოგეტია, კერძო სექტორში სულ უფრო აქტიურად ჩანს.

**თემაზე ასევე მუშაობდნენ:**  
**მაია ნიკლაური, ნანა საჯავია.**



ფოტო: მარიამ ალიბაბაძე

## DOING BUSINESS IN GEORGIA

# ნუბეში

2010 წლის დასაწყისში თბილისის მერიამ ქუჩებში არსებული „უსახური ჯიხურების“ ალების გადანყვეტილება მიიღო. უკვე ნოემბრის ბოლოს ქალაქის ქუჩებიდან ყველა ასეთი ნაგებობა გაქრა.

დეკემბრის დასაწყისში კი თბილისში ორმოცამდე ერთნაირი, მუქ წითელ და რუხ ფერებში გადანყვეტილი ჯიხურები გამოჩნდა, სახელწოდებით – „ნუგეში“.

კომპანია „ნუგეში“ ოფიციალურად 2010 წლის 18 ივნისს გამოჩნდა, ახალი სავაჭრო ქსელი ქალაქის მერმა

გიგი უგულავამ ტელეკამერების თანდასწრებით გახსნა. უგულავამ მთავრობის სხდომაზე „ახალი, ინოვაციური პროექტი“ პირადად პრეზიდენტსაც გააცნო. ქალაქის მერი ამაყობდა, რომ ეს სავაჭრო ქსელი სოციალურად დაუცველ მოსახლეობას „ინფლაციისგან დაიცავდა“.

„თავიდან ვფიქრობდით, რომ სოციალურად დაუცველი ფენა საკმარისი იქნებოდა ჩვენი ბიზნესისთვის და მოგებას ვნახავდით. ამიტომაც დასაწყისისთვის გათვლა მხოლოდ მათზე გავაკეთეთ“, – განმარტავს „ნუგეშის“

მენეჯერი დავით ჟღენტის.

2 თვის განმავლობაში სოციალურად დაუცველ მომხმარებელს საჭირო პროდუქტების ყიდვა 10-20 პროცენტით იაფად შეეძლო, ვიდრე ამას რომელიმე სხვა სავაჭრო ობიექტში მოახერხებდა.

2011 წლის 8 თებერვლიდან კი, მას შემდეგ, რაც ქალაქის მერმა ინფორმაცია გაავრცელა, რომ იაფი პროდუქცია უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა, „ნუგეშთან“ რიგები დადგა.

დავით ჟღენტის განმარტებით, გადანყვეტილება, რომ მალაზია ყველა



„ნუგეშის“ ჯიხური, თბილისი, თებერვალი 2011

■ თუ რა სახის შეღავათებს უწევს მერია „ნუგეშს“, ან როგორ ეხმარება ბიზნესის გაფართოებაში, მერიაში არ აკონკრეტებენ. თავად კომპანიაში აცხადებენ, რომ სავაჭრო ობიექტების ქუჩებში ჩადგმისთვის იჯარას არ იხდიან.

ტიპის მომხმარებლისთვის გაელო, კომპანიამ ქალაქის ხელმძღვანელობის თხოვნით მიიღო.

„მერიისგან წამოვიდა შეთავაზება, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი გაემხდარიყავით. შემდეგ კვლევები ჩავატარეთ და მივხვდით, რომ იაფ პროდუქციაზე მოთხოვნა დიდი იყო“, – ამბობს დავით ჟღენტი.

გიგი უგულავამ 7 თებერვალს კომპანია „ნუგეშს“ მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა და ყველა ნაციონალურ არხზე ერთი და იგივე განცხადება გააკეთა:

„ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაშია, ძირითადად, გარე ფაქტორებით არის გამოწვეული, ეს არის ფასების გაძვირების საკითხი. ჩვენ გადავწყვიტეთ, კერძო ინვესტორს მივცეთ შესაძლებლობა, თბილისში თითქმის 200 ადგილას გაჩნდეს ასეთი ობიექტები, სადაც შესაძლებელი იქნება, რომ მომხმარებელს პროდუქცია 15-20%-ით იაფად შესთავაზონ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა აღმოვფხვრათ შიდა სპეკულაცია. სადისტრიბუციო კომპანია და მალაზია ხშირად თვითონ ადებენ მალალ ფასს პროდუქციას და სპეკულირებენ, რომ მსოფლიოში ყველაფერი გაძვირდა. სინამდვილეში, ისეც არ გაძვირებულა, როგორც რეალურად ეს აქაურ ფასებზე აისახა. შიდა სპეკულაციას უშველის ერთადერთი რამ, თუ იქნება კონკურენცია. სწორედ ამიტომ დავუშვით ჩვენ აღნიშნული ქსელის ობიექტების გახსნა. მე ყოველდღიურად ვაკონტროლებ ამ ფასებს და მომდის ფასთა სხვაობა“, – განაცხადა გიგი უგულავამ.

თუ რა სახის შეღავათებს უწევს მერია „ნუგეშს“, ან როგორ ეხმარება ბიზნესის გაფართოებაში, მერიაში არ აკონკრეტებენ. თავად კომპანიაში აცხადებენ, რომ სავაჭრო ობიექტების ქუჩებში ჩადგმისთვის იჯარას არ იხდიან.

„ჩვენი სავაჭრო ობიექტების ფართობი 6 კვადრატულ მეტრამდეა, რაც იჯარის გადასახადს არ ექვემდებარე-

ბა“, – ამბობს დავით ჟღენტი. მისი თქმით, კომპანია ყველანაირ გადასახადს იხდის, როგორც სხვა კომერციული ორგანიზაციები.

„ნუგეშის“ წარმატებას მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი – აკაკი ახვლედიანიც განაპირობებს. როგორც დავით ჟღენტი ამბობს, ახვლედიანი, უკვე დიდი ხანია, კვების პროდუქტების იმპორტის ბიზნესშია და „ნუგეშს“ პროდუქტებით მისი პარტნიორები ამარაგებენ. როგორც კომპანიაში განმარტავენ, სწორედ ამიტომაც, რომ პროდუქცია სავაჭრო ქსელში რეკორდულად დაბალი ფასით ხვდება.

„ნუგეშის“ გაჩენის შემდეგ პროდუქტების მალაზიების ნაწილი კლიენტების ნაკლებობას უჩივის.

„ის პროდუქტები, რაც „ნუგეშში“ აქვთ, დღეს ჩვენთან საერთოდ არ გაყიდულა. იმათთან კი რიგები დგას. მაგალითად, კვერცხს, მაიონეზს, შაქარს იმაზე დაბალ ფასად ყიდიან „ნუგეშში“, რა ფასადაც ჩვენთან დისტრიბუტორებს შემოაქვთ“, – ამბობს „ნუგეშის“ ერთ-ერთი ჯიხურის სიახლოვეს მდებარე მალაზიის მეპატრონე მარინა.

„ნუგეშში“ ერთ კილოგრამ შაქარს 2 ლარად და 30 თეთრად შეიძენთ. ქალბატონი მარინას განცხადებით კი, შაქარში დისტრიბუტორებს ის 2 ლარს და 40 თეთრს უხდის. გასაყიდი ფასი მის მალაზიაში – 2 ლარი და 50 თეთრია. „ნუგეშში“ კვერცხი 23 თეთრი ღირს, ქალბატონ მარინასთან დისტრიბუტორებს 24 თეთრად შემოაქვთ, საბოლოო გასაყიდი ფასი კი 30 თეთრია, როგორც თბილისის თითქმის ყველა მალაზიაში.

ქალბატონი მარინა შიშობს, რომ ასეთ კონკურენციას მისი ბიზნესი ვერ გაუძლებს.

„ნუგეშის“ დამფუძნებლის, დავით ჟღენტის განცხადებით, გამორიცხულია, დისტრიბუტორების ფასები უფრო მაღალი იყოს, ვიდრე „ნუგეშის“. ის, ქალაქის მერის მსგავსად ფიქრობს, რომ მოგების გასაზრდელად სავაჭრო ობიექტებში ფასებს ხელოვნურად უმატებენ. ■

DOING BUSINESS IN GEORGIA

# უაიდ დისტრიბუშენი



„ქალაქის იერსახის გაფუჭების“ მოტივით, 2007 წელს თბილისის მერიამ, გარე ვაჭრობის სხვა სუბიექტებთან ერთად, პრესის ჯიხურებიც დახურა. პრესის გამავრცელებლები მაშინ ამბობდნენ, რომ მერიამ ჯიხურების აღება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოსთხოვა.

„საკრებულოდან მოვიდნენ და მი-თხრეს, ჯიხური ქალაქის იერსახეს ამა-ხინჯებს, სტანდარტებს არ ექვემდებარება და უნდა დახუროთო. შევთავაზე, თქვენ როგორც გინდათ, ისეთს გავაკეთებ-მეთქი, მაგრამ მაგაზეც უარი მი-თხრეს. არ შევინაღამდეგებივარ, აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერაფერს გაეხდებო-დი“, – ამბობს ვახტანგ ქავთარაძე, შპს „ინფო 2007“-ის დირექტორი. მისი კომპა-ნია საქართველოს რეგიონებს ამარაგებს პრესით. „ინფო 2007“ დღეს პრესას მაღა-ზიებში და სტელაჟებზე ავრცელებს.

ჯიხურების მასობრივი დახურვიდან ერთ წელიწადში პრესის გავრცელების ბაზარზე კომპანია „უაიდ დისტრიბუშენი“ გამოჩნდა. ახალ მოთამაშეს დედაქა-ლაქის მერიამ ტენდერის გარეშე მისცა უფლება, თბილისის ქუჩებში პრესის ჯი-ხურები ჩაედგა. დღეს „უაიდ დისტრი-ბუშენს“ ქვეყნის მასშტაბით 242 ჯიხური აქვს, აქედან 119 – მხოლოდ თბილისში.

კომპანიის 70%-იანი წილის მფლობე-ლი ოფორულ ზონაში, ვირჯინიის კუნ-

ძულებზე დარეგისტრირებული სააქციო დაზოგადოება „ბლექსთაილ მენეჯმენ-ტია“.

„ტენდერისა და გამჭვირვალობის გარეშე კომპანია „უაიდ დისტრიბუშენისთვის“ ამ უფლებების მინიჭება ეჭვს ბადებს, რომ მისი არსებობა ხელისუ-ფლების და კონკრეტულად მერიის ინ-ტერესებშია“, – ამბობდა მაშინ მედიაექს-პერტი ზვიად ქორიძე.

„ის აზრი, რომ ჩვენ ვართ მონოპოლის-ტები, არის თითქმის გამონოვლი და გა-ზვიადებული“, – ამბობს „უაიდ დისტრი-ბუშენის“ ფინანსური მენეჯერი ლევან ვადაქარია. კითხვაზე, თუ როგორ მოა-ხერხა მისმა კომპანიამ ქსელის გაფარ-თობა, როცა ქალაქიდან პრესის სხვა გამავრცელებელი ჯიხურები აიღეს, ვა-დაქარია პასუხობს, რომ სხვა კომპანიე-ბის ჯიხურების დახურვის შესახებ არა-ფერი სმენია. მათი კომპანიის წარმატება კი რამდენიმე მილიონიანმა ინვესტიციამ, მდიდარმა ადამიანურმა და ფინანსურმა რესურსებმა განაპირობა. ვადაქარიას თქმით, კომპანიას ერთი ჯიხურის გახსნა 15 ათასი ლარი უჯდება, უკვე არსებული ჯიხურების მოვლა კი თვიურად 10 ათასი ლარი ჯდება.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამ-სახურის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, 2009-2010 წლებში, მერიამ პრე-

■ 2009-2010 წლებში, მერიამ პრესის გავრცელების 184 ჯიხურის გახსნაზე გასცა დადებითი დასკვნა, აქედან 118 ჯიხური „უაიდ დისტრიბუშენს“ ეკუთვნის, 50 – შპს „აუთდორ.ჯის“, 16 კი – შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“.

სის გავრცელების 184 ჯიხურის გახსნაზე გასცა დადებითი დასკვნა, აქედან 118 ჯი-ხური „უაიდ დისტრიბუშენს“ ეკუთვნის, 50 – შპს „აუთდორ.ჯის“, 16 კი – შპს „საქარ-თველოს ლატარიის კომპანიას“.

„უაიდ დისტრიბუშენის“ დამფუძნე-ბელი კომპანია „ბლექსთაილ მენეჯ-მენტი“ ამავდროულად „აუთდორ.ჯი“-ს საკონტროლო წილის მფლობელიცაა. „აუთდორ.ჯი“ სარეკლამო კომპანიაა, რომელმაც „უაიდ დისტრიბუშენისთვის“ ჯიხურების პროექტი შეიმუშავა. ჯიხუ-რი გარეგნულად სარეკლამო კონსტრუ-ქციის ფუნქციას ითავსებს. ასე დარე-გისტრირდა სარეკლამო ლაითბოქსებად „უაიდ დისტრიბუშენის“ ჯიხურები, სა-

დაც დღეს გაზეთები, თამბაქო და ლატარიის ბილეთები იყიდება.

რამაზ თეთრუაშვილი „კვირის პალიტრის სახლის“ სადისტრიბუციო კომპანიის – „ელვა სერვისის“ დირექტორია. კომპანია 2000 წელს შეიქმნა და მას შემდეგ დედაქალაქსა და რეგიონებში 50-მდე ჯიხურს 120 ქართული და 60 რუსული გამოცემით ამარაგებს.

თეთრუაშვილი იხსენებს, რომ „უაიდ დისტრიბუშენმა“ ბაზარზე გამოჩენისთანავე შეძლო იმ პრობლემების მოგვარება, რასაც უკვე არსებული გამავრცელებლები ვერ ახერხებდნენ:

„ჩვენ ყოველწლიურად ვწერდით მერიას, რომ მოეცათ დამატებითი ადგილები პრესის სარეალიზაციოდ, შეგვექონდა განაცხადები კონკრეტული მისამართების მითითებით, მაგრამ ეს საკითხები ჭიანჭურდებოდა. მერე გამოჩნდა დიდი ორგანიზაცია, „უაიდ დისტრიბუშენი“. იქ, სადაც ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ჯიხურის ჩადგმა არ შეიძლებოდა, რადგანაც ის ტროტუარს ავიწროებდა, მათი ჯიხურები გაჩნდა“, – იხსენებს თეთრუაშვილი.

„უაიდ დისტრიბუშენის“ ბაზარზე გამოჩენის შემდეგ, კომპანიას რამდენიმე გამომცემლობამ, მათ შორის, საგამომცემლო სახლმა „კვირის პალიტრამ“, გაზეთმა „რეზონანსმა“, „ალია პოლდინგმა“ და გაზეთმა „მთელი კვირა“, პროტესტი გამოუცხადა და მათ ქსელში საკუთარი ჟურნალ-გაზეთების შეტანაზე უარი უთხრა.

გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორის მოადგილე ელისო ჩაფიძე ამბობს, რომ უარის მიზეზი ბეჭდური მედიის გავრცელების მონოპოლიზაციის საფრთხე იყო:

„სახელმწიფო მიდის იქითკენ, რომ მხოლოდ ერთი კომპანიის ხელში აღმოჩნდეს ბეჭდური მედიის გავრცელება, რაც პოტენციურად შეიცავს მისი შინაარსის კონტროლის საფრთხეს. მთავარია, მედიის გავრცელების არეალი იყოს თავისუფალი. ბეჭდური მედიის გავრცელება არ იყოს მონოპოლიზებული და იყოს ბევრი კომპანია, რომლებიც ერთმანეთს გაუწევენ კონკურენციას“.


„უაიდ დისტრიბუშენის“ ფინანსურ მენეჯერს გამომცემლების პროტესტი არაარგუმენტირებულად მიაჩნია. მისი

თქმით, კომპანია იძულებული გახდა ეს გაზეთები „შემოვლითი გზებით“ შეეძინა:

„თუ გაზეთი არის მაღალრეიტინგული და გაყიდვადი, მაინც ვყიდულობთ ამ გაზეთებს და მოგების გარეშე ვყიდით. ჩვენ მივდივართ ზარალზე იმისათვის, რომ მომხმარებელს სურვილები დავეუკმაყოფილოთ“.

2009 წელს გავრცელების ბაზარზე არსებული პრობლემების საპასუხოდ „საქართველოს პრესის ასოციაცია“ შეიქმნა.

ასოციაციამ პრესის გავრცელებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივა მოამზადა, რომლის მიზანიც ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელების ხელშემწყობი პირობების და ბეჭდვითი პროდუქციით თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესაძლო შეზღუდვისაგან დაცვა იყო. კანონპროექტი 2010 წლის გაზაფხულზე იყო ინიცირებული, თუმცა პარლამენტს ის დღემდე პირველი მოსმენითაც არ განუხილავს. ■



საინფორმაციო ოცნება სტუდია

DOING BUSINESS IN GEORGIA

# GWP - თბილისის წყალი



■ **Multiplex Energy Limited**-თან დადებული ხელშეკრულების დანართები და ხელშეკრულებაში 2009 წლის დეკემბერში შესული ცვლილების შესახებ შეთანხმება გასაიდუმლოებულია.

კომპანია GWP („ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“) იმიტომ ცნობილია, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან დღემდე ხელისუფლება მას განუწყვეტლივ სთავაზობს შეღავათებს.

ინვესტორ კომპანია Multiplex Energy Limited-ს საქართველოს მთავრობასთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მთავრობასთან 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გადაეცა შპს „რუსთაველკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100%-იანი წილები.

წილების გასხვისება საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებით დადგენილი პირობებით მოხდა.

თავიდან ცნობილი იყო, რომ Multiplex Energy Limited-ს პირდაპირი მიყიდვის ფორმით უნდა გადასცემოდა: შპს „რუსთაველკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%

წილი 10 მილიონ აშშ დოლარად; შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 662 ათას აშშ დოლარად, ხოლო ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს „თბილისის წყლის“ 100%-იანი წილი 85 მილიონ აშშ დოლარად.

თუმცა, ეს პირობები ხელშეკრულების დადებისას მნიშვნელოვნად შეიცვალა და ინვესტორს წილების ჯამური ფასი 15 650 792 აშშ დოლარით, განსახორციელებელი ინვესტიციის ჯამური ოდენობა – 80 000 000 აშშ დოლარით, ხოლო საბანკო გარანტიის ოდენობა – 4 000 000 აშშ დოლარით შეუმცირეს.

გარდა ამისა, ახალი პირობებით, ინვესტორს არც წყლის ხარისხის გაუმჯობესება დაევალა. Multiplex Energy Limited-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩანერილია, რომ „წყლის ხარისხი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს

„ჯანმო“-ს (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი.“

მთავრობასა და ინვესტორს შორის დადებული პირველადი ხელშეკრულებით, კომპანიას ტარიფის გაზრდის უფლება მხოლოდ 2014 წლიდან ჰქონდა. თუმცა, როგორც ირკვევა, 2009 წლის დეკემბერში ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა (Multiplex Energy Limited-თან დადებული ხელშეკრულების დანართები და ხელშეკრულებაში 2009 წლის დეკემბერში შესული ცვლილების შესახებ შეთანხმება გასაიდუმლოებულია) და წყალიც გაძვირდა – 2011 წლის 1 იანვრიდან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ იმ აბონენტებისთვის, რომელთაც წყალი 24-საათიან რეჟიმში მიეწოდებოდა, ტარიფი 2.40-დან 3.15 ლარამდე გაზარდა. GWP-ის მონაცემებით, ასეთი აბონენტების რიცხვი თბილისის მოსახლეობის 86 პროცენტია.

კომპანიის გენერალური დირექტორი

DOING BUSINESS IN GEORGIA

# სითი პარკი

იორგ მათისი არ მალავს, რომ წყლის ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილება მთავრობასთან შეთანხმებული იყო: „წყლის ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილება მთავრობასთან ერთად მივიღეთ. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ინვესტიცია განვახორციელეთ და ჩვენ მიერ ჩადებული ინვესტიცია შესაბამისი ტარიფით უნდა იყოს გამართლებული“.

პირველი ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას თბილისის ძველი საზღვრების ფარგლებში (31.12.06 მდგომარეობით) არსებული ქალაქი წყლის უწყვეტი მომარაგებით 2011 წლამდე უნდა უზრუნველყო, ხოლო ქალაქი ახალი საზღვრების ფარგლებში – 2013-2015 წლებში. როგორც გაირკვა, 2009 წლის დეკემბერში ხელშეკრულებაში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც დედაქალაქის უწყვეტი წყალმომარაგების ბოლო ვადამ 2013 წლამდე გადაინა.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მონაცემებით, თბილისელთა 40 პროცენტზე მეტი წყლის გადასახადს ნაწილობრივ, ან საერთოდ არ იხდის. ხელისუფლება GWP-ს წყლის გადასახადის ამოღებაშიც დაეხმარა: 1 დეკემბრიდან ძალაში შევიდა კომუნალური გადასახადების ერთიანი ქვითარი და ყველა იმ აბონენტს, რომელიც 2011 წლის 1 იანვრიდან წყლის გადასახადს არ გადაიხდის, ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდებას შეუწყდება (კომუნალური გადასახადების ერთიანი ქვითარი, სავარაუდოდ, თებერვლიდან ამოქმედდება. ამ ეტაპზე კომპანიებს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დასრულებულა).

„მულტიპლექს სოლუმენსი“ ჟენევის სავაჭრო რეესტრში 2005 წლის 23 აგვისტოს არის რეგისტრირებული. მისი ერთადერთი დამფუძნებელი ვინმე ბიტ სპოუერია. ეს სახელი და გვარი კიდევ 87 კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ფიგურირებს. ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ არ აქვს ვებგვერდი და ამ კომპანიის თაობაზე ინტერნეტში არ იძებნება არც ერთი გვერდი. □

კომპანია „სითი პარკი“ ხელოვნურად შექმნილი მონოპოლიის ნიმუშია. 2007 წლის ნოემბერში ჩატარებულ აუქციონზე კომპანიას 15-წლიანი იჯარით ერთპიროვნულ მმართველობაში გადაეცა დედაქალაქის მასშტაბით ავტომობილების პარკირებისათვის საჭირო ტერიტორია.

აუქციონზე გამარჯვებულ კომპანიას ევალუბოდა ქალაქში პარკირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის – ღია და დახურული სადგომების შექმნა, პარკომეტრების დამონტაჟება.

„სითი პარკს“ აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ინვესტიცია არ განუხორციელებია – კომპანიას არც ახალი საპარკინგე შენობები და სადგომები მოუწყვია და არც პარკომეტრების სისტემა შეუქმნია. ავტომანქანების პარკირების ახალი ადგილები კი, ძირითადად, ტროტუარების და გზის შევინროების ხარჯზე გამოიყო.

მიუხედავად ამისა, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან „სითი პარკმა“ თბილისში ავტომობილების პარკირების გადასახადი 100%-ით, 50 ლარამდე გაზარდა. კომპანიაში განაცხადეს, რომ გადასახადის გაორმაგება საპარკინგე ადგილების 4 000-დან 44 000-მდე ზრდამ გამოიწვია.

პარკირების სისტემის ოპერატორმა კომპანიამ გადასახადის გაზრდა 2009

წლის სექტემბერშიც სცადა. მაშინ „სითი პარკის“ ამ მცდელობას თბილისის მერმა უგულვად „უსამართლო“ უწოდა და კომპანიის ადმინისტრაციას პარკირების ადმინისტრირების უფლების ჩამორთმევითაც დაემუქრა. ის, რაც უსამართლო იყო 2009 წლის სექტემბერში, სამართლიანი აღმოჩნდა 2010 წლის ოქტომბერში. მიზეზი შესაძლოა ის იყო, რომ 2010 წლის მაისის თვითმმართველობის არჩევნების წინ ამ მომსახურების გაძიერება ხელისუფლებისთვის წამგებიანი იქნებოდა და ეს პროცესი რამდენიმე თვით სწორედ ამიტომ გადაიდო.

თბილისის მერიის მაღალჩინოსნებმა განმარტეს, რომ 2010 წელს კომპანიამ ავტომანქანების პარკირების ფასის გაზრდის საჭიროება დაასაბუთა. თუმცა გადასახადის ზრდის ეკონომიკურად დასაბუთებული მოთხოვნა თვალთ არავის უნახავს. როგორც ჩანს, მერიის მაღალჩინოსნებსა და „სითი პარკს“ შორის მხოლოდ სიტყვიერი მოლაპარაკება შედგა.

„სითი პარკისა“ და თბილისის მერიის ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად, გამოდის, რომ კომპანია „სითი პარკს“ მინიმალური დანახარჯების და აუქციონის პირობების დარღვევის მიუხედავად, გაორმაგებული მოგების მიღების შესაძლებლობა აქვს. □



სითი პარკი

ფოტო: მანას კორნაძე

DOING BUSINESS IN GEORGIA

## თბილისის სამარშრუტო ტაქსების ბიზნესი

თბილისის მერიამ სამარშრუტო ტაქსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანების ნებართვის მისაღებად კონკურსი 2010 წლის 6 დეკემბერს გამოაცხადა. კონკურსი 5 ლოტზე გამოცხადდა:

ლოტი №1 (ვაკე-საბურთალოს რაიონი);  
ლოტი №2 (ძველი თბილისი-დიდგორის რაიონი);

ლოტი №3 (დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი);

ლოტი №4 (გლდანი-ნაძალადევის რაიონი);

ლოტი №5 (ისანი-სამგორის რაიონი)

კონკურსში მონაწილე კომპანიას უნდა წარმოედგინა საბანკო გარანტია: კონკურსში მონაწილეობისათვის – 100 000 ლარის ოდენობით; საკონკურსო პირობების შესრულებისათვის – არანაკლებ 1 300 000 აშშ დოლარის ოდენობით; ხოლო სანებართვო პირობების შესრულებისთვის ყოველ ავტობუსზე 1 200 აშშ დოლარის ოდენობით.

გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის მთავარ პირობებად ავტობუსების ტექნიკური მდგომარეობა, ავტობუსების რაოდენობა და საბანკო გარანტიის ოდენობა დასახელდა. მიუხედავად ხელისუფლების მტკიცებისა, რომ ტრანსპორტით მომსახურების ტარიფი არ გაიზრდება, ასეთი ვალდებულება საკონკურსო პირობებში ჩადებული არ იყო. კონკურსის პირობების მიხედვით, გამარჯვებულის გამოვლენისათვის მომსახურების ფასს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

თბილისის სატრანსპორტო ბაზარზე ამჟამად მოქმედმა 46 კომპანიიდან დიდმა უმეტესობამ საბანკო გარანტიების წარმოდგენა ვერ შეძლო. მათ კონკურსში მონაწილეობა არც მოუღიათ.

სამარშრუტო ტაქსების ტენდერში 7 კომპანიის 8 განაცხადი შევიდა. 31 იანვარს თბილისის მერიამ სამარშრუტო ტაქსების 20-წლიან ტენდერში გამარჯვებულები გამოავლინა. 2031 წლამდე თბილისში სამარშრუტო ტაქსებით რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებს განახორციელებენ კომპანიები: ვაკე-საბურთალოსა და გლდანი ნაძალადევიში – შპს „თბილ ლაინი“, ძველი თბილისი-დიდგორში – შპს „კაპიტალ გრუპი“, დიდუბე-ჩუღურეთში – შპს „თბილ ქარი“, ხოლო ისანსა და სამგორში – შპს „ფაბლიქ ქარი“.

ტენდერის პირობების თანახმად, ამ კომპანიებმა 2011 წლის ოქტომბრიდან თბილისში 3078 ყვითელი ფერის, უახლესი (2011 წელს გამოშვებული) „ფორდ-ტრანზიტის“ ტიპის, კონდიციონერით და სალა-

რო აპარატით აღჭურვილი ახალი მიკროავტობუსები უნდა შემოიყვანონ.

თბილისის საკრებულოს წევრი, რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი ეჭვობს, რომ ამ ტენდერით სატრანსპორტო ბიზნესის ეს სფერო თბილისის მერთან დაახლოებული ჯგუფის ხელში გადავიდა.

„კომპანიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ბევრ ეჭვს აჩენს. ოთხიდან სამი კომპანია – „ფაბლიქ ქარი“, „თბილ ქარი“ და „თბილ ლაინი“ დაფუძნებულია სპეციალურად ამ კონკურსისთვის, მათ შორის, ორი – ერთსა და იმავე დროს – 17 დეკემბერს. ამ ორ კომპანიას საჯარო რეესტრის მოსაკრებელი გადახდილი აქვს 5 წუთის სხვაობით. ასევე, 5 წუთის სხვაობით წარადგინეს განცხადებები საჯარო რეესტრში. სამივე კომპანიის წესდება სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს ერთადერთი გამონაკლისით – ხელმოწერის გვარი და სახელი არის შეცვლილი“, – ამბობს თინა ხიდაშელი.

სამივე კომპანიის დოკუმენტები დამონმებულია ერთი და იმავე ნოტარიუსის, ქალბატონ ნანი გინტურის მიერ. სამივე კომპანიის კაპიტალი 100 ლარს შეადგენს. სამივე კომპანიის საბუთებში დევს დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც თბილისში, სანაპიროს ქ. №3-ში მდებარე რესტორანი „ძველი სახლი“ აძლევთ თანხმობას საოფისე ფართის გამოყოფაზე. მოგვიანებით, ერთ შემთხვევაში ეს დოკუმენტი შეცვლილია და უკვე სხვა რესტორნის – „ქალაქურის“ – დირექტორის ხელმოწერილი დოკუმენტი ჩნდება კომპანია „ფაბლიქ ქარისთვის“ ფართის გამოყოფაზე.

„ყველა ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ თბილისის სატრანსპორტო სფეროს მონოპოლიზაცია გარანტირებული აქვს. ეს „რეფორმა“ წინასწარ იყო განზრახული იმ მიზნით, რომ ამ არარსებულ კომპანიებს მიეღოთ ტენდერში მონაწილეობა, მომხდარიყო სფეროს მონოპოლიზაცია და ერთი ადამიანის, ქალაქ თბილისის მერის და მისი ძალიან ვიწრო სამეგობროს ხელში მოქცეულიყო ეს ძალიან მომგებიანი და მნიშვნელოვანი ბიზნესი თბილისში“, აცხადებს „რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი. **□**

■ **სამივე კომპანიის დოკუმენტები დამონმებულია ერთი და იმავე ნოტარიუსის მიერ. სამივე კომპანიის კაპიტალი 100 ლარს შეადგენს.**



ფოტო: თბილისი პრეზიდენტის ადმინისტრაცია



DOING BUSINESS IN GEORGIA

# IBERMEAT GEORGIA

ნატახტარის სასაკლაო, 2010

ფოტო: თემო არაჩვანიძე

გასულ წელს სურსათის უვნებლობის სამსახურმა ახალი რეგულაცია ამოქმედა: თბილისის ნებისმიერ სავაჭრო ობიექტში ხორცი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიყიდოს, თუ საქონელი ციხისძირის, ნატახტარის, ყარაჯალას და ასპინძის სასაკლაოებზე დაიკვლება.

სასაკლაოები გარდაბანში, თელავში, სენაკსა და ხაშურშიც არსებობს. თუმცა, სურსათის უვნებლობის სამსახურში განაცხადეს, რომ ამ სასაკლაოებზე სანიტარული ნორმები დაცული არ არის და იქ დაკლული საქონელი თბილისში გაყიდვის უფლებას ვერ მიიღებს.

თუ თბილისში მოქმედი სავაჭრო ობიექტი ან ბაზარი ჩაიბარებს და ივაჭრებს ისეთი ხორცი, რომელიც ციხისძირის, ნატახტარის, ყარაჯალას და ასპინძის სასაკლაოებზე არ არის დაკლული, მას 1000-1500 ლარის ოდე-

ნობის ჯარიმა დაეკისრება.

თბილისის თითქმის მთელ ბაზარს ამჟამად ერთი კომპანია – ნატახტარის სასაკლაოს მფლობელი „Ibermeat Georgia“ აკონტროლებს. ამ სასაკლაოზე 1 კგ ხორცის დამუშავებაში გლეხი 1 ლარს იხდის. ამ თანხას საქონლის ტრანსპორტირების ხარჯიც ემატება, რაც შესაბამისად, ხორცის გაძვირებას იწვევს.

სურსათის უვნებლობის სამსახურის მთავარი არგუმენტი მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. როგორც ამ სამსახურში განმარტეს, სასაკლაოზე დაკლული საქონლის ხორცი მომხმარებლისთვის უსაფრთხო იქნება. თუმცა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ალექო ცინცაძემ განაცხადა, რომ გლეხებს არ აუკრძალავენ ხორცის სახლთან ახლოს გაყიდვას და რომ შეუმონღებელი ხორცის მხოლოდ ქალაქის ბაზრებში გაყიდვა იკრ-

ძალება. გამოდის, ხელისუფლება მხოლოდ ქალაქლების უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ შემოღებული რეგულაციების გამო გაძვირებული ხორცის ფასის დარეგულირება სოფლის მეურნეობის მინისტრმა ისევ სახელმწიფოს ჩარევით გადაწყვიტა: „სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ ხალხის ხარჯზე მოხდეს გარკვეული სპეკულაციური ჯგუფების გამდიდრება და ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ფასები ძველ ნიშნულს დავუბრუნოთ“.

შედეგად, ნატახტარის სასაკლაოს მფლობელი კომპანია „Ibermeat Georgia“-მ თბილისის მასშტაბით რამდენიმე სუპერმარკეტი გახსნა, სადაც ხორცის ღირებულება, წესით, 8 ლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა, სავაჭრო ქსელ „იბერულაში“ ხორცი მინც საბაზრო ფასით იყიდება. ■



ფოტო სპრინგ ფაუნდერი

## DOING BUSINESS IN GEORGIA

# ბავხასუს ონლაინი

ქართულ ინტერნეტ ბაზარზე მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც „საქართველოს გაერთიანებული ტელეკომი“ (ახლანდელი „სილქნეტი“) ბაზრის წილის დაუფლებას შეეცადა.

„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ სახელმწიფო კომპანია „ელექტროკავშირი“, საკომუნიკაციო ქვებთან ერთად, 2006 წლის მაისში 90 მილიონ დოლარად შეიძინა. მისი მთავარი კონკურენტი „კავკასუს ონლაინი“ იყო, რომელმაც „სანეტთან“ და „ჯორჯია ონლაინთან“ გაერთიანების შედეგად 2007 წლისათვის ბაზრის 90% დაიკავა. „საქართველოს გაერთიანებულმა

ტელეკომმა“ ინფრასტრუქტურაზე ერთპიროვნული კონტროლით ისარგებლა და კონკურენტი კომპანიები საკუთარ საკომუნიკაციო ქვებში არ დაუშვა. პროვადერებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით 2008 წელს დაიძაბა, როცა „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ „კავკასუსს“ ჯერ 3 მილიონი ლარის დავალიანების გადახდა მოსთხოვა, შემდეგ კი კომპანიის DSL სისტემის მომხმარებლები გათიშა.

„კავკასუს ონლაინმა“ ალტერნატიული გზა მონახა და ADSL ტექნოლოგიის პარალელურად, დედაქალაქში ე. წ. ჯე-ლინკის (ობტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი)

ტექნოლოგიაც შემოიტანა და ამ ქსელით თბილისის დიდი ნაწილი დაფარა.

„გაერთიანებულ ტელეკომთან“ კონფლიქტს „კავკასუსის“ მიმართ ხელისუფლების განსაკუთრებული ინტერესი დაემატა და ინტერნეტ ბაზრის ყველაზე მსხვილი მოთამაშისთვის ბაზრის გაფართოების შესაზღუდად ახალი გზა გამოიძებნა: თბილისის მერიის საქალაქო ზედამხედველობის სამსახურმა „კავკასუს ონლაინი“ ინტერნეტის ქსელის უკანონო მშენებლობაში დაადანაშაულა და ოპტიკური კაბელები თბილისის 6 უბანში გადაჭრა, რის შედეგადაც 400-მდე კორპუსის აბონენტებს ე.წ. „ჯე-

-ლინკის“ ინტერნეტ მომსახურება შეუწყდათ.

მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, „კავკასუსისთვის“ ჯე-ლინკის ქსელის გაფართოება შეუძლებელი აღმოჩნდა.

პრობლემა მას შემდეგ ამოიწურა, რაც „კავკასუს ონლაინის“ გენერალურმა დირექტორმა მამია სანადირაძემ საკუთარ კომპანიაში 80%-ის ნაცვლად 30-პროცენტისანი წილი დაიტოვა და კომპანიის მართვიდან გავიდა.

ახალი დირექტორის, გია ადგიშვილის ინფორმაციით, კომპანიის 50%-ს ახლა ოფშორული ფირმა „გროუს მასტერ ჰოლდინგსი“ ფლობს, 19.94%-ს კი – „ნელგადო ლიმიტედი“, რომლის შესახებ ინფორმაცია საქართველოს სამეწარმეო რეესტრში არ იძებნება.

„კავკასუს ონლაინში“ ახალი მენეჯმენტი შევიდა, რომელსაც თბილისის მერიასთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდა. ქსელის გაფართოების პროცესი განახლდა.

„გაერთიანებულ ტელეკომთან“ და ხელისუფლებასთან დაპირისპირება „კავკასუს ონლაინს“ ინტერნეტ ბაზრის სერიოზული წილის დათმობად დაუჯდა. top.ge-ს მონაცემებით, „კავკასუს ონლაინს“ ბაზრის მხოლოდ 36 პროცენტი უკავია. სამაგიეროდ, პოზიციები გაიმყარა „სილქნეტმა“, რომელიც ამჟამად ქართული ინტერნეტ ბაზრის 42 პროცენტს აკონტროლებს. **■**

**„გაერთიანებულ ტელეკომთან“ და ხელისუფლებასთან დაპირისპირება „კავკასუს ონლაინს“ ინტერნეტ ბაზრის სერიოზული წილის დათმობად დაუჯდა. top.ge-ს მონაცემებით, „კავკასუს ონლაინს“ ბაზრის მხოლოდ 36 პროცენტი უკავია.**

DOING BUSINESS IN GEORGIA

# მაბი სტილი



ქუთაისის პარლამენტის პროექტი

ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე მინისა და მეტალის კონსტრუქცია – საქართველოს პარლამენტის ახალი შენობა – 2012 წელს უნდა დასრულდეს.

ქუთაისში პარლამენტის აშენება 2009 წლის დეკემბერში გადაწყდა. დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ ახალი შენობის პროექტი 60 მილიონი ლარი ღირს, თუმცა, საიდან გამოიყოფა ეს თანხა და როგორ უნდა გადანაწილდეს, ამის შესახებ საუბარი „ნაადრევად“ მიიჩნია.

ახალი შენობის შესახებ „საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს“ შესაბამისი ფინანსური ასსნა-განმარტება არ მოჰყოლია, (რაც პროცედურების დარღვევაა). გადაწყვეტილება, რომ პარლამენტის შენობა თბილისიდან ქუთაისში გადაეტანათ, დეპუტატებმა ფინანსური დოკუმენტაციის გარეშე დაამტკიცეს.

პასუხი კითხვაზე, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩა კომპანიები, ვინც სამუშაოებს ატარებს, ბუნდოვანია. მთავრობის 2010 წლის №418-ე განკარგულებით, მშენებლობაზე პასუხისმგებელი უწყება ქუთაისის მერიაა.

სამშენებლო კომპანიების შერჩევა, მთავრობის განკარგულებით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მოხდა და ქუთაისის მერიას ტენდერი არ ჩაუტარებია.

იურისტების შეფასებით, როცა სა-

ხელმწიფო ობიექტი შენდება და პროექტზე რამდენიმე ათეული მილიონი ლარი ქვეყნის ბიუჯეტიდან იხარჯება, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შემსრულებლის დაქირავება დაუშვებელია. ტენდერისთვის გვერდის ავლა, ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობამ დიდი დაკვეთის შესასრულებლად ისეთი ფირმა აირჩია, რომელიც სხვებს კონკურენციას ვერ გაუწევდა.

ქუთაისის მერიამ კონტრაქტი ორ კომპანიასთან გააფორმა – „მენო ინტერნეიშენალთან“ და „მაგი სტილთან“. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერიდან კი ვიგებთ, რომ ორივე გამარჯვებულ კომპანიას ერთი და იგივე მფლობელები ჰყავს – „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი და ამჟამად კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი და „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი გიორგი გეგეშიძე.

„მაგი სტილი“ თბილისში კიდევ ერთ სამთავრობო პროექტში მონაწილეობს და ისანი-სამგორის რაიონში „სამხედრო ქალაქს“ აშენებს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს და სამხედრო ოფიცრებს ოროთახიანი ბინები საკუთრებაში გადაეცემათ. პროექტი თავდაცვის სამინისტროს დაკვეთაა და წელს უნდა დასრულდეს.

## DOING BUSINESS IN GEORGIA

# საქართველოს დასახლის ხომჯანია

ქუთაისის მერიამ „მენო ინტერ-ნეიშენალთან“ 1 მილიონ 500-ათას ლარიანი ხელშეკრულება გააფორმა. 2010 წლის დასაწყისში ქალაქის ბიუჯეტში პარლამენტის მშენებლობისთვის მთავრობის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების სარეზერვო ფონდიდან“ 5 მილიონი ლარი გადაირიცხა. ქუთაისის მერიამ 2010 წლის ბოლომდე იგივე დანიშნულებით კიდევ 5 მილიონი ლარი უნდა მიიღოს.

დეტალური ხარჯთაღრიცხვა საჯარო არ არის. მთავრობის ვებგვერდზე არცერთი განკარგულება არ დევს, რაც პარლამენტის ახალი შენობის დაფინანსებას ეხება. ინფორმაციის მიღება სა-მთავრობო სარეზერვო ფონდებიდან კი

■ დეტალური ხარჯთაღრიცხვა საჯარო არ არის. მთავრობის ვებგვერდზე არცერთი განკარგულება არ დევს, რაც პარლამენტის ახალი შენობის დაფინანსებას ეხება.

შეუძლებელია, რადგან პარლამენტი სარეზერვო ფონდებისთვის გამოყოფილ თანხას წინასწარი ხარჯთაღრიცხვის გარეშე ამტკიცებს.

სამშენებლო სამუშაოების საფასურს გულმოდგინედ მალავენ მშენებელი კომპანიებიც:

„ეს არის სახელმწიფო ობიექტი. არანაირი უფლება არ მაქვს, რაიმე გითხრა, საიდუმლოა. საქმე სახელმწიფოს შეკვეთას ეხება და არ მინდა, რაიმე ისეთი ვთქვა, რაც შემდეგ სწორი არ იქნება“, – უთხრა „ლიბერალს“ სატელეფონო საუბრისას სამშენებლო კომპანია „მაგი სტილის“ მარკეტინგის მეწვერმა დავით კურცხალიამ. **■**

2009 წლის 24 მარტს ლატარიის ბიზნესის თამაშის წესები რადიკალურად შეიცვალა. ყველა მოქმედ კომპანიას ლიცენზია ერთდროულად შეუწყდა. სახელმწიფომ საქმიანობის დასასრულებლად ყველას 3 თვის ვადა მისცა.

ამ მნიშვნელოვანი ცვლილების მიზეზი „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების შესახებ“ კანონის ახალი ვარიანტი გახდა. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ლატარიებისა და მომენტალური თამაშების ლიცენზიის მფლობელი მხოლოდ ერთი კომპანია შეიძლება იყოს.

დაახლოებით ერთ თვეში (2009 წლის 15 აპრილს) ფინანსთა სამინისტრომ ლიცენზიაზე ტენდერი გამოაცხადა. მსურველებს წინადადებების შესატანად ერთი თვე მისცეს.

სატენდერო კომისიაში 5 კომპანიის განაცხადი შევიდა. თუმცა 12 ივნისს კომისიის სხდომაზე მხოლოდ შპს „ტექნოლოგია პლუსის“ და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ წინადადებები განიხილეს. შპს G-LOT, შპს „ტოტო-ლოტო საქართველო“ და შპს „საქართველოს ეროვნული ლატარიის კორპორაცია“ ტენდერის მეორე ეტაპზე ვერ მოხვდნენ. ტენდერში „საქართველოს ლატარიის კომპანიამ“ გაიმარჯვა და პირველად გამოჩნდა ქართულ ბაზარზე.

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ ტენდერის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე შეიქმნა. თბილისში ის 2009 წლის 8 მაისს დარეგისტრირდა. კომპანიის დამფუძნებელი და 100-პროცენტის ნილის მფლობე-

ლი შპს „ლექსორ კაპიტალ კორპია“. ეს კომპანია ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული. მართვას ქართველებთან ერთად ჰონგ-კონგის ჯგუფი და ებრაული მხარე ახორციელებენ.

ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ უპირატესობა იმის გამო მიანიჭა, რომ მან სახელმწიფოს ყველაზე მაღალი მოგების პირობა მისცა. „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ გათვლებით, ის ბილეთების გაყიდვით 10 წლის განმავლობაში 4,2 მილიარდი ლარის შემოსავალს მიიღებს. 913 მილიონ ლარს კი ბიუჯეტში გადარიცხავს.

სხვა რა კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა ბაზრის ერთადერთი მოთამაშე და რა ტიპის კონკურენცია შედგა კომპანიებს შორის, უცნობია, რადგან ტენდერის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე, მთავრობამ N74 დადგენილებით, ლატარიის ლიცენზიის მოსაპოვებლად წარდგენილი სატენდერო წინადადებები დახურა და საიდუმლო გახადა.

რაში დასჭირდა სახელმწიფოს ლატარიის ბიზნესში სისტემის მონოპოლიზება, ამაზე სამთავრობო უწყების წარმომადგენლები არ საუბრობენ. შეკითხვებს არც პარლამენტში კანონის ინიციატორები პასუხობენ. მათ ნაცვლად, ლატარიის კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ავთანდილ წერეთელი განმარტავდა: „საქართველო მოცულობით დიდი ქვეყანა არ არის. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფომ ადმინისტრაციული რესურსი რამდენიმე მხარეს მიმართოს, ურჩევნია, ერთი ოპერატორი ჰყავ-



ფოტო: თეიმურაზ პარფინაძე/საქსტა

დეს. ამ ერთს გამოუცხადებს ნდობას და მკაცრად გააკონტროლებს“.

თამაშგარე დარჩენილი კომპანიების მფლობელების თქმით, ტენდერის წინადადებების შედგენისას, ფინანსთა სამინისტრომ კარგად იცოდა, რომ ბაზარზე არსებული კომპანიები მათ დაკმაყოფილებას ვერ შეძლებდნენ, ვერ მოიზიდავდნენ საკმარის ინვესტიციებს ტენდერის მოსაგებად. კანონმდებლობით ყველაფერი მომზადდა, რომ ბაზარზე ახალი, მსხვილი კომპანია შემოსულიყო და ლატარიის მართვა საკუთარ თავზე აეღო.

ავთანდილ წერეთელი გვიხსნის, რომ ქართული ეკონომიკური გარემო

მანცდამაინც მომგებიანი არ არის და ლატარიის ბიზნესში ინვესტორთა ჯგუფის მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ის არ მალავს, რომ საქართველოში შექმნილი მონოპოლისტური სისტემა ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი კომპანიისთვის. „ეს იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა, რომ ჩვენ ინვესტორებს ტენდერში მონაწილეობა მიეღოთ და ქართულ ბაზარზე შემოსულიყვნენ. ძალიან კარგად ერგება ეს სქემა ჩვენს პრინციპებს“, – ამბობს „ლატარიის კომპანიის“ აღმასრულებელი დირექტორი. **□**

■ „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ გათვლებით, ბილეთების გაყიდვით 10 წლის განმავლობაში ის 4,2 მილიარდი ლარის შემოსავალს მიიღებს. 913 მილიონ ლარს კი ბიუჯეტში გადარიცხავს.



ფოტო თბილისი პარლამენტისგან

შპს-ის ქონების ბაზარი

## "ხჩეული" ჰიხაშიდა

„ცენტრ პოინტის“ ფინანსური პირამიდა დაინგრა, რაც ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა გამოიწვია.

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

2 თვეზე მეტია, 200-მდე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი პერმანენტულ საპროტესტო აქციებს მართავს. პროტესტი გამობატეს პრეზიდენტის რეზიდენციასთან, თბილისის მერიასთან, „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ და კიდევ რამდენიმე ადგილას. ამ ჯგუფის საპროტესტო აქციას ყველაზე ხშირად აღმამენებლის გამზირზე, 150 ნომერში წაანყდებით. შეცახილები უცვლელია: „რჩეულიშვილი! რჩეულიშვილი! რჩეულიშვილი!“

საქმე ის არის, რომ ამ ადამიანებს კომპანია „ცენტრ პოინტი“ და მისი დამფუძნებლები – რჩეულიშვილების ოჯახი –

რამდენიმე წელია, არც კუთვნილ ბინებს გადასცემს და არც გადახდელ თანხას უბრუნებს.

„ცენტრ პოინტი ჯგუფი“ 1999 წელს დაფუძნდა და რამდენიმე წელში სამშენებლო ბაზრის მესამედს ფლობდა, მშენებლობების პიკს კი 2005-07 წლებში მიაღწია.

იმდროინდელ სარეკლამო კლიენტებს თუ დავუჯერებთ, „ცენტრ პოინტი“ აშენებდა „ყველგან, ყველაზე იაფად და ყველაზე კარგად“. თუმცა ის, რომ კომპანიას პრობლემები ჰქონდა, 2008 წლიდან კარგად გამოჩნდა. „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ 6 ათასზე მეტი კლიენტი დაზარალებულია

– დიდ ნაწილს ბინის საფასური წინასწარ და სრულად აქვს გადახდილი, მათი სახლები კი კვლავაც დაუსრულებელია.

დაზარალებული კლიენტების ბინების ნაწილი აშენებულია და დასრულება სჭირდება, ნაწილი სანახევროდაა აშენებული. არის ობიექტები, რომელთა მშენებლობა ჯერ არც დაწყებულა.

„წლების განმავლობაში, აშშ-ში ვცხოვრობდი და ტაქსის მძღოლად ვმუშაობდი, თუ რამე ვიშოვე, დიდი ნაწილი „ცენტრ პოინტს“ გადავუხადე, ვფიქრობდი, საქართველოში როცა დავბრუნდებოდი, სახლი დამხვდებოდა. 43 ათასი დოლარი გა-

დავიხადე, ბინა 2008 წლის თებერვალში უნდა ჩამბარებოდა. თუმცა ამერიკიდან რომ დაებრუნდი, ბინის ნაცვლად ჰყერი დამხვდა. ჩემი ბინა მე-11 სართულზეა, ამენებული კი მხოლოდ 6 სართულია, – აცხადებს დღეს უკვე დაზარალებული გურამ ზარნაძე.

„2006 წელს გავაფორმე ხელშეკრულება და 36 ათასი დოლარი გადავიხადე, ბინა 2 წელიწადში უნდა ჩამბარებოდა, თუმცა ამ დროში მხოლოდ 2 სართული ამენდა. ფირმის ხელმძღვანელობას ვთხოვე, სხვა კორპუსში მოეცათ ბინა. 29 ათასი დოლარი კიდევ დამამატებინეს და მითხრეს, მალე უფრო დიდ ბინას გადმოგცემთო. თუმცა, ეს მეორე მშენებლობაც გაჩერდა. ჩემი შვილი უცხოეთიდან მიგზავნიდა ამ სახლის ფულს, ჩვენი ბინაც გავყიდეთ. დავრჩი უსახლკაროდ,“ – ამბობს კიდევ ერთი დაზარალებული დარეჯან მეფარიძე.

გასული წლის სექტემბერში „ცენტრ პოინტის“ კლიენტებს იმედი ჩაესახათ. კომპანიის დამფუძნებლებმა 10 სექტემბერს სასტუმრო „რედისონში“ ხელშეკრულება გააფორმეს კომპანია „დექსუსთან.“ იმ დღეს „დექსუსის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 3 წლის განმავლობაში ეტაპობრივად დააკმაყოფილებდნენ ყველა კლიენტს და ამისთვის საჭირო ინვესტიციები უკვე მოზიდული ჰქონდათ.

დაზარალებულების იმედს ნაციონალურ მედიაში გასული სიუჟეტებიც ამყარებდა, რომელთა თანახმადაც, კომპანია „დექსუსმა“ საქართველოში ბოლო 3 წლის განმავლობაში 350 მლნ. დოლარის ინვესტიცია მოიზიდა, ფირმის დამფუძნებლები კი ცნობილ კომპანიებში ნამუშევარი გამოცდილი მენეჯერები არიან.

„დექსუსის“ ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით, დამფუძნებლებს უძრავი ქონების ბაზარზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. თუმცა, საჯარო რეესტრის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „შპს დექსუსი“ 2010 წლის 23 აგვისტოს, „ცენტრ პოინტის“ ქონების გადაბარებამდე 2 კვირით ადრე დაფუძნდა. ფირმის დამფუძნებლები გიორგი ქანანაშვილი, ირაკლი კილაურიძე და ივანე ცაგურია არიან. ფირმის საწესდებო კაპიტალი 100

ლარს შეადგენს, ოფიციალურ მისამართად კი ღირექტორის – გიორგი ქანანაშვილის კუთვნილი სახლია მითითებული.

ხელშეკრულების მიხედვით, „ცენტრ პოინტმა“ „დექსუსი“ დაიქირავა და სამართავად ჯგუფში შემავალი ყველა ფირმა და ამ ფირმების უძრავ-მოდრავი ქონება გადასცა. „დექსუსს“ გადაეცა კომპანიის ფირმების მმართველების დანიშვნის უფლება. ხელშეკრულების მიხედვით, „დექსუსის“ ხარჯებს და ხელფასებს „ცენტრ პოინტი“ იხდის.

კომპანია „დექსუსს“ მძიმე მემკვიდრეობა ერგო: „ცენტრ პოინტ ჯგუფში“ შემავალ სამშენებლო ფირმებს მშენებლობების დაუსრულებლობის გამო

**■ არც ერთი კლიენტი არ იყო მზად იმისათვის, რაც მათ „დექსუსმა“ შესთავაზა. კომპანიამ ისედაც დაზარალებულ კლიენტებს დამატებითი თანხების გადახდა მოსთხოვა.**

კლიენტებისთვის სოლიდური საჯარიმო თანხების გადახდა ეკუთვნოდათ. კლიენტებს ამ თანხის მიღების იმედი ისედაც გადანურული ჰქონდათ და თანახმა იყვნენ, თუ „დექსუსი“ მშენებლობების განახლების გარანტიას მისცემდა, საჯარიმო თანხებზე უარი ეთქვათ და ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან დაეწყოთ. თუმცა, არც ერთი კლიენტი არ იყო მზად იმისათვის, რაც მათ „დექსუსმა“ შესთავაზა. კომპანიამ ისედაც დაზარალებულ კლიენტებს დამატებითი თანხების გადახდა მოსთხოვა.

„დექსუსის“ გეგმით, მათ, ვინც ბინის საფასური „ცენტრ პოინტს“ წლების წინ სრულად გადაუხადა, ახლა დღგ-ს სახით ბინის ღირებულების 18%-ს გადახდა დაევალიათ. თითო ბინის ღირებულება, სულ

ცოტა, 30 ათასი დოლარია, შესაბამისად, დასამატებელი თანხა 5 ათასი დოლარიდან იწყება.

დღგ-ს გადახდის აუცილებლობის შესახებ „დექსუსის“ ღირექტორმა 5 ნოემბერს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერშიც ისაუბრა: „ჩვენ გვაქვს ამ სახლების დასასრულებელი ინვესტიციის მოზიდვის საშუალება, მაგრამ მათ მაგივრად გადასახადების გადახდის რესურსი ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ ავაშენებთ ბინას, გავუშვებთ ექსპლუატაციაში, იცხოვრეთ, შეგიძლიათ, ისარგებლოთ თქვენი ბინით, მაგრამ ჩვენ ვერ გადაგიფორმებთ მას. ბინას მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაგიფორმებთ, თუ გადაიხდით დღგ-ს,“ – განაცხადა გიორგი ქანანაშვილმა

„ეს მოთხოვნა საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით უკანონოა,“ – აცხადებს საგადასახადო სამართლის ექსპერტი, პროფესორი როინ მიგრიანი და განმარტავს: „დღგ-ს გადახდა კომპანიის ვალდებულებაა. როცა მოქალაქემ სრულად გადაიხადა თანხა, მასში შედიოდა დღგ. „დექსუსი“ იმავე ოპერაციაზე ითხოვს დღგ-ს გადახდას, რომელზეც მოქალაქემ ერთხელ უკვე „ცენტრ პოინტს“ გადაუხადა.“

მხოლოდ ხოშარაულის 29-ში მშენებარე კომპლექსის მომავალ ბინადრებს კომპანიისთვის გადასახადების სახით, ჯამში, 5 მლნ 900 ათასი დოლარის დამატება მოუწევთ.

„დექსუსის“ ღირექტორმა კლიენტებთან არაერთი შეხვედრა გამართა. ერთ-ერთ შეხვედრაზე გიორგი ქანანაშვილმა მათ ის მიზეზი გაუმხილა, რომლის გამოც „ცენტრ პოინტის“ მომხმარებლებს 18%-იანი ბეგარის კიდევ ერთხელ გადახდა უწევთ.

„დღგ-ს გადახდელი „ცენტრ პოინტსითა“. თქვენ დღგ-ს გადახდა არ გეკისრებათ. თქვენ რომ გადაიხადეთ თანხა, იმაში დღგ-ც შედიოდა. ამ კომპანიას ის 18%-ი უნდა გადაეხადო, შეენახა და გადაფორმების დროს გადაეხადა. თუმცა არ გადაუხადათ და რომც ჰქონოდათ გადახდა, ამ თანხასაც იმ გზას გაუყენებდნენ, რასაც თქვენი ფული უკვე გაუყენეს – 2 აგურით მეტს დადებდნენ მშენებლობაზე,“ – ამბობს გიორგი ქანანაშვილი იმ ფარულ ვიდეორჩანანერში, რომელიც ერთ-

# ჟურნალისტური გამოძიება

-ერთმა კლიენტმა სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტს მიაწოდა.

„ცენტრ პოინტთან“ წლების წინ გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, მოქალაქეებს „სუფთად გავით გალესილი კედლები“ უნდა ჩაბარებოდათ. „დექუსის“ მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების თანახმად კი, კომპანია ბინების გავით გალესვაზე უარს ამბობს. ამის შესახებ „დექუსის“ დირექტორმა 7 დეკემბერს „ბიზნეს კურიერის“ ეთერშიც ისაუბრა. „ჩვენ გავით ვერ გავლესავთ, რადგან ლოჯისტიკურად დროში განელი პროცესია. 2 მლნ კვ.მ-ია გასალესი“. ბაზარზე არსებული ფასებით 1 კვ.მ. გალესვა მინიმუმ 5 ლარი ჯდება. გამოდის, რომ „დექუსი“ დაახლოებით 10 მლნ ლარს დაზოგავს.

ოურისტების შეფასებით, „დექუსის“ მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულებაში კიდევ ერთი კაბალური და უკანონო მოთხოვნაა – მათ მიერ მომავალში ამენებული და კლიენტებისთვის გადაცემული ყველა კორპუსის ფასადი, კიბის უჯრედები, სადარბაზოები და ლიფტები უსასყიდლოდ გადადის „დექუსის“ განკარგულებაში. „დექუსი“ ამ ხელშეკრულებით უფლებას იტოვებს, ეს ყველაფერი სარეკლამო-კომერციული მიზნებისთვის გამოიყენოს. კანონის თანახმად, კორპუსის ბინადრები ქმნიან ამხანაგობას, საერთო ფართებს ერთობლივად განკარგავენ და ამით ფინანსურ სარგებელსაც თავად იღებენ.

ახალ ხელშეკრულებებზე ხელის მონერით, „ცენტრ პოინტის“ კლიენტები ძველ ხელშეკრულებებზე ავტომატურად უარს ამბობენ. ახალი ხელშეკრულება მათ არანაირ დამატებით გარანტიებს არ აძლევს. მეტიც, „ცენტრ პოინტსა“ და „დექუსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „დექუსს“ ხელშეკრულებიდან გასვლა ნებისმიერ დროს შეუძლია.

გარდა იმ ადამიანებისა, ვინც „ცენტრ პოინტ ჯგუფს“ თანხა ბინის შეძენის მიზნით გადაუხადა, ამ ჯგუფს სხვა ტიპის დაზარალებულებიც ჰყავს. ეს არის 260 ადამიანი, რომლებმაც შპს „ცენტრ პოინტ ინვესტს“ დაახლოებით 6 მლნ დოლარის მოცულობის თანხა ასესხეს და სარგებლის სახით წლიური 24 პროცენტი უნდა მიეღოთ. „ცენტრ პოინტ ინვესტი“

რჩეულიშვილების ოჯახის დაფუძნებული შპს არის და მას ვახტანგ ჩეულიშვილის შვილი – გურამ რჩეულიშვილი ხელმძღვანელობდა. მოქალაქეებისგან სესხის აღება ფირმამ 2007 წელს დაიწყო. ვახტანგ რჩეულიშვილი ამ პროექტს ქართველი ხალხის გადარჩენის გზას უწოდებდა.

2007 წლის 25 იანვრის „ბიზნეს კურიერი“, სტუმარი – ვახტანგ რჩეულიშვილი: „ზოგიერთ მათგანს რომ ვაკვირდები, აქვს ბინა, 80-100 ათასიანი, მე ვუბნები: ძმაო, გაყიდე ეს შენი 60 ათასიანი ბინა 30 ათასად, იყიდე უფრო იაფი, გადაცვალე პრესტიჟული რაიონიდან ცოტა არაპრესტიჟულში, შენს 30 ათასს მე დაგიტრიალებ და შენ მიიღებ თვეში 600 დოლარს. ამიტომაც ეს არის გადარჩენის პროგრამა“.

რჩეულიშვილის მონოდებას რამდენიმე ასეული ადამიანი გამოეხმაურა, კომპანიის ინფორმაციით, ამ ადამიანებმა „ცენტრ პოინტ ინვესტს“ ჯამში 6 მლნ დოლარი ასესხეს. ერთ-ერთი, ვინც რჩეულიშვილის მიწვევა მიიღო, ლევან გოგიჩაშვილია, მან კომპანიას 7 ათასი ევრო ასესხა. „დაახლოებით წელიწად-ნახევრის განმავლობაში პროცენტებს მიხდიდნენ, 2009 წლის მაისიდან შეწყვიტეს და აღარც ძირ თანხას გვიბრუნებდნენ, გადავწყვიტეთ სასამართლოში გასაჩივრება, მაგრამ გავარკვიეთ, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ამის უფლება არ გვქონდა, ჩვენს შორის დაეა კერძო არბიტრაჟს – შპს „ვივალდის“ უნდა გადაეწყვიტა.“

დაზარალებულმა მევალებმა არბიტრაჟ „ვივალდის“ მიმართეს, თუმცა გაირკვა, რომ არბიტრაჟს დავის განხილვის საფასური გაუზრდია. „ვივალდის“ დებულების მიხედვით 2007 წელს დავის განხილვის საფასური 1000 დან 50 000 ლარამდე მერყეობდა, 2009 წლის სექტემბერიდან კი მინიმალური ზღვარი ხუთჯერ გაიზარდა და ბაჟი ახლა 5000-დან 50 000 ლარამდე მერყეობს. სიძვირის გამო ბევრი დაზარალებულისთვის არბიტრაჟში გასაჩივრება მიუწვდომელი გახდა.

დაზარალებულ მევალებს მიაჩნიათ, რომ „ვივალდი“ და „ცენტრ პოინტ ინვესტი“ ერთმანეთში გარიგდნენ. მათ ეჭვს ამძაფრებს ისიც, რომ „ვივალდის“ ერთ-

-ერთი არბიტრი ციური გიორგაძე 2005 წლიდან „ცენტრ პოინტ ჯგუფში“ და „ვივალდში“ ერთდროულად მუშაობდა.

ალსანიშნავია ისიც, რომ „ვივალდის“ ფასი ბაზარზე არსებულ ფასებთან შეუსაბამოა. ჩვენ ინტერნეტში რამდენიმე კერძო არბიტრაჟის დებულება მოვიძიეთ. მათი საარბიტრაჟო მოსაკრებლის მინიმალური ზღვარი 150 ლარიდან 1000 ლარამდე მერყეობს.

რადგან დაზარალებულმა მევალებმა სიძვირის გამო არბიტრაჟს ვეღარ მიმართეს, ხოლო სასამართლოსთვის მიმართვას მათ ხელშეკრულება უკრძალავდათ, იძულებული გახდნენ, ისევ „ცენტრ პოინტ ინვესტთან“ დაეწყოთ მოლაპარაკება.

კომპანიის დირექტორმა, გურამ რჩეულიშვილმა მათ ახალი ხელშეკრულება შესთავაზა. ახალი ხელშეკრულება ერთ-ერთმა დაზარალებულმა – ლევან გოგიჩაშვილმა 2010 წლის იანვარში გააფორმა. გურამ რჩეულიშვილმა ვალდებულება აიღო, რომ გოგიჩაშვილს 10 თვის განმავლობაში თვეში 70 ევროს პროცენტს, 2010 წლის ნოემბრის ბოლოს კი ძირ თანხას – 7000 ევროს გადაუხდიდა. კომპანიამ 2010 წლის განმავლობაში გოგიჩაშვილს მხოლოდ 2-ჯერ ჩაურიცხა პროცენტი – 65 ევრო, ვადის გასვლის მიუხედავად კი, ძირი თანხა დღემდე არ დაუბრუნებია.

ავისტოს ომი და ეკონომიკური კრიზისი, სწორედ ამ ორ ფაქტორს უკავშირებენ „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებლები კლიენტების წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. ექსპერტები ამბობენ, რომ ამ ფაქტორებმა კომპანიის დაღმასვლა, უბრალოდ, დააჩქარა. ექსპერტები „ცენტრ პოინტის“ მუშაობის პირამიდულ სქემაზე საუბრობენ.

ფინანსური პირამიდა ასე გამოიყურება: კომპანია აცხადებდა 1 კონკრეტული კორპუსის მშენებლობას, იწყებდა მასშტაბურ სატელევიზიო რეკლამას, შედეგად ბინების დიდი ნაწილი მშენებლობის დაწყებამდე იყიდებოდა, ანუ მოქალაქეები ფულს ავანსად იხდიდნენ. კომპანია ვალდებულებას იღებდა, რომ გაყიდულ ფართებს 2-3 წელიწადში ჩააბარებდა.

ცუდი მენეჯმენტის და სამშენებლო

მასალების გაძვირების გამო კომპანიას წინასწარ აღებული თანხა ხარჯებს აღარ უფარავდა. პირამიდის პრინციპის თანახმად, „ცენტრ პოინტი“ კიდევ ახალი, უფრო მასშტაბური პროექტების რეკლამირებას იწყებდა, რადგან ახალი პროექტიდან შემოსული თანხებით, ძველი პროექტიც უნდა დასრულებულიყო და ახალიც. შესაბამისად, მალევე დგებოდა გაზრდილი ვალდებულებების შესრულების დრო, და კომპანია გაზრდილი დეფიციტის დასაფარად ახალ, უფრო დიდ პროექტებს იწყებდა.

„ცენტრ პოინტის“ ფინანსური პირამიდა დაინგრა, რაც ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა გამოიწვია. ობიექტურ მიზეზებად, შესაძლოა, აგვისტოს ომი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და სამშენებლო მასალების გაძვირება მივიჩნიოთ.

სუბიექტურ ფაქტორებს შორისაა – 1. მენეჯმენტის სისუსტე და გაუმართლებელი რისკი, რაც ფინანსური პირამიდის გამოყენებაშიც გამოიხატა. როგორც წესი, არასტაბილურ ქვეყნებში ასეთი ტიპის პირამიდა მაღალი რისკის შემცველია და დასანერგვადაა განწირული; 2. დამფუძნებლების ქველმოქმედება, რომელიც ფართოდ შუქდებოდა ტელევიზიით – ისინი ხარჯავდნენ ფულს იმაში, რაშიც, შესაძლოა, არ უნდა დაეხარჯათ; და რაც

მთავარია, არჩევნებში მმართველი გუნდის ხელგაშლილი დაფინანსება და სხვადასხვა სახელისუფლებო პროგრამებში ფინანსური მონაწილეობა.

ფინანსური პირამიდის ფინალი, უმრავლეს შემთხვევაში, ბიზნესის მფლობელის გაკოტრებით ან სულაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით სრულდება, ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა, მან რჩეულივილიმა დიზაინის ბიზნესში გადაინაცვლა. რუსუდან კერვალივილიმა კი პარლამენტში – პირდაპირ სახელისუფლებო უმრავლესობაში.

„ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი რუსუდან კერვალივილი კომპანიის დაღმასვლის მიზეზად მენეჯმენტის შეცდომებს ასახელებს: „პირველი მიზეზი არის ჩვენში, მთავარი მიზეზი არის მენეჯმენტში“. კერვალივილის თქმით, „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლები დღეს მძიმე მდგომარეობაში არიან და ფინანსური კრიზისი აქვთ. „ჩვენ არანაირი ქონება არ გვაქვს, მთელი ქონება, რაც ჩვენ კერძო და იურიდიულ პირებს გავაჩინა, „დექუსუს“ გადავეცი, რათა კლიენტების დაკმაყოფილება მოხდეს. ჩვენ ქონება აღარ გვაქვს“.

„დექუსუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლებმა „დექუსუს“

სამართავად მხოლოდ ფირმების ბალანსზე არსებული ქონება გადასცეს. ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ არც კერვალივილი და არც რჩეულივილებს პირად საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება „დექუსუსისთვის“ არ გადაუციათ.

დაზარალებულებმა მიმართეს პრეზიდენტს, პარლამენტს და სხვადასხვა სამინისტროს. წერილი გააგზავნეს თბილისის პროკურატურაშიც, სადაც „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლების მიმართ გამოძიების დაწყებას ითხოვდნენ. პროკურატურამ მიიჩნია, რომ ეს სამოქალაქო დავა და დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება. ეს დასკვნა პროკურატურამ ისე გამოიტანა, რომ არცერთ დაზარალებულს არ შეხვედრია.

„ცენტრ პოინტის“ მიერ სარეკლამო კლიპებით მიცემული დაპირებების შესრულებას რამდენიმე ათასი ადამიანი ელოდება. ამ კომპანიის ერთ-ერთი სარეკლამო კლიპი ასე სრულდებოდა: „ჩვენ ვასრულებთ დაპირებებს – „ცენტრ პოინტი ჯგუფი“.

სტატია დაფინანსებულია „ევროკომისიის“, „ლია საზოგადოება – საქართველოს“ და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ.



„ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელი მენეჯლობა შარტავას ქუჩაზე, თბილისი 2011

**■ დაზარალებულებმა მიმართეს პრეზიდენტს, პარლამენტს და სხვადასხვა სამინისტროს. წერილი გააგზავნეს პროკურატურაში თბილისის პროკურატურამ მიიჩნია, რომ ეს სამოქალაქო დავა და დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება. ეს დასკვნა პროკურატურამ ისე გამოიტანა, რომ არც ერთ დაზარალებულს არ შეხვედრია.**

# ვინ ხას "ჩაიჩობს" K Street-ზე?

აშშ-ს მთავრობის მონაცემებით, ვაშინგტონელი ლობისტების დაქირავებაში საქართველო, კავკასიის და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებს შორის, ყველაზე მეტ ფულს ხარჯავს.



ფოტო: ირაკლი ბაბუნიაძე

მიხეილ სააკაშვილი და პილარი კლინტონი, თბილისი 2010

2010 წელს საქართველოს ოთხ ლობისტურ ფირმასთან ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული, მათ შორის, ვაშინგტონის ყველაზე გავლენიან კომპანიებთან. ქვეყანამ, ჯამში, სულ მცირე 1.5 მილიონი დოლარი დახარჯა. აზერბაიჯანი და ყაზახეთი ვაშინგტონში საკუთარი თავის წარმოდგენისთვის მხოლოდ თითო ფირმას ქირაობს და ამაში გაცილებით ნაკ-

ლებს ხარჯავს: აზერბაიჯანს კონტრაქტი აქვს Patton Boggs-თან და თვეში 35 000 დოლარს უხდის, ყაზახეთი კი პიარ კომპანია BGR Public Relations LLC-ს თვეში 25 000 დოლარს ურიცხავს. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რესპუბლიკებს პიარ კომპანია Mark Saylor Company-ის დაქირავებისთვის წელიწადში 120 000 დოლარიანი

ბიუჯეტი აქვთ.

2009 წელს უცხოურმა მთავრობებმა ვაშინგტონში საკუთარი პოზიციის წარმოჩენისთვის ლობისტურ ფირმებზე სულ 60 მილიონი დოლარი დახარჯეს. ეს მონაცემები ორგანიზაცია ProPublica-ს და Sunlight Foundation-ის ცნობებს ეყრდნობა (ეს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია მსგავს დანახარჯებს იკვ-

ლევს). 2010 წლის მონაცემები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

თუ ვივარაუდებთ, რომ 2010 წლის მონაცემებიც მსგავსი იქნება, საქართველო ვაშინგტონის ლობისტური სერვისების ბოლო წლების ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი გამოდის. 2009 წელს Sunlight Foundation-მა შეადგინა 10 ყველაზე მსხვილი მხარჯველის რეიტინგი. 2009 წელს რეიტინგში მეთაურობდა პოზიციასზე მყოფმა ტაივანმა დაახლოებით 1.55 მილიონი დოლარი დახარჯა, მერვე თურქეთმა კი – 1.68 მილიონი.

ლობირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სერვისია ისეთი ამბიციური, განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებსაც შედარებით გამოუცდელი დიპლომატიური კორპუსი ჰყავთ, განმარტავს ბილ ელისონი, Sunlight Foundation-ის უფროსი მკვლევარი. ამ ქვეყნებს კონგრესთან, სახელმწიფო დეპარტამენტთან და თავდაცვის დეპარტამენტთან ურთიერთობების დამყარება სჭირდებათ, ამისთვის კი გავლენიანი ამერიკელებისთვის ფულის გადახდა ნამდვილად ღირს, – ამბობს ელისონი.

„იმის მაგივრად, რომ რამდენიმე საცოდავი ქართველი გამოეგზავნა, რომლებიც კონტაქტების სწრაფად დამყარებას შეეცდებოდნენ, ქვეყნის მთავრობა ქირაობს ადგილობრივ ხალხს, რომლებიც ადრე სამთავრობო დანესებულებებში მუშაობდნენ, ან ისეთ ხალხს, ვისაც ამ დანესებულებებთან და პოლიტიკურ მოთამაშებებთან გარკვეული კავშირი აქვთ, და ვაშინგტონზე გავლენის მოხდენას ამ გზით ცდილობს,“ – ამბობს ელისონი.

ეს ქვეყნები ფულს უხდებიან ვაშინგტონში ყველაზე გავლენიან ადამიანებს. მათ, ვინც ლობისტურ ფირმებს ხელმძღვანელობენ, უფრო დიდი გავლენა აქვთ, ვიდრე უცხო ქვეყნებიდან გამოგზავნილ ნებისმიერ დიპლომატს, – ამბობს ელისონი. „თუ მე ვინმე ქართველი მესაუბრება, ვფიქრობ, რა შეიძლება მან მე შემომთავაზოს... მაგრამ თუ ისეთ ვინმესთან ვსაუბრობ, ვინც ადრე ჩემი ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო, ან ვინც შემდეგი ადმინისტრაციის მოსვლისას ჩემი ორგანიზაციის ხელმძღვანელს



■ 2010 წელს საქართველოს გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი ORION STRATEGIES-თან - 420 000 დოლარად, GEPHARDT GROUP-თან - 426 800 დოლარად, PODESTA GROUP-თან - 300 000 დოლარად, ITHACA GROUP-თან - 270, 000 დოლარად.

აირჩევს, მაშინ უფრო მეტი ყურადღებით მოვუსმენ,“ – აგრძელებს ელისონი.

სომხეთს ამჟამად ვაშინგტონში დაქირავებული ლობისტები არ ჰყავს, მაგრამ არის რამდენიმე ძლიერი სომხურ-ამერიკული ორგანიზაცია, რომლებიც ერევნის ინტერესებს ვაშინგტონში წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, რომ აზერბაიჯანი K STREET-ზე ძალიან აქტიურობს, – ამბობს კორი ველტი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ელიოტის სკოლის ევროპული, რუსული და ევრაზიული კვლევების ასოცირებული დირექტორი. ველტის თქმით, „[აზერბაიჯანს] ჰყავს მონინალმდევე, რომელიც კარგად არის ორგანიზებული და დამკვიდრებული ვაშინგტონში.“

საქართველო დიდად არის დამოკიდებული ამერიკასთან ალიანსზე და მის მიერ ლობისტურ მომსახურებაზე განუვლი მალალი ხარჯების ასხნაც ეს არის, – ამბობს ველტი, – „ცენტრალური აზიისა და კავკასიის ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით, საქართველო ვაშინგტონში ყველაზე ფესვგადგმულია და აქედან გამომდინარე, ყველაზე კარგად იცის, თუ როგორ კეთდება საქმე“. ველტისვე თქმით, „საქართველო ასევე მოტივირებულია იმ რწმენით, რომ მას რუსეთის სახით, ამერიკაში გაცილებით გავლენიანი მონინალმდევე ჰყავს. ამ მონინალმდევეს ვაშინგტონთან უკვე აქვს მზა კავშირები. თან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ობამას ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვაა.“

2010 წელს საქართველოს გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი ORION STRATEGIES-თან 420 000 დოლარად, GEPHARDT GROUP-თან – 426 800 დოლარად, PODESTA GROUP-თან – 300 000 დოლარად, ITHACA GROUP-თან – 270 000 დოლარად. ეს მონაცემები ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტში ინახება. ეს უწყება ლობისტური აქტივობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს. ლობისტურ ფირმა PODESTA-სთან თავიდან მხოლოდ ექვსთვიანი კონტრაქტი იყო დადებული, მაგრამ ვაშინგტონში საქართველოს საელჩოს პრესსპიკე-

რი ნათია ზამბახიძე აცხადებს, რომ ეს ჯგუფი საელჩოსთვის მთელი წლის მანძილზე მუშაობდა.

საქართველოს ლობისტებს ორივე პარტიაში აქვთ გავლენა. GEPHARDT GROUP-ის ხელმძღვანელი რიჩარდ გეპარდი, კონგრესის ყოფილი დემოკრატი წევრი, 1989 წლიდან 2003 წლამდე ქვედა პალატის დემოკრატიის ლიდერი იყო. PODESTA-ს ხელმძღვანელი ტონი პოდესტა დემოკრატიული პარტიის მაღალი რანგის თანამდებობის პირია, რომლის ძმა ჯონი ბილ კლინტონის ყოფილი ადმინისტრაციის უფროსია. ORION-ს სათავეში უდგას რენდი შუნმანი, 2008 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს მაკკეინის ყოფილი საგარეო საქმეთა მრჩეველი.

„ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებაზე საქართველოს

– 1.4 მილიონი, ყაზახეთმა – 1.7 მილიონი. სხვა ქვეყნებს ვაშინგტონში ლობისტური ფირმები არ დაუქირავებიათ.

აზერბაიჯანის და ყაზახეთის საელჩოებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს. ის ლობისტური ფირმებიც, რომელსაც EURASIANET.ORG დაუკავშირდა, საჯაროდ რაიმეს თქმას ერიდებიან.

აზერბაიჯანმა 2010 წლის დეკემბერში ლობისტ PATTON BOGGS-თან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იუსტიციის დეპარტამენტში დარეგისტრირებულ კონტრაქტში არ წერია, თუ კონკრეტულად რა საკითხებითაა ბაქო დაინტერესებული. კონტრაქტში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ლობისტური კომპანიის საქმიანობები „მოიცავს (აზერბაიჯანის) კონსულტაციასა და დახმარებას ამერიკა-აზერბაიჯანის ორმხრივ ურთიერთობებში.“

წინა ლობისტური კონტრაქტების მიხედვით, აზერბაიჯანი განსაკუთრებით

კონგრესის წევრმა, ედ ვიტფილდმა (რესპუბლიკელმა კენტუკიდან) ხოჯალის ჟღერა ოფიციალურად მოიხსენია. ეს მისი და LIVINGSTON GROUP-ის წევრების შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ მოხდა.

ყაზახეთის ამჟამინდელი კონტრაქტი BGR PUBLIC RELATIONS-თან მხოლოდ მედიის ყურადღების მოპოვებაზეა ფოკუსირებული. ლობისტების მიერ ყაზახეთის სახელით დამყარებული კონტრაქტების უმრავლესობა ამერიკული მედია გამოცემების ჟურნალისტებსა და რედაქტორებთანაა დამყარებული. წარსულში ყაზახეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასაც ლობირებდა, მაგალითად, POLICY IMPACT COMMUNICATIONS-თან კონტრაქტი მოიცავდა საგარეო დახმარებების შესახებ კანონპროექტიდან ადამიანის უფლებების საკითხის ხსენების ამოღებას.

## ■ საქართველოს ლობისტური ინტერესები, ძირითადად, უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული – მაგალითად, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის საქმიანობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

მთავრობა და საელჩო ყოველდღე მუშაობს. ამერიკა ჩვენი საკვანძო მოკავშირეა დემოკრატიის და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შენებაში,“ – ამბობს ნათია ზამბახიძე.

„ამერიკის მედიაზე წვდომით, ჩვენ მიზნად ვისახავთ, რომ ბიზნეს ჯგუფებს და ამერიკის ფართო საზოგადოებას ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები და საინვესტიციო შესაძლებლობები გავაცნოთ,“ – განმარტავს ზამბახიძე, – „ამერიკაში ჩვენი ურთიერთობების გაღრმავებისთვის, ჩვენ აქტიურად ვეყრდნობით გარეშე პირების ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შორის, კონსულტანტებისაც.“

ბოლო დროს საქართველოს ლობისტური აქტივობები გაიზარდა, მაშინ როდესაც აზერბაიჯანის და ყაზახეთის შემცირდა. 2008 -2009 წლებში, აზერბაიჯანმა სხვადასხვა ლობისტურ ფირმებზე 1.3 მილიონი დახარჯა, საქართველომ

დაინტერესებული იყო თავისი იმიჯით ვაშინგტონში. 2007 წელს LIVINGSTON GROUP-ის ლობისტებმა ამერიკის კონგრესის წევრებთან 91-ჯერ დაამყარეს კონტრაქტი იმ რეზოლუციის თავიდან ასაცილებლად, რომელიც აზერბაიჯანს ფარჰად ალიევის და რაფიკ ალიევის „დაუყოვნებლივ გათავისუფლებას“ სთხოვდა. ეს ორი ადამიანი ციხეში იმ ბრალდებით მოხვდა, რომ სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ, მაგრამ მათი საქმე საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფების ყურადღების ცენტრში მოექცა. კონგრესის რეზოლუცია არ მიუღია.

აზერბაიჯანის ლობისტები 2009 წელსაც აქტიურობდნენ, როდესაც ცდილობდნენ კონგრესის წევრები დაერწმუნებინათ, რომ მთიანი ყარაბაღის ომის დროს მომხდარი ე.წ. ხოჯალის ჟღერა აღენიშნათ. ამ ძალისხმევამ შედეგი გამოიღო: კონგრესის ოფიციალურ ჩანაწერებში

საქართველოს ლობისტური ინტერესები, ძირითადად, უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული – მაგალითად, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის საქმიანობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამავე დროს, მედიის ყურადღების მიპყრობაც საქართველოს ლობისტების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია: მაგალითად, PODESTA GROUP-ის ლობისტებმა ბევრჯერ სცადეს 2010 წლის განმავლობაში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის საერთაშორისო ტელევიზიებთან (მაგალითად, CNN-დან და „ლ-ჯაზირასთან“) ინტერვიუ დაეგემათ. PODESTA ასევე ცდილობდა, რომ PEOPLE-ის და MARIE CLAIRE-ის ჟურნალებისთვის საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ეკატერინა შვილიშვილის პროფილის გაკეთების იდეა მიეწოდებინა. ■

სტატია პირველად დაიბეჭდა EURASIANET.ORG-ზე.

თვალსაზრისი

# "ბადაბვიხითი" ობამა

მართლაც უსუსურია ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა?

გოგი თუმშალიშვილი

ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ზოგიერთ პოლიტოლოგიურ და ანალიტიკურ წრეებში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ის დამთმობი, მიამიტი და გულუბრყვილო პოლიტიკოსია.


ვარაუდობენ, რომ მისი ხედვა არ შეესაბამება რეალპოლიტიკის მოთხოვნებს, ზედმეტად იდეალისტური და ილუზორულია, განსაკუთრებით, რუსეთთან მიმართებაში.

თუმცა რამდენად რეალისტურია, მიაშთად მივიჩნიოთ კაცი, რომელმაც საარჩევნო კამპანიის დასაწყისში არსებული ჰანდიკაპი – კანის ფერი, უცნაური სახელი და ბუნდოვანი ფესვები, თანდათანობით საკუთარ უპირატესობად აქცია და ისეთი სერიოზული მეტოქეები დაამარცხა, როგორც ჰილარი კლინტონი და ჯონ მაკკეინა?

ან რამდენად შესაძლებელია, რომ გულუბრყვილო იდეალისტმა მოკლე დროში დემოკრატიული პარტიის ისტებლიშმენტი (მაგალითად, კენედების კლანი) გადაიბიროს და ისეთი ფინანსური მაგნატების მხარდაჭერა მოიპოვოს, როგორებიც არიან პოლ უოლკერი, უორენ ბაფეტი, ჯორჯ სოროსი?

მეტიც, მეტოქე „რესპუბლიკური პარტიის“ თვალსაჩინო ფიგურები — კოლინ პაუელი, რიჩარდ ლუგარი და ლამარ ალექსანდერი, ხშირ შემთხვევაში, არც მალავენ მოქმედი დემოკრატი პრეზიდენტისადმი კეთილგანწყობას. შესაბამისად, ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის საქმიანობის განხილვისას, უნდა გავანალიზოთ, თუ რა ვითარებაში ჩაიბარა მან ქვეყანა, როგორი მდგომარეობა იყო მსოფლიოში და რა სტრატეგიას მიმართა ვითარების გამოსასწორებლად.

2000-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ გამოცხადე-



ბარაკ ობამა, 28 იანვარი 2011

ფოტო: ჯონ იანსონ / REUTERS

ბულმა „გლობალურმა ომმა ტერორის წინააღმდეგ“, ერთი მხრივ, თვალსაჩინო შედეგები მოიტანა: ავღანეთში საგრძნობლად შეფერხდა ალ-ქაიდას საქმიანობა, მოხერხდა რამდენიმე სახიფათო ტერაქტის უვნებლყოფა, დასრულდა

დესპოტი მმართველის – სადამ ჰუსეინის ერა.

თუმცა, მეორე მხრივ, ბუშის ადმინისტრაციის ამ ერთპიროვნულ მოქმედებას სხვა შედეგებიც მოჰყვა: შემცირდა ქვეყნის რესურსები, განხეთქილება წარ-

მოიშვა დასავლეთევროპულ პარტნიორებთან და ახლო აღმოსავლეთის არაბულ სამყაროში ზიანი მიადგა ამერიკის პრესტიჟს.

უპრეცედენტო რამ მოხდა დიპლომატიურ ასპარეზზე – ამერიკის პრეზიდენტმა გაეროს უშიშროების საბჭოში ერაყში სამხედრო ინტერვენციის „ლეგალიზებისთვის“ აუცილებელი რეზოლუციის წარდგენა ვერ შეძლო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს რეზოლუცია უშიშროების საბჭოში ელემენტარულ უმრავლესობასაც კი ვერ მოიპოვებდა. მეტიც, ამერიკის პრეზიდენტმა წარმატების მიღწევა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებშიც ვერ შეძლო. 2008 წლის აპრილის ბუქარესტის სამიტისას გერმანიის კანცლერმა (საფრანგეთის პრეზიდენტის მხარდაჭერით) ერთმნიშვნელოვნად უარყო ჯორჯ ბუშის მიერ ინიცირებული იდეა ალიანსის გაფართოებისა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიმართულებით.

შედეგად, შეიქმნა ამერიკის ერთგვარი დიპლომატიური იზოლირების არასახარბიელო სურათი. გაჩნდა ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სამკუთხედი – ბერლინი-პარიზი-მოსკოვი.

შესაბამისად, როდესაც 2009 წლის იანვარში თეთრ სახლში ახალი პრეზიდენტი გამოჩნდა, მისი უპირველესი და მთავარი ამოცანა დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების სადავეების ხელში აღება იყო. ეს ირანის ბირთვული ამბიციების უგუნებელსაყოფად აუცილებელი წინაპირობა გახლდათ.

ობამასეული „გადატვირთვის“ პოლიტიკა ბევრისთვის 60-იანი წლების მიწურულს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებულ „დეტანტის“ პოლიტიკასთან ასოცირდება.

მაშინ, ისევე, როგორც დღეს, დასავლეთევროპელებმა კრემლთან დამოუკიდებელი პოლიტიკა, ფაქტობრივად, ვაშინგტონის ზურგსუკან აანყვეს. 1965-66 წლებში საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დაითხოვა ნატოს შტაბ-ბინა პარიზიდან, გამოიყვანა საფრანგეთი ალიანსის სამხედრო მმართველობიდან და კრემლთან მიმართებაში „დეტანტის“ (détente), ანუ „განმუხ-

ტვის“ პოლიტიკა წამოიწყო.

მალევე, დე გოლის მაგალითს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვილი ბრანდტმა მიბაძა. მან, გერმანიის გაერთიანების საკითხისადმი ახლებური მიდგომის მიზნით, დასაბამი მისცა ე.წ. „აღმოსავლურ პოლიტიკას“ (Ostpolitik), რაც გდრ-ის ხელისუფლების აღიარებასა და კომუნისტურ სამყაროსთან დაახლოებას გულისხმობდა.

ვაშინგტონში თავდაპირველი შემოფოტების შემდეგ იმდროინდელმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა და მისმა მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჰენრი კისინჯერმა გააანალიზეს სიტუაცია და მივიდნენ დასკვნამდე, რომ შეერთებულ შტატებს არათუ არ უნდა შეეშალა ხელი ამ წამოწყებისთვის, არამედ ხელთ ეგდოთ კრემლთან

**ობამასეული „გადატვირთვის“ პოლიტიკა ბევრისთვის 60-იანი წლების მიწურულს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებულ „დეტანტის“ პოლიტიკასთან ასოცირდება.**

ურთიერთობათა სტრატეგიული ინიციატივა.

საინტერესოა, რომ „განმუხტვის“ პოლიტიკა, ძირითადად, ვაშინგტონსა და კრემლს შორის სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის (იმ ხანად ამ პროცესს ერქვა SALT - Strategic Arms Limitation Talks) ირგვლივ მოლაპარაკებებით განისაზღვრებოდა. ამ მოლაპარაკებებს მრავალი მონინალდმდეგე გამოუჩნდა, რომლებიც ყოველივეს კრემლის მიმართ დათმობად აღიქვამდნენ. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ რთულ ეკონომიკურ ვითარებაში მყოფი საბჭოთა კავშირი მეტად იყო დაინტერესებული შეთანხმებაში, ამერიკელებმა SALT-ის მოლაპარაკებები ე.წ.

„გადაჯაჭვას“ (linkage) დაუკავშირეს, რაც მოლაპარაკებების პარალელურად საგარეო პოლიტიკაში „თავშეკავებას“ გულისხმობდა. მეტიც, „განმუხტვის“ პოლიტიკის ფარგლებში ამერიკელებმა საბჭოელებს შიდაპოლიტიკური საკითხებზე მოახვიეს თავს, რაც დისიდენტების მიმართ არსებული მარნუხების შედარებით შესუსტებასა და ებრაელთა იმიგრაციის გაზრდაში გამოიხატა. „დეტანტის“ კულმინაციად ეუთოს ეგიდით 1975 წელს უმაღლეს დონეზე ჩატარებული ჰელსინკის კონფერენცია იქცა. ამ კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმებათა ე.წ. „მესამე კალათში“ ის დებულებები მოთავსდა, რომლებიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს აღიარებდა. გავრცელებული აზრით, სწორედ ჰელსინკისულმა „მესამე კალათამ“ დაუდო დასაბამი სსრკ-ში რეპრესიული აპარატის მოშლას და შედეგად, საბჭოთა რეჟიმის დაცემას.

პრეზიდენტობის პირველივე დღეებიდან ბარაკ ობამამ ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ირანის ბირთვული ამბიციების მოთოკვა დაისახა. მისი ადმინისტრაციის მუშაობის შედეგად, გასული წლის ივნისში გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელმაც რუსეთისა და ჩინეთის ჩამოშორებით, ფაქტობრივ იზოლაციაში მოაქცია თეირანის რეჟიმი.

შესაბამისად, თუკი თეირანი ჯიუტობას გამოიჩინს და ან უკვე ეკონომიკური სანქციების პირობებში ერთობ ძვირადღირებულ ბირთვულ პროგრამას განაგრძობს, ამერიკის პრეზიდენტს უკვე ჰყავს თანამოაზრეები, რომლებიც მისი გადაწყვეტილების პირობებში – „მოაცალოს გველს თავი“ – ამ ნაბიჯს მხარს დაუჭერენ. ამერიკა ყველა ხერხით შეეცდება, არ დაუშვას ძალთა ბალანსის სახიფათო რღვევა სპარსეთის ყურეში. ცხადია, გაეროს უშიშროების საბჭოში სასურველი რეზოლუციის გატანა შეუძლებელი იქნებოდა რუსეთთან საერთო ენის გამოძებნის გარეშე. მეორე მხრივ, დასავლეთევროპელებთან ტრანსატლანტიკური ერთიანობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო, რომ კრემლის მიმართ ახლებურ „დეტანტის“ პოლიტიკას სწორედ თეთრი სახლი ჩასდგომოდა სათა-

ვეში. შესაბამისად, რუსებთან მიღწეულ ახალ შეთანხმებას სტრატეგიული იარაღის შემცირების (START) შესახებ, რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. პირველ რიგში, საყოფადღებოა, რომ ამჟამინდელი შეთანხმება განიხილება, როგორც პრელუდია მცირე რადიუსის მოქმედების ტაქტიკური ბირთვული იარაღის შემცირებისადმი. 90-იანი წლებიდან მოყოლებული ნატოს ტაქტიკური ბირთვული იარაღის არსენალი 85 პროცენტით აქვს შემცირებული, მაშინ, როდესაც რუსეთი ინარჩუნებს რამოდენიმე ათას საბრძოლო ჭურვს და, შესაბამისად, თეთრი სახლის ამოცანაა, აიძულოს კრემლი ამ არსენალის კონტინენტური ევროპის ფარგლებს გარეთ, ანუ ურალის ქედს იქით გატანა. თანაც, ბირთვული არსენალის საგრძნობი შემცირების შემთხვევაში, ამერიკა ინარჩუნებს ხელსაყრელ პოზიციებს ჩვეულებრივ შეიარაღებებში საგრძნობი ტექნოლოგიური უპირატესობის გამო და ამას აღნიშნავს კიდევ შეთანხმების მონაწილე რუსული გენერალიტეტის ნაწილი. და ბოლოს, START-ის შეთანხმება არ არის უბრალოდ ბარაკ ობამას კაპრიზი – მას მხარს უჭერს სამხედრო ისტებლიშმენტი პენტაგონის ხელმძღვანელის რობერტ გეიტსის (რესპუბლიკელი) და აშშ-ს გაერთიანებული შტაბების თავმჯდომარის, მაიკლ მალენის მეთაურობით. გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში აშშ-ს სენატში გადამწყვეტი კენჭისყრისას შეთანხმებას დემოკრატებთან ერთად მხარი დაუჭირა 11-მა რესპუბლიკელმა სენატორმა, რომელთა შორის გახლდათ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ორგზის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგარი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ლამარ ალექსანდერი. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განლაგებას, პრეზიდენტმა ობამამ ამ საკითხზე საგანგებოდ გამახვილა ყურადღება აშშ-ს სენატორებისადმი მიძღვნილ წერილში, სადაც აღნიშნა, რომ საშუალო და შუალედური წვდომის რაკეტებისგან ევროპის კონტინენტის დასაცავად, უკვე 2011 წლიდან მოყოლებული დაიწყება თავდაცვითი

კომპლექსების განლაგება რუმინეთსა და პოლონეთში. მიმართვაში ობამამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ეს სისტემები რუსეთთან ერთობლივად მართვადი არ იქნება და რომ „არავითარ შემთხვევაში არ შეზღუდავს აშშ-სა და მისი მოკავშირეების თავდაცვით შესაძლებლობებს.“ ყოველივე ზემოხსენებული, ფაქტობრივად, აქარწყლებს ეჭვებს იმ დამთმობი პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ობამა თითქოსდა რუსეთის მიმართებაში ატარებს. მეტიც, ბრიტანულმა ყოველდღიურმა გამოცემამ Guardian-მა მოიპოვა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ექსპერტთა კომისიამ, ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დაცვითი

ერთდროულად თამაშობს. მისი პირველი სვლა მუდამ უჩვეულო და დამინტრიგებელია. „მე ჯერჯერობით არ მაქვს პრობლემა ამ პირველ სვლებთან მიმართებაში“, – დასძინა კისინჯერმა. რომ არაფერი ვთქვათ ირანზე, ავღანეთზე, ახლო აღმოსავლეთზე, ჩინეთზე და ა.შ. ძალზე საინტერესოა, როგორ გაართმევს თავს ობამა კრემლის გარდაუვალ შანტაჟებს და როგორ მიიყვანს ბოლომდე ევროპაში ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსების მშენებლობას. შესაძლოა, იმ დიდი მოლოდინის ფონზე, რომელიც ორი წლის წინ ობამას თეთრ სახლში შესვლას ახლდა, მისი მიღწევები ჯერჯერობით არცთუ თვალსაჩინო იყოს. თუმცა, პირველი საპრეზიდენტო ვადის შუაში დიდი სირ-



ბარაკ ობამა, სილვიო ბერლუსკონი და დიმიტრი მედევევი

გეგმა რუსეთის შესაძლო აგრესიის პირობებში. გეგმა სახელწოდებით „გუშაგი არნივი“ (Eagle guardian), რომელიც წარედგინა ნატოს სამხედრო დაგეგმარების კომიტეტს და დამტკიცდა კიდევ ე.წ. „დუმბილის პროცედურით“, ითვალისწინებს 9 ამერიკული და ბრიტანული დივიზიის გადმოსხმას ბალტიის ზღვის გერმანულ და პოლონურ პორტებში. ამერიკული დიპლომატიის პატრიარქმა ჰენრი კისინჯერმა ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი იმ მოჭადრაკეს შეადარა, რომელიც რამდენიმე დაფაზე

თულები ამერიკის პრეზიდენტებისთვის ჩვეული ამბავია: მეოცე საუკუნის ისეთმა პრეზიდენტებმა, როგორებიც იყვნენ კენედი, რეიგანი და კლინტონი, თავიანთი მანდატი ძალზე რთულად დაიწყეს. მათ მარცხი იწვინეს შუალედურ საკანონმდებლო არჩევნებში, დიდ პრობლემებს წააწყდნენ საგარეო პოლიტიკაში, თუმცა საბოლოოდ ისტორიაში შევიდნენ, როგორც ერთობ წარმატებული პრეზიდენტები. ბარაკ ობამას, შესაძლოა, ჯერ ყველაფერი წინ ჰქონდეს. ■

# ხობოხი ბუჩისბი სჭიხღებ სანახოვანოს?

ტურისტების რიცხვი საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა გრანდიოზული ინვესტიციების ფონზე მათი რიცხვი მაინც არასაკმარისია. რა არის აუცილებელი ტურისტების მოსაზიდად და რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს?

## დანიელ ნიჩი

ბათუმი და მესტია – ეს ის ორი დანიშნულების პუნქტია, საითაც, ბოლო დროს, ტურიზმზე გათვალისწინებული ყველაზე მსხვილი ინვესტიციები მიედინება.

მოცეკვავე შადრევნები, ძვირადღირებული სასტუმროები, ღამის კლუბები და კაზინოები – ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში პოპულარული ბათუმის მთავარ ღირსშესანიშნაობებად დღეს ეს ნოვაციები იქცა.

სვანეთშიც, რომელიც ალპინისტებსა და თავგადასავლების მოყვარულებს ყოველთვის იზიდავდა, ახალი სასტუმროები იხსნება. მართალია, ბათუმთან შედარებით უფრო იაფი და მომცრო, მაგრამ იქაურობა ტურისტების მიზიდვას ზამთარშიც კი შეეცდება ახლად გახსნილი სათხილამურო ტრასით.

ბათუმისა და სვანეთის ახალი ტურისტული მიმართულებებიც, გამოდის, რომ, უკვე გამოკვეთილია: ქართული შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი ტურისტების დიდ და მდიდარ მასას მიიზიდავს, რომლებიც ბათუმში საინტერესო არქიტექტურით, მდიდრული კაფე-რესტორნებით, კაზინოებითა და კომფორტით დატკბებიან, მესტია კი ალპინიზმითა და ქართული კულტურით გატაცებული უცხოელებისთვის გახდება დანიშნულების პუნქტი.

რა არის აუცილებელი ტურისტების მოსაზიდად და რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს?

საქართველოს, როგორც ახალი



ფოტო: შპს „საქტურისტ“

ღამის განახლებული ბათუმი, 2010

ტურისტული დანიშნულების პუნქტის, რეკლამირება ყველაზე მეტად იმ ტურისტებს შეუძლიათ, ვინც უკან დაბრუნების შემდეგ თავიანთ შთაბეჭდილებებს ნაცნობ-მეგობრებს გაუზიარებენ.

თუმცა სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და ეფექტურად გათვლილი პრომოუშენი სწორედ ამ „პიონერი“ ტურისტების მოსაზიდადაა საჭირო.

კარგი იქნებოდა, იმ ტუროპერატორებმა, რომლებიც უცხოელებს სთავაზობენ ტურისტულ პაკეტებს, საკუთარი წარმომადგენლობები ევროპის დიდ

ქალაქებშიც გახსნან – ტურისტების მიზიდვაში ეს უფრო დაეხმარებათ.

შვებულების სასიამოვნოდ და საინტერესოდ გასატარებლად სხვა ქვეყნებშიც შეიძლება წასვლა, ამიტომ აუცილებელია, საქართველოს შესახებ უარყოფითი წარმოდგენები გაბათილდეს და ყველამ გაიგოს, რომ ეს არის ქვეყანა, სადაც დასვენება ნამდვილად ღირს.

ყველაზე მეტად, რაც პოტენციურ ტურისტებს დღემდე აფრთხობთ, არასტაბილური პოლიტიკური ვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-

ში მოგზაურობა, სინამდვილეში, სრულიად უსაფრთხოა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოუგვარებელი კონფლიქტები და სულ რაღაც სამი წლის წინანდელი ომი, უცხოელებში დაუცველობის შეგრძნებას მაინც აღვივებს. ეს გასაკვირი არცაა. ბალკანეთის ომების შემდეგ ხორვატიასაც ათწლეული დასჭირდა იმისთვის, რომ ტურისტების ნაკადი ხელახლა მიეზიდა.

მეორე ნეგატიური ფაქტორი, კრიმინალია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დანაშაულის დონე ევროპული ქვეყნებისას არ

აუცილებლობაში დაარწმუნონ. ასეთ მცდარ დეტალებს ხომ შეუძლიათ, ერთი ხელის მოსმით დაამსხვრიონ საქართველოს პოზიტიური იმიჯი, რომელიც სარეკლამო კამპანიებით იქმნება.

ტურისტები დიდ ყურადღებას აქცევენ ბიუროკრატიული პროცედურების სიმარტივესაც. ამ მხრივ, საქართველოსთვის პლუსად ითვლება ის, რომ ევროკავშირის, აშშ-სა და ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმი გააუქმა. საქართველო, ამ ასპექტით, მეზობელ აზერბაიჯანსა და რუსეთსაც ჯობნის, სადაც სავიზო

ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ჩამოსასვლელად უფრო მეტი დროა საჭირო, ფრენების გრაფიკიც მოუხერხებელია და ფასებიც უფრო მაღალი. ამან შეიძლება დასავლეთ ევროპელი ტურისტები, მაგალითად, ბრიტანელები და ფრანგები დააფრთხოს კიდევ. არადა, ბათუმს აქვს პოტენცია, დანიშნულების კომფორტული პუნქტი გახდეს ევროპიდან საქართველოსკენ დანიშნული პირდაპირი ჩარტერული რეისების მისაღებად.

მცირებიუჯეტისანი ავიაკომპანიების – „პეგასუსის“ და, სავარაუდოდ, „რაინერის“ შემოსვლა ქართულ ბაზარზე ბილეთების ფასს კიდევ უფრო დასწევს და უფრო მეტ ტურისტსაც მოიზიდავს. თუმცა, ვინმემ უნდა იფიქროს იმაზეც, რომ საქართველომდე ჩამოსულ ტურისტებს ქვეყნის შიგნითაც უნევთ გადაადგილება. მართალია, ბათუმისკენ და მესტიისკენ ფრენები უკვე დანიშნულია, მაგრამ ამ რეისების შესახებ ინფორმაციის იოლად მოპოვება და ბილეთების ონლაინ დაჯავშნაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მომსახურებაა.

დღეს სახლიდან გაუსვლელად, ანდა საქართველოში ჩამოსვლელად ბილეთის ყიდვა და დაჯავშნა არც მესტიის და არც „ბათუმი-ეარის“ ფრენებზეა შესაძლებელი. ინტერნეტში ინფორმაცია ქალაქების დამაკავშირებელი მატარებლებისა და ავტობუსების შესახებაც თითქმის არ არსებობს.

ტურისტისთვის დიდი პრობლემაა ენობრივი ბარიერიც. ამ მიზეზით სასტუმროში ნომრის დაჯავშნა რთულია განსაკუთრებით მაშინ, თუ ლამის გათევა რომელიმე რაიონში გინევთ. თუ სასტუმროში ხართ და დიალოგს მეპატრონესთან პირისპირ ანარმოვთ, ხელ-ფეხით კომუნიკაციაც შეიძლება, მაგრამ ამავე მეთოდს მაშინ ხომ ვერ გამოიყენებთ, როცა ნომრის დაჯავშნას ტელეფონით ან ფოსტით ცდილობთ? ამიტომ უნევთ ტურისტებს ტუროპერატორების მომსახურების გამოყენება, თუმცა, ეს იმ ტურისტებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლად მოგზაურობას არჩევენ, მოუხერხებელია.



მესტია, 2010

ფოტო: თინათინ აბაშიაძე

■ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და ეფექტურად გათვლილი პრომოუშენი „პიონერი“ ტურისტების მოსაზიდადაა საჭირო.

აღემატება. მაგრამ, მაგალითად, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ სამგზავრო ცნობარში დღემდე წერია, რომ საღამოობით თბილისში ძარცვა და გატაცებები ხშირია. ქართველ დიპლომატებს დიდი მუშაობა მოუწევთ, რომ ევროპის ქვეყნები სამგზავრო ინფორმაციის განახლების

პროცედურები მომქანცველი და ძვირია.

საქართველოში ჩამოფრენაც გაიოლდა და გაიადფა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მგზავრობა კომფორტული გახდა. თვითმფრინავების უმრავლესობა ღამით ჩამოდის და პირდაპირი რეისებიც ცოტაა. სამხრეთ ევროპის სხვა



## სპეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ  
ჟურნალი „ლიბერალი“  
თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა  
მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,  
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“  
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი  
ყოველ ორშაბათს  
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად  
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
(899) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი  
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: [subscribe@liberali.ge](mailto:subscribe@liberali.ge)

ტურიზმის განვითარებისას საქართველომ ზედმეტ კომერციალიზაციას და კურორტების გადატვირთვას თავი უნდა აარიდოს. ევროპაში მსგავსი ნეგატიური მაგალითები უამრავია, მაგალითად, კომერციალიზაციის მსხვერპლია დიდი კურორტები ალპებში და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ანდა სულაც ზალცბურგისა და ვენეციის მსგავსი ქალაქები.

სექტორის სრული კომერციალიზაციის ნაცვლად, კარგი იქნება, ქვეყნის პრიორიტეტი ეკოლოგიურად და კულტურულად მდგრადი ტურიზმის განვითარება გახდეს. მოკლევადიან მოგებაზე უარის თქმით შესაძლებელი იქნება სუფთა გარემოს შენარჩუნება და ეკონომიკის სხვა სექტორების ხელშეწყობაც.

ტურიზმის მიერ გამოთქმულმა

გებლის წყაროდ. ამ წარმატებული პროექტის ნაწილად თავი მთელმა მოსახლეობამ უნდა იგრძნოს. ბათუმის შესანიშნავ ბულვარში სეირნობა ბევრ ქართველს სიამოვნებს, მაგრამ ეს კომფორტზე უარის თქმის ფასად არ უნდა დაუჯდეთ – მაგალითად, გვალვის დროს წყალს სახლში შეზღუდულად არ უნდა მოიხმარდნენ, მაშინ, როცა წყალი მოცეკვავე შადრევნებისთვის იხარჯება.

თუმცა ეს ყველაფერი შიგნით მოსაგვარებელი პრობლემებია. ერთ-ერთ მთავარ, საგარეო გამოწვევად კი კვლავ რჩება ტურისტების დარწმუნება იმაში, რომ საქართველო იდეალური და შეუდარებელი ადგილია დასასვენებლად.

დღეს საქართველოში უმეტესწილად აქტიური, თავგადასავლების მოყვარუ-

■ ტურიზმი არ უნდა იქცეს ადამიანების მხოლოდ მცირე ჯგუფის სარგებლის წყაროდ. ამ წარმატებული პროექტის ნაწილად თავი მთელმა მოსახლეობამ უნდა იგრძნოს.

ფულმა საქართველოში რაც შეიძლება, დიდხანს უნდა იტრიალოს, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები ისეთ მიმწოდებელ სექტორებში, როგორცაა საკვების წარმოება და გართობა, და ხელი უნდა შეუწყოს არა იმპორტს, არამედ ადგილობრივ წარმოებას. როცა ადგილობრივი წარმოება ადგილობრივ მოთხოვნას განვადება, დააკმაყოფილებს და ექსპორტზეც გავა, საქართველოს ეკონომიკა არ დაინგრევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომავალში ტურისტების ნაკადი შემცირდება, ვთქვათ, თუნდაც, საავიაციო კრიზისის გამო.

ინფრასტრუქტურა დიდხანს უქმად არ უნდა გაცდეს, უძრავი ქონების ბაზარზე სიტუაცია ბუშტივით რომ არ გასკდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი დარჩება უკმაყოფილო და იტყვის, რომ ინვესტიცია ჯობდა, სხვა სექტორებში ჩადებულყოფი.

ტურიზმი არ უნდა იქცეს ადამიანების მხოლოდ მცირე ჯგუფის სარ-

ლი ადამიანები სტუმრობენ – ისეთები, ვისაც ქვეყნის კულტურა და ისტორიაც აინტერესებთ. მათ მცირე სირთულეები და გაუგებრობები არ ალიზიანებთ.

ვფიქრობ, რომ სწორედ ტურისტთა ამ სეგმენტის დაინტერესება უნდა სცადოს საქართველომ და მთელი ფსონი ტურისტების დიდი რაოდენობით მოზიდვასა და ამ სექტორის ზედმეტ კომერციალიზაციაზე არ დადოს. ეს მრავალფეროვანი, მდგრადი და ეკოლოგიურად მისაღები ეკონომიკის განვითარებასაც შეუშლის ხელს.

ტურიზმი – საქართველომ ეს ცნება უნდა გაიგოს, როგორც ეკონომიკური წინსვლისთვის ხელშემწყობი ფაქტორი და არა, როგორც შემოსავლის ერთადერთი წყარო. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სხვა სექტორების განვითარების შესაძლებლობაც მიეცემა, ეკონომიკა კი სიჯანსაღეს შეინარჩუნებს მაშინაც კი, თუ ტურიზმი ერთ მშვენიერ დღეს კრიზისში აღმოჩნდება. ■

# ქართვები Google-ში

ინტერვიუ  
დავით რაჭველიშვილთან და გიორგი ლეკვეიშვილთან



**როგორ დაიწყო თქვენი და Google-ს თანამშრომლობა, რა გზა გაიარეთ, სანამ ამ კომპანიაში მოხვდებოდით?**

**გიორგი ლეკვეიშვილი:** არცთუ ისე მარტივი პროცესის გავლა მომიწია. Twitter-ზე შემთხვევით ვნახე ინფორმაცია, რომ ეძებდნენ ახალგაზრდებს, რომლებსაც უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდათ. გავაგზავნე ჩემი CV, დაახლოებით ერთ თვეში დამიკავშირდნენ და სატელეფონო ინტერვიუები დამინიშნეს. სატელეფონო ინტერვიუების გადალახვის შემდეგ კრაკოვის ოფისში დასწრებულ გასაუბრებაზე მიმიწვიეს, რასაც უკვე წარმატებად ვთვლიდი და ძალიან გახარებული ვიყავი. დასწრებული გასაუბრება დაახლოებით 6

საათს გაგრძელდა, 1 კვირის შემდეგ კი მითხრეს, რომ ყველა ინტერვიუერს მოვეწონე და სჭირდებოდათ დამატებითი საბუთები – დიპლომი და რეკომენდაციები, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტათ, ამიყვანდნენ თუ არა. ერთ კვირაში დამირეკეს, შემომთავაზეს სამუშაო პირობები და მკითხეს, დავთანხმდებოდი თუ არა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

**დავით რაჭველიშვილი:** ყველაფერი დაიწყო იმით, რომ CV რამდენიმე ოფისში გავაგზავნე, დაახლოებით ერთ თვეში კრაკოვიდან დამიკავშირდნენ და ინტერვიუს დანიშვნა მთხოვეს. ტელეფონით ერთი ზოგადი და ორი ტექნიკური ინტერვიუ გავიარე, რის შემდეგაც დამიკავშირდნენ და მი-

**25 წლის დავით რაჭველიშვილი**

ამბობს, რომ ერთ-ერთი რიგითი მოსწავლე იყო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალობაზე იოლად არ ჩაუბარებია. უკვე სტუდენტობისას პროგრამირებაში საქართველოს ჩემპიონი სამჯერ გახდა, ორჯერ კი – უკრაინის ღია თასის პრიზიორი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პროგრამისტად 3 წელს იმუშავა, კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალობაზე მაგისტრატურაშიც ჩააბარა, თუმცა მხოლოდ 1 სემესტრი ისწავლა და მიატოვა. გასული წლის ნოემბერში დავით რაჭველიშვილი Google-ს თანამშრომელი გახდა. იგი პოლონეთში, Google-ს კრაკოვის ოფისში მუშაობს.

**21 წლის გიორგი ლეკვეიშვილი**

მე-5 კლასიდან მათემატიკის და ინფორმატიკის ოლიმპიადებში მონაწილეობდა, დადიოდა მსოფლიო ჩემპიონატებზე და 2006 წელს მექსიკიდან ბრინჯაოს მედლითაც დაბრუნდა. ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერებების შესწავლა გააგრძელა. სტუდენტურ ოლიმპიადებშიც ჩაერთო: უკრაინის ღია ჩემპიონატებზე ბრინჯაოს მედლი რამდენჯერმე მოიპოვა, 2009 წელს კი პირველი ადგილი დაიკავა. გიორგი ლეკვეიშვილი იმ გუნდის შემადგენლობაშიც იყო, რომელმაც ACM ICPC ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადის ფინალში იასპარეზა და ბრინჯაოს მედლი მოიპოვა. გიორგი ლეკვეიშვილი Google-ს კრაკოვის ოფისის თანამშრომელია.

თხრეს, რომ მოვენონე და სურვილი აქვთ, ადგილზე ჩავიდე და ინტერვიუები უკვე პირისპირ გავიარო. კრაკოვში 5 გასაუბრება მქონდა, შემომომწეს ანალიტიკური და კრიტიკული აზრების უნარ-ჩვევები, ალგორითმების ცოდნა და რამდენად კარგად ვწერდი კოდს. ინტერვიუების შემდეგ, ორ კვირაში Google-ში მუშაობის დაწყებაზე შემოთავაზება მივიღე.

## კონკრეტულად რა ტიპის სამუშაოს ასრულებთ Google-ში?

**გიორგი ლეკვეიშვილი:** ორივე ვმუშაობთ პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრებად (Software Engineer), ვართ სხვადასხვა გუნდში, თუმცა ერთ დიდ საერთო პროექტზე ვმუშაობთ. იგი გულისხმობს ინფრასტრუქტურული სისტემების შექმნას, რომელიც ემსახურება ძალიან დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავებას და გაანალიზებას (Data Warehousing).

Google-ში მუშაობის პროცესი ძალიან განსხვავებულია სხვა კომპანიებისგან. ყველა თანამშრომელს შეუძლია, ინიციატივა გამოიჩინოს და კომპანიას საკუთარი იდეა, ახალი პროექტი ან სოციალუ-

ბილიარდი, მაგიდის ჩოგბურთი, x-box და ა.შ. პირველი დღეები გამიჭირდა, მოვრგებოდი ასეთ თავისუფლებას, მაგრამ შემდეგ დავალებები მომეცა, საქმე გამომიჩნდა და პასუხისმგებლობის გრძნობამაც იმატა.

## გიჭირთ კონკურენციის განევა ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებისთვის?

**დავით რაჭველიშვილი:** კონკურენცია საკმაოდ მაღალია. იმდენი ჭკვიანი ადამიანი მუშაობს, რომ ძალიან რთულია თავის გამოჩენა. თუმცა, მგონი, არ მიჭირს. ჩემს სამუშაოს ვასრულებ და უკმაყოფილო ვერჯერობით არავინაა.

**გიორგი ლეკვეიშვილი:** კომპანიის შიგნით კარიერის აწყობისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელი ქვეყნიდან ხარ. Google სულ ცდილობს ახალი ტალანტების მოძიებას. შესაბამისად, კონკურენცია დიდია, თუმცა ეს დამატებითი მოტივაციაა ჩვენთვის, რომ თავი გამოვიჩინოთ.

## რას ურჩევთ მათ, ვისაც Google -ის მსგავს კომპანიაში მუშაობის დაწყება სურს?

**დავით რაჭველიშვილი:** რაც შეიძლე-

არ აქვს და შესაბამისად, არც ცდილობენ ძალების მოსინჯვას. ასეთი შეხედულება მეც მქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, რაც უფრო მეტად ვეცნობოდი ახალ ტექნოლოგიებს ეს გრძნობა უფრო და უფრო მიქრებოდა. ჩემი რჩევა იქნება – უნივერსიტეტიდან რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღონ, რაც, სამწუხაროდ, არც-თუ ისე ადვილია ქართულ რეალობაში.

## რა პრობლემებს ხედავთ საქართველოში IT-ს სწავლებაში?

**გიორგი ლეკვეიშვილი:** პირველ რიგში, გასავითარებელია სწავლის მეთოდები. აუცილებელია, სტუდენტები უნივერსიტეტში ლეზულობდეს პრაქტიკულ ცოდნას, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია თეორიული ცოდნის განვითარება, განსაკუთრებით ალგორითმებში და მათემატიკაში. საქართველოში, სამწუხაროდ, სულ რამდენიმე ადამიანია, რომელიც ცდილობს ალგორითმების და პროგრამირების ოლიმპიადების პოპულარიზაციას. მნიშვნელოვანი საკითხია ანაზღაურებაც. კომპანიების უმრავლესობა ვერ კიდევ ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები გადაუხადოს პროგრამისტს. რამდენიმე დღის წინ წაყვანილი განცხადებას, რომ კომპანია ეძებდა სტუდენტებს სტაჟირებისთვის, რომელთაც გადაუხდიდა „სტიპენდია“ 100 ლარის ოდენობით, სასაცილოა... მოკლედ, აუცილებელია როგორც სწავლის დონის ამაღლება, ასევე – კომპანიების მხრიდან თანამშრომლების მეტად დაფასება.

**დავით რაჭველიშვილი:** ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა განათლებაშია, ახალგაზრდები იღებენ არასაკმარის ცოდნას. სტუდენტები მუშაობას იწყებენ უკვე პირველივე კურსიდან, რაც ხელს უშლის მათ განათლებას. ისინი იღებენ მხოლოდ იმ სპეციალიზებულ ცოდნას, რაც კონკრეტულ დამსაქმებელს ჭირდება.

ამას გარდა, სტუდენტებს არაფერ უხსნის, თუ რაში სჭირდებათ ის საგნები, რომლებსაც უნივერსიტეტში ასწავლიან, რაც იწვევს მათში ამ ტიპის საგნებზე გულის აცრუებას. **■**

ესაუბრა ნინო ნატროშვილი.

## ■ კომპანიის შიგნით კარიერის აწყობისთვის არანაირი

მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელი ქვეყნიდან ხარ.

რი ღონისძიების მონაწილეობა შესთავაზოს. აქვე ოფისში შესაძლებელია განტვირთვა მასაჟის ან თუნდაც თამაშის საშუალებით, უამრავი სასუსნავის მირთმევა. ძალიან კარგი იქნება, თუ Google-ს მაგალითს ქართული კომპანიებიც გადაიღებენ.

**დავით რაჭველიშვილი:** სამუშაო პროცესი თავისუფალია. შეგიძლია იმუშავო როგორც სახლიდან, ისე ოფისიდან, მთავარია, დაკისრებული ამოცანა დროზე შეასრულო და არავინ გამოწმებს, რომელ საათზე მოხვედი და რომელ საათზე მიდიხარ. ოფისში ძალიან ბევრი გასართობი საშუალებაა: ნებისმიერ დროს შეგიძლია ითამაშო

ბა ბევრი იმუშაონ საკუთარ თავზე და ბევრი ისწავლონ. დიდი ყურადღება გაამახვილონ ალგორითმების და მათემატიკის ცოდნაზე და ასევე კოდირების უნარების დახვეწაზე, ეს არის ის, რასაც პირველ რიგში გიმონებენ. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი უნივერსიტეტიდან ან რომელი ქვეყნიდან ხარ, მთავარია, რა ცოდნას ფლობ. საქართველოში ეს ბევრს ვერ წარმოუდგენია.

**გიორგი ლეკვეიშვილი:** საქართველოში ჩვენს სფეროში ბევრი შრომისმოყვარე ახალგაზრდაა, თუმცა უმრავლესობას ჩამოყალიბებული აქვს სტერეოტიპი, რომ რადგან იქ ცხოვრობს, საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის პერსპექტივა

სიყვარული და მისწრაფება

# სიყვარულის ექვემდებარება ნაწილობრივად

მეოცე საუკუნის ბოლოს სიყვარულმა ფერწერიდან და სასიყვარულო პოეზიიდან მიკროსკოპების ქვეშ, ლაბორატორიებში გადაინაცვლა.

დიანა ჩაჩუა

თუ ერთ-ერთი უმსხვილესი ონლაინ მაღაზიის amazon.com-ის საძიებო ფანჯარაში ჩანერთ ფრაზას: "სიყვარული/სიყვარულის მეცნიერება", ვებგვერდი ამ თემაზე 8523 წიგნს გიპოვით.

სიყვარულისადმი ცინიკურად განწყობილ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანები სასონარკვეთით ცდილობენ, ჩასწვდნენ სიყვარულის არსს, რათა მისგან თავდაცვის წამალი გამოიგონონ.

მეცნიერები სიყვარულით აქტიურად 80-იანი წლებიდან დაინტერესდნენ.

თუმცა სიყვარულის გზა ლაბორატორიაში იოლი არ ყოფილა. გრძნობის გამოკვლევის იდეას სერიოზულად არავინ აღიქვამდა. მეცნიერებს შესაძლოა, წარმოედგინათ სიბრაზის და შიშის მსგავსი გრძნობების გამოკვლევა, მაგრამ არა – სიყვარულის.

ლაბორატორიული კვლევებით ჯერ ის დადგინდა, რომ სიბრაზისა და შიშის დროს პულსისა და სუნთქვის სიხშირეს, კუნთების შეკუმშვას და სხვა უნებურ რეაქციებს უნდა დააკვირდნენ. სიყვარულის „გამოჭერა“ კი ამ კვლევითი ინსტრუმენტებითაც კი შეუძლებლად ეჩვენებოდათ, რადგან მეცნიერების თქმით, იოლი იყო, სიყვარულის სიმპტომები მოუწინააღმდეგებლად, თუ მანიაკალური შეტევით დაავადებული ადამიანის სიმპტომებში არეოდათ.

ელენ ჰეთფილდი, ავტორია ნიგნისა „სიყვარული, სექსი და ინტიმი: მათი ფსიქოლოგია, ბიოლოგია და ისტორია“, იხსენებს, რომ 60-იან წლებში სტენფორდის უნივერსიტეტში სწავლისას მას არწმუნებდნენ, რომ სიყვარულის კვლევა მის კარიერას დაასამარებდა.



„მეუბნებოდნენ, რომელიმე სხვა სფეროთი დაინტერესდი, სადაც ნამდვილი საქმე კეთდება: მაგალითად, მათი აზრით, უნდა მეკვლია, რამდენად სწრაფად დარბიან ვირთხები“, – იხსენებს ელენ ჰეთფილდი.

სიყვარულის მიმართ დამოკიდებულება 1980-იანი წლებიდან ყველაზე პროზაული მიზეზის – შიდსის გამო შეიცვალა. ამ სენის გავრცელების შემდეგ, რომელმაც შეყვარებულები ძალიან შეაშინა, მეცნიერებისთვისაც მნიშვნელოვანი გახდა, გაეგოთ – რა უბიძგებს ადამიანებს სასიყვარულო ურთიერთობებისკენ.

მკვლევარებმა საინტერესო დასკვნების გაკეთება დაიწყეს. მათ სიყვარული

ჰორმონების ბიოქიმიურ კოქტილად აღიქვეს.

„არ ვიცი, როგორ აეხსნა, აი, თითქოს მინა მეცლება, თავბრუ მესხმის და სხეულს და გონებას ვკარგავ...“ – ასე ცდილობს, აღწეროს საკუთარი მდგომარეობა 24 წლის შეყვარებულმა ნათიამ.

მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ნათია არაფერს იგონებს – შეყვარებული ადამიანები პირდაპირი გაგებით ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ექცევიან.

თვალეში შეხედვა, ხელის შეხება და სუნამოს სურნელი – ეს ყველაფერი საკმარისია იმისთვის, რომ გონებიდან ნერვული სისტემისა და სისხლის გავლით


მთელი რიგი პროცესები დაიწყო. შედეგად ადამიანს უნთოდება სახე, უოფლიანდება ხელისგულები, უმძიმდება სუნთქვა. ერთი შეხედვით ეს სტრესს უფრო ჰგავს, რაც გარკვეულწილად სწორიცაა. მეცნიერების თქმით, ეს იმის ბრალია, რომ ორივე მოვლენისას – სტრესისა და სიყვარულის დროსაც – ქიმიური ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმში იდენტურ პროცესს გადაინ.

ახლად შეყვარებულ ადამიანს ეიფორია ახასიათებს. მეცნიერები ამბობენ, რომ ამ რეაქციაში მონაწილე ნაწილაკები ფსიქოსტიმულატორ ამფეტამინის ქიმიური „ბიძაშვილები“ არიან: დოპამინი, ნორეპინეფრინი და განსაკუთრებით ფენილეთილამინი. სწორედ ფენილეთილამინს ადნაშაულებენ ჩვენს სახეზე ალბუქილი უაზრო ღიმილში, რომელსაც მიმზიდველი ადამიანის დანახვა გვგვრის ხოლმე.

თუმცა მეცნიერებმა მალევე დაასკვნეს, რომ ფენილეთილამინის მოქმედება სამუდამო არ არის. ამით გზა გაეხსნა პოპულარულ მოსაზრებას, რომ რომანტიკული სიყვარული მოკლევადიანია და მალე სრულდება. დროთა განმავლობაში ორგანიზმი უბრალოდ იმუნიტეტს გამოიმუშავებს ფენილეთილამინისადმი და მას აღარ შესწევს ძალა ეიფორიული ფონი ძველებური სიძლიერით შექმნას.

ამ ქიმიური მოჯადოების დასასრული ბევრისთვის ურთიერთობის დასასრულად აღიქმება. ხშირად სწორედ ამას უწოდებენ „სიყვარულის დასასრულს“. ნიუ-იორკის სახელმწიფო ფსიქიატრიული ინსტიტუტის დოქტორი მიქაელ ლიებოვიჩი ასეთ ადამიანებს „ცდუნების და მიზიდულობის ნარკომანებს“ უწოდებს. მათ იმდენად სწყურიათ ახლად შეყვარებულობის ეიფორია, რომ მზად არიან, პირველადი ტრფიალის და ვნების გასვლისთანავე მომდევნო ურთიერთობაზე გადავიდნენ.

„გრძელვადიანი სტაბილური ურთიერთობები ინერციულ ურთიერთობას ემსგავსება, როცა ამ ადამიანთან იმიტომ კი არ ხარ, რომ ასე გსურს, არამედ იმიტომ, რომ არჩევნის უფლება დაკარგე. ეს არასწორია. არჩევნის საშუალება მუდმივად უნდა გქონდეს, ამიტომაც მგონია, რომ ერთ ადამიანთან მთელი ცხოვრე-



## ■ თუ მეცნიერები მეტნაკლებად ახერხებენ ვნებისა და თანაგრძნობის ახსნას, დღემდე უჭირთ, დაზუსტებით თქვან, რატომ ახვევს თავბრუს ბიჭს ერთი გოგოს სიარულის მანერა და სიცილი, მაშინ როცა მეორის ვნებიანი მიხვრა-მოხვრა და ეშმაკური ხითხითი მასში ნულ ემოციას იწვევს.

ბის გატარება შეუძლებელია”, – ამბობს 32 წლის ელენე, თუმცა იმასაც დასძენს, რომ ეს ინდივიდუალურია.

„ადამიანები მუდმივად იცვლებიან და იშვიათად პოულობს ისეთ პარტნიორს, რომელიც შენს მსგავსად იცვლება და ამ პროცესს შენთან ერთად გადის. მეორე საკითხი ფიზიოლოგიური ასპექტია: მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთ ადამიანთან სექსუალური ურთიერთობის ქონის სურვილი წარმოუდგენლად მიმაჩნია. თუმცა არ ვამბობ, რომ ეს შეუძლებელია. ასეც ხდება, თუმცა ამას გამონაკლისს ვუწოდებდი”, – ეთანხმება ელენეს 35 წლის ქეთიც.

„სრული აბსურდია, მე და ჩემი ქმარი 10 წელია, ერთად ვართ, გვიყვარს ერთმანეთი და კვლავაც ისეთსავე ეიფორიას

და აღტაცებას განვიცდით, როგორსაც დასაწყისში“, – სანინალმდევოს ამტკიცებს 35 წლის თამუნა.

პასუხი მეცნიერებს თამუნას მსგავს მოსაზრებებზეც მზად აქვთ. მათი თქმით, ერთგულება და პასუხისმგებლობიანი ურთიერთობა გარკვეულ ეტაპზე ყველასთვის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება, მათთვისაც კი, ვინც პოლიგამიური ურთიერთობების მომხრეა. მიზეზი ისევ ქიმიური ნივთიერებებია: ადამიანის გვერდით პარტნიორის მუდმივი ყოლა გონებაში ენდორფინების გამოყოფას იწვევს. მგზნებარე ამფეტამინებისგან განსხვავებით, ენდორფინებს დამამშვიდებელი ეფექტი აქვთ. სიყვარული ბუნებრივი ტკივილგამაყუჩებელია, რომელიც ადამიანს უსაფრთხოების, ჰარმონიისა და სიმშვიდის გრძნობას ანიჭებს. ამით ხსნიან მეცნიერები საყვარელ ადამიანთან დაშორებით, ან ამ ადამიანის გადაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას: მას „ნარკოტიკის“ დღიური დოზა აღარ მიეწოდება.

„სიყვარულის დასაწყისში გიყვარს ის, თუ რად გაგრძობინებს მეორე ადამიანი თავს. მონიჭული სიყვარული კი ნიშნავს, გიყვარდეს ის ადამიანი ისეთი, როგორიც არის“, – ამბობს კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქიატრი მარკ გულსტონი. ასე ხსნიან განსხვავებას ვნებიან და თანაგრძნობით საცხე სიყვარულს შორის.

„ეს დაახლოებით იგივეა, რაც ბონჯოვი ბეთჰოვენის წინააღმდეგ“, – წერს ამერიკელი ფსიქობიოლოგი ენტონი უოლში, ავტორი ნიგნისა „სიყვარულის მეცნიერება: სიყვარულის გაგება და მისი გავლენა გონებასა და სხეულზე“.

მაგრამ თუ მეცნიერები მეტნაკლებად ახერხებენ ვნებისა და თანაგრძნობის ახსნას, დღემდე უჭირთ, დაზუსტებით თქვან, რატომ ახვევს თავბრუს ბიჭს ერთი გოგოს სიარულის მანერა და სიცილი, მაშინ როცა მეორის ვნებიანი მიხვრა-მოხვრა და ეშმაკური ხითხითი მასში ნულ ემოციას იწვევს; ანუ რის საფუძველზე იბადება გრძნობა ადამიანში ერთი კონკრეტული ადამიანის მიმართ?

არსებობს ასეთი ვარაუდი, რომ ყველა ადამიანს გონებაში იდეალური პარტნიორის მოსაძებნად „სიყვარულის რუკა“

აქვს შექმნილი. ამ რუკაზე აღბეჭდილია ყველა ის გამაღიზიანებელი თუ მომნუსხველი ადამიანი და გამოცდილება, რომელიც მას ბავშვობიდან შეხვედრია და გამოუცდია: თუნდაც ვილაციის ხუჭუჭა თმა, მამის ხუმრობა, დედის მანერები, მეხანძრის უნიფორმა, ექიმის ხალათი და ა.შ. ბუნებრივია, პარტნიორები ვერასოდეს აკმაყოფილებენ რუკაზე მოცემულ ყველა მოთხოვნას, თუმცა საკმარისი რაოდენობის მაჩვენებლების დამთხვევა ქსელების გადახლართვას იწვევს და გზავნის სიგნალს, რომ ეს სიყვარულია.

ახალმა საუკუნემ, უბრალოდ, შეცვალა ის, რომ ეს სიგნალი სიყვარულის მაძიებლებმა დღეს შეიძლება ვირტუალურ სამყაროში, ონლაინ რეჟიმშიც იპოვონ ისე, რომ პარტნიორს პირისპირ არც შეხვდნენ.

„ახლა შესაფერისი ადამიანის მოსაძებნად მთელი ბაზები არსებობს. აბა, თბილისის ქუჩებში სად ვეძებო ის რჩეული ადამიანი?“ – ამბობს 35 წლის გიორგი, რომელიც ფლორტის საიტების ხშირი სტუმარია.

გიორგის პარტნიორის პოვნისთვის და შეყვარებისთვის გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდება, ვიდრე ქალს, – მიიჩნევენ მეცნიერები. ქალების მოთხოვნები გაცილებით კომპლექსურია და მათ მეტი დრო სჭირდებათ კანდიდატის შესარჩევად: უსაფრთხოება, მომავალი შვილების პოტენციური მამის ნიშან-თვისებები, სტაბილურობა და საზოგადოებრივი სტატუსი – მათთვის ეს ყველაფერი პარტნიორის შერჩევის მთავარი წინაპირობაა.

თუმცა გარანტიებს პარტნიორისგან არა მხოლოდ ქალები ითხოვენ. შესაძლოა ამიტომაც, სულ უფრო მეტი ადამიანი სასიყვარულო კავშირს ამყარებს მეგობართან, რომელსაც ენდობა. სინამდვილეში კი გარანტიები არ არსებობს და მხოლოდ პრაგმატული გათვლები ხშირად არ არის ხოლმე წარმატებული ქორწინების და ურთიერთობის წინაპირობა.

გერმანელი მეცნიერის, ანდრეას ბარტელის თანახმად, შეყვარებული ადამიანის გონებაში ნეგატიური ემოციისა და რაციონალური გადაწყვეტილებების

მიღების მექანიზმები ითიშება. სექსუალური სურვილების აყოლისას, სხვა სურვილები ითრგუნება, ამიტომ არ ყოფნით ადამიანებს შორსმჭვრეტელობა პარტნიორის არჩევისას და გონების კარნახის მიუხედავად, მაინც მძაფრ სექსუალურ ვნებებს მიჰყვებიან.

ამიტომაც მეცნიერები არასასურველი სიყვარულისგან „განკურნებისთვის“ გვირჩევენ, ვიმოქმედოთ ისევე, როგორც ნარკოტიკის ან სიგარეტის გადაგდებისას მოვიქცეოდით: შორს დაიჭირეთ თავი სტიმულატორისგან, თავიდან მოიშორეთ ყველაფერი, რაც მას გახსენებთ და ახალი საქმე წამოიწყეთ.

მსგავსი ტრაფარეტული რჩევები ბევრ ადამიანს აღიზიანებს. მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ ამ რჩევებამდე მისასვლელად მეცნიერებს ძვირადღირებული, ხანგრძლივი და სერიოზული კვლევები დასჭირდათ. შედეგად კი, მას შემდეგ, რაც სიყვარულის ელემენტარულ ნაწილაკებად დაშლა დაიწყეს, სიყვარულის შესახებ რეალურად ახალი არაფერი აღმოუჩინათ. ადამიანებს ისევ უყვართ, ისევ შორდებიან, ისევ ნერვიულობენ საყვარელი ადამიანის დანახვაზე, რო-

გორც საუკუნეების წინ; ისევ არსებობენ წყვილები, რომლებიც მთელ ცხოვრებას ერთად ატარებენ და ამბობენ, რომ სიყვარული მარადიულია; და ადამიანებიც, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე არ ამბობენ უარს პოლიგამიურ ურთიერთობებზე.

2009 წელს მსოფლიო მედია აჟიტირებული წერდა, თუ როგორ მიაგნეს მეცნიერებმა ჭეშმარიტ სიყვარულს. ეს მეცნიერები ნიუ-იორკის სტონი ბრუკის უნივერსიტეტში ატარებდნენ კვლევას იმ ადამიანებზე, რომელთაც თანაცხოვრების 20-წლიანი სტაჟი მაინც აქვთ. კვლევის დასრულების შემდეგ ერთადერთი, რაც გაირკვა, ის იყო, რომ შეყვარებულ წყვილს, ურთიერთობის ოცი წლის თავზეც შეუძლია ისეთსავე გრძნობებს განიცდიდეს ერთმანეთის მიმართ, როგორსაც სასიყვარულო ისტორიის დასაწყისში.

გამოდის, რომ სიყვარულის მეცნიერების შექმნა და ამ გრძნობის ქიმიურ-ბიოლოგიური ანალიზი მხოლოდ იმიტომ იყო საჭირო, რომ მეცნიერებმა მისულიყვნენ ერთ ბანალურ ჭეშმარიტებამდე: გულს ვერაფერს უბრძანებ! **□**

**ჭეხიხის და ზელმირის სიყვარულის ისტორია**



104 წლის ჰერბერტი და 102 წლის ზელმირა ამერიკაში, ჩრდილოეთ კაროლინაში ბედნიერად თანაცხოვრობენ უკვე 85-ე წელია. ჰერბერტის და ზელმირას ურთიერთობამ გაუძლო მეორე მსოფლიო, კორეის და ვიეტნამის ომებს, დიდ დეპრესიას და სამოქალაქო მოძრაობას. ამ

ურთიერთობის განმავლობაში შეიცვალა 15 პრეზიდენტი, ადამიანი მთვარეზე გაფრინდა, დადგა Google-ის, Facebook-ის და Twitter-ის ეპოქა. 85-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ კი, ზუთი შვილის, ორჯერ მეტი შვილიშვილის, შვილთაშვილებისა და მათი შვილების გარემოცვაში, წყვილი კვლავაც შეყვარებულად გრძნობს თავს.

სწორედ ამის გამო, ზელმირა და ჰერბერტი ნამდვილ ექსპონატებად იქცნენ. ისინი შეიყვანეს გინესის რეკორდების წიგნში. 2010 წელს დაარეგისტრირეს Twitter-ზე, რათა ახალგაზრდა შეყვარებულებისთვის საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინათ და ურთიერთობის შენარჩუნებაში დახმარებოდნენ. ჰერბერტის და ზელმირას გვერდზე დღეში ათასობით ადამიანი შედის. როგორც ჩანს, ადამიანებს ჯერაც სწამთ მარადიული სიყვარულის, ანდა სურთ, რომ სჯეროდეთ.

# ჩა აჩის ბეხომ-საჯახო საქმიანობა?

ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის მენეჯმენტის პიკერის სკოლის დირექტორთან,  
უილიამ ემიკთან

საჯარო-კერძო პარტნიორობებს როდესაც ახსენებენ, პირველ რიგში, ფინანსური კრიზისის შემდეგ გაჩენილი კრიტიკა მახსენდება. ეს კრიტიკა ბოლო 30 წლის განმავლობაში ყოველთვის ისმოდა, მაშინაც კი, როდესაც ბრიტანეთში კონსერვატორულმა მთავრობამ რკინიგზის პრივატიზაცია მოახდინა და პროექტი ჩაფლავდა. ლეიბორისტული მთავრობის პროექტ-მაც ლონდონის მეტროს გაუმჯობესების შესახებ იგივე ბედი განიცადა... რატომ ფიქრობთ, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობებზე საუბარი დღემდე რელევანტურია?

საჯარო-კერძო პარტნიორობა არ ნიშნავს პრივატიზაციას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მთავრობა ამბობდეს, კარგი, ჩვენ ყველაფერს გადავცემთ კერძო სექტორს და საბაზრო მაგია ყველაფერს თავისით დაარეგულირებს. ეს დერეგულაციაა, ამან არ იმუშავა. ჩემი აზრით, ეს განსხვავდება საჯარო-კერძო პარტნიორობებისგან, რომლებიც მთავრობის მიერ მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს. ის ჩავარდნები, რაც თქვენ გამოყავით, არ იყო მოდელის შეცდომები, არამედ მოდელის არასწორად განხორციელების შედეგები. იდეა მცდარი არ ყოფილა, იმპლემენტაცია იყო მცდარი. ამიტომ საჯარო-კერძო პარტნიორობებს ვერ განვიხილავთ, როგორც იზოლირებულ შემთხვევებს, რომლებმაც კრიზისულ პროპორციებს 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანების დასაწყისში მიაღწიეს. პირიქით, ვფიქრობ, მსგავსი პარტნიორობის მაგალითები ცნობილია იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევაში თანამშრომლობის ეს სქემა წარმატებით მუშაობს. თუმცა, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობები



ფოტო: ლეონ სარაშულიძე

მკაცრი რეგულაციების პირობებში მოქმედებდნენ.

### კერძო ფირმები ხარჯვის შესახებ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავენ, როგორ უნდა უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელებმა ასეთი პროექტების გამჭვირვალობა?

ვფიქრობ, თქვენსავე კითხვაში გაეცით პასუხი: გამოსავალი მეტი გამჭვირვალობაა. შეიძლება, მათ არ თქვან, რამდენს უხდიან გარკვეულ პირებს, ან რა დაუფრთხილეს გარკვეული პროცესის დაგეგმვა, მაგრამ შეგიძლიათ, ინფორმაცია მოსთხოვოთ. მე თუ ვარ მთავრობა, შემიძლია, მოვთხოვო იმის გაზიარება, თუ რაში დახარჯავენ ჩემს ფულს და თავად გადავწყვიტო, რამდენადაა მათ მიერ შემოთავაზებული ფასი ადეკვატური. მე არ მეცოდინება მუშახელის ხელფასი რამდენია, არ მეცოდინება, რა გადაიხადეს ცემენტში, მაგრამ ზუსტად მეცოდინება, რა გადავიხადე ხიდში. და პრინციპში, ეს საკმარისია;

ეს ის არის, რაც უნდა ვიცოდეთ. თუმცა ასეთ დროს მუშები გაცილებით ნაკლებად დაცულები იქნებიან, ვიდრე სამთავრობო დაფინანსების შემთხვევაში იქნებოდნენ... დიახ, ასეა და ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომელსაც ეკონომიკაში კერძოსა და საჯაროს დარეგულირებისას ვაწყდებით. საჯარო სექტორში სამსახური უფრო სტაბილურია, უფრო მეტად დაცული ხარ და თან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საქმეს აკეთებ. კერძო სექტორში კი სამუშაო ადგილები უფრო ბიზნესის ეფექტურობაზეა დამოკიდებული, ხელფასებს კი ბაზარი განსაზღვრავს. სხვა მხრიდან რომ მივუდგეთ, ვიცით, რომ მთავრობის მიერ სრულად გარანტირებულმა სამსახურებმა საბჭოთა კავშირსა თუ კომუნისტურ ჩინეთში არ იმუშავა. ასევე ვიცით, რომ არ მუშაობს არც დაურეგულირებელი ბაზარი. ამიტომ, გვჭირდება შუალედური ვარიანტის გამოძებნა. შუალედური ვარიანტი

კი, ჩემი აზრით, სოციალური დაცვის მექანიზმების არსებობაა. არსებობს ჯანდაცვის და პენსიაზე გასვლის სპეციალური პროგრამები, სამთავრობო რეგულაციები, მათ შორის, იმგვარ საკითხებში, როგორცაა კერძო ფირმებსა და მუშახელს შორის დადებული კონტრაქტები, ხელფასების რეგულირება და ა.შ.

**საჯარო-კერძო პარტნიორობების მოდელის ოპონენტები ამბობენ, რომ ასეთი პროექტების შემთხვევაში, რისკები კერძო და საჯარო სექტორს შორის არათანაბრად ნაწილდება. კერძო სექტორი გაუმართლებელ რისკებზე წავა, რადგან ეცოდინება, რომ საჯარო სექტორი ყოველთვის გადაარჩენს (თუ**

რომ მაგალითად, წყალზე გადასახადი არ უნდა არსებობდეს, მაგრამ თუ ეს ასე იქნება, მაშინ წყალს მოვუშვებთ და დიდი ხნით დავტოვებთ ისე, რომ არ ვინაღლებთ, რამდენ ბუნებრივ რესურსს დავხარჯავთ. ასე რომ, გადასახადების დაწესება რესურსების უფრო ეკონომიურად გამოყენებაშიც დაგვეხმარება.

**თუმცა იმის განსაზღვრა, თუ ვინ რამდენ სარგებელს იღებს საჯარო სიკეთეებით, ხომ რთულია? მაგალითად, ყველა კატეგორიის მგზავრი თანაბრად გადაიხდის ხიდზე გადასვლის დროს?**  
შესაძლოა, თუმცა არსებობს ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას გვაძლევს განსხვავებული გადასა-

ცია საუკეთესო გამოსავალი არც იყოს. მაშინ მთავრობამ თავად უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა დაზღვევით. ვფიქრობ, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობების მოდელს ბევრი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ამ მოდელს ყველა დროის საუკეთესო პასუხად არ მივიჩნევ. ის ზოგჯერ ამართლებს, ზოგჯერ – არა.

**უცხოურ ფირმებს, რომლებიც ასეთ პროექტებში მიიღებენ მონაწილეობას, ცოდნის და ექსპერტიზის შემოტანაც შეუძლიათ... ამ ასპექტზე რას იტყვი?**  
როდესაც უცხოურ ფირმას ვთავაზობ ჩემთან პარტნიორობას, შემოდის, გარკვეული პირობები წავუყენო: მათ უნდა დაიქირავონ და

**რაც უფრო მეტად მოახერხებთ ადგილობრივი მუშახელის უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას, მით უფრო მეტად დაინტერესებულები იქნებიან უცხოური კომპანიები.**

**პროექტი საკმარისად მნიშვნელოვანია).**  
აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით. თავის დასაცავად რამდენიმე ზომის მიღება შეგვიძლია: მაგალითად, კონტრაქტში წახალისებისა და დასჯის მექანიზმების ჩადება. ვთქვათ, ხიდის აშენება მინდა და მაქვს 100 მილიონი დოლარი. თუ შენ ამიშენებ ხიდს 5 წლის მაგივრად, 3 წელიწადში, მე მოგცემ 150 მილიონ დოლარს, ხოლო თუ მშენებლობას შუა გზაზე გააჩერებ და კონტრაქტის პირობებს არ შეასრულებ, შემდგომი ხუთი წელი სამთავრობო კონტრაქტებს ვეღარ მიიღებ.  
სხვათა შორის, მთავრობას კაპიტალის მოზიდვა შეუძლია ისე, რომ თავად არაფერი გადაიხადოს, მაგალითად, ინფრასტრუქტურით სარგებლობაზე გადასახადების დაწესებით: გადასახადები ხიდზე, ავტობანზე, წყალზე... რა თქმა უნდა, აქაც შეიძლება არსებობდეს განსხვავებული მოსაზრებები. ზოგიერთი იტყვის,

ხადები დავანესოთ. მსუბუქი მანქანების მფლობელებს შესაძლოა, მოვთხოვო 1 დოლარის გადახდა, სატვირთოსას – 20 დოლარის და ა.შ. იგივე მექანიზმი შეიძლება დავანესოთ წყალზე: წყლის სუბსიდიები შემოვიღოთ ღარიბებისთვის, მაშინ, როდესაც კომპანიებს დახარჯულის საფასურს გადავახდევინებთ.  
**საქართველოში ბოლო დროს პრობლემა გაჩნდა ჯანმრთელობის დაზღვევის სექტორში. მთავრობამ 180 მილიონი დოლარი გამოყო მოსახლეობის დაზღვევისთვის, თუმცა არაუფექტიანად დახარჯა და სადაზღვევო კომპანიების მოგების მარჟამ 60 პროცენტს მიაღწია. რა არის საუკეთესო გზა ამ სექტორში მსგავსი პრობლემებისგან თავის დასაცავად?**  
რამდენიმე გამოსავალი შეიძლება, არსებობდეს. ერთი არის კონკურენტული ბაზრის შექმნა. ხოლო თუ ხედავ, რომ ასეთი ბაზარი არ არსებობს, შესაძლოა, პრივატიზა-

ტირინგი ჩაუტარონ ადგილობრივ მუშახელს... მათ შეუძლიათ, მოიყვანონ თავიანთი ექსპერტები, მაგრამ კონტრაქტში ჩაინერება, რომ საერთო მუშახელის X პროცენტი საქართველოდან უნდა იყოს. ამაზე უცხოური ფირმები დათანხმდებიან, რადგან ადგილობრივი მუშახელი ყოველთვის უფრო იაფი ღირს.  
ვფიქრობ, საქართველომ მაქსიმალურად მეტი ინვესტიცია უნდა ჩადოს განათლების სექტორში. რაც უფრო მეტად მოახერხებთ ადგილობრივი მუშახელის უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას, მით უფრო მეტად დაინტერესებულები იქნებიან უცხოური კომპანიები ადგილობრივი ადამიანური რესურსების გამოყენებით. გრძელვადიან პერსპექტივაში, ადგილობრივი მუშახელი ყოველთვის უფრო იაფია, ვიდრე – უცხოეთიდან ჩამოყვანილი. 

**ესაუბრა გიორგი ცხადაია.**

# დიცა და საუზმე საჩხითვლოში



მარკ მალენი

თბილისი გვიან იქოქება. დილის შვიდ-რვა საათზე ქუჩები, ძირითადად, ცარიელია. დახლოებით 9-ის 20 წუთისთვის ისინი გამოჩნდებიან ხოლმე, ვისაც ბავშვები სკოლებში მიჰყავთ. თუმცა, ბევრნი არ არიან. 10 საათამდე თითქმის ყველა მაღაზია თუ ოფისი დაკეტილია. ათი საათი – ეს სამუშაო დღის დაწყების ოფიციალური დროა, თორემ ოფისში 10-ზე მისვლა უფრო რეკომენდაციაა, ვიდრე წესი. ბევრი სამსახურში თერთმეტამდე ან თორმეტამდე არ მიდის. ამ დროისთვის უკვე ლაჩი ახლოვდება და რეალურად, ეს ხალხი მუშაობას ორ-სამ საათზე იწყებს. მათი ნაწილი სამსახურს ექვს საათზე ტოვებს. სხვები კი უბრალოდ სამუშაო საათებს წინ ანაცვლებენ და დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად 9-დან 6-მდე-ს მაგივრად, სამი საათიდან შუალამემდე მუშაობენ. სიტყვა „მუშაობას“ აქ პირობითად ვხმარობ. ზოგიერთი მართლა ვირივით მუშაობს, მაგრამ დანარჩენები – ცოტას წაიმუშავენ, რამდენიმე ადგილას დარეკავენ, ჩეტი, „ფეისბუქი“, „სოლიტერი“, ისა, ესა. მოკლედ, ჩალიჩობენ.

ბევრი უცხოელისთვის, რომელიც რეგულარული საათებით მუშაობას არის შეჩვეული, ეს გრაფიკი საოცრად მოუხერხებელია. ამას თავი დავანებოთ, „დილის“ ასეთი განსხვავებული აღქმები მის მთელ კონცეფციას ამახინჯებს. წარმოიდგინეთ, საქართველოში ბევრია ისეთი, ვინც არასოდეს ყოფილა გამოღვიძებული დილის შვიდ საათზე. ბევრისთვის დილის 10 საათი იმდენად ადრეა, რომ თუ ამ დროს მათი ტელეფონი დარეკავს, იმის შიში იპყრობთ, რომ რამე უბედური შემთხვევა მოხდა.

შეთანხმებას, თუ როდის დავიწყებთ დღე, ბევრი დადებითი მხარე აქვს. ისიც სასარგებლო იქნება, თუ გადავწყვეტთ, დილა უფრო ადრე გადმოვწიოთ, ვიდრე ეს საქართველოში ახლაა მიღებული. ხალხი, ვინც დილით ადრე იღვიძებს, ზოგადად უფრო მეტად ორგანიზებული და პროდუქტიულია – ეს ერთი პლუსი. მეორე – თუ გვეცოდინება, როდის ვინცებთ დღეს, მაშინ უფრო ადვილად შევთანხმდებით კომერციული და სოციალური ურთიერთობებისთვის მისაღებ დროზე. და ბოლოს, თუ ადამიანები ადრე იღვიძებენ, ისინი დასაძინებლადაც ადრე მიდიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა ნახევარი ღამე ტელევიზორის ყურებითაა დაკავებული.

ბევრმა კვლევამ აჩვენა, რაც უფრო მეტს უყურებს ადამიანი ტელევიზორს, მით უფრო შტერდება. თანაც, მნიშვნელობა არ აქვს,

როგორ არხებს ან გადაცემებს უყურებს ხოლმე. ადრე გაღვიძებული ადამიანი მეტ დროს უთმობს კითხვას, წერას, საუბარს, სეინრობას, ფიქრს, სხვებთან ურთიერთობას – ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც ჩვენი სახეობის არსებებს უნდა ახასიათებდეთ. ვინც გვიან იძინებს, ის ძირითად დროს დივანზე, ტელევიზორის ცქერაში ატარებს.

ჰოდა, მოდი, დილას – დღის ამ დიდებულ ნაწილს უფრო სერიოზულად მივუდგეთ. ამას მონათესავე, მაგრამ განსხვავებულ თემაზე მივყავართ.

ყველამ ვიცით, რომ ამერიკას საკუთარი სამზარეულო არ აქვს. ჩვენი ჩვევა და უნარი ის არის, რომ სხვების ნაციონალური საკვები

ლაბორატორიაში გაგატაროთ – ინგრედიენტები მარცვლეულით, სოიოთი ან სასაკლავო მეორადი ნარჩენებით ჩავანაცვლოთ, შემდეგ კარგად შევფუთოთ და მთელ მსოფლიოში იაფად გავყიდოთ. ერთი, რაც გვაქვს და ამით ვამაყობთ, საუზმეა. ვინც კი ოდესმე ამერიკაში ყოფილა, საუზმის მნიშვნელობაც ეცოდინება. რამდენიმე ტიპის საუზმე არსებობს, რომელსაც ამერიკაში ზედმინეცით კარგად ამზადებენ. მსოფლიოში ერთადერთი ადგილი ამერიკაა, სადაც საუზმე ყველაზე სოციალური რიტუალია, სულ ერთია, მას სახლში მიირთმევენ თუ რესტორანში. ამერიკაში საუზმეს ძირითადად 8 საათზე გეგმავენ, ზოგჯერ 7-ზეც კი. რესტორანს, რომელიც კლიენტს სასაუზმე საკვებს სთავაზობს, „დაინერს“ უწოდებენ. „საუზმე მთელი დღის განმავლობაში“ – ეს ხშირად დაინერების სარეკლამო სლოგანია. მათ იციან, რომ ის ყველას უყვარს.

საქართველოში საუზმე აღსანიშნავი ღონისძიება არ არის. ის, როგორც წესი, სამიდან ერთ-ერთია: ვახშმიდან შემორჩენილი საჭმელი, ბუტერბროდი ან ხაში. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, რამდენადაც არ უნდა უყვარდეთ ის, მისი ჭამის დროს უმრავლესობას თავი სტკივა და გაუნყოფიებულია. საქართველოში საუზმე ისეთივე მარტოსული და შთაგონებას მოკლებულია, როგორც ზოგადად – დილა. არადა, საჭმლის მომზადება აქ მართლა კარგად ეხერხებათ. ეს ერთგვარი ეროვნული საქმე და ტალანტია. ქართულმა კულტურამ ახლა დროა, თავისი ტალანტი და ძლისხმევა საუზმისთვის ახალი საჭმლის გამოგონებაში ჩაღოს ან სულ მცირე, ხაშს მაინც გასცდეს. აუცილებელია, ჯერ დილისადმი მეტი პატივისცემა და კონსენსუსი გამოვიმუშაოთ, რომ შევხედოთ მას, როგორც ფასეულობას და არა მოვლენას, რომლისაც გემინია და რომელსაც, უბრალოდ, უნდა გაუძლო. ■

**■ ხალხი, ვინც დილით ადრე იღვიძებს, ზოგადად უფრო მეტად ორგანიზებული და პროდუქტიულია. თუ გვეცოდინება, როდის ვინცებთ დღეს, მაშინ უფრო ადვილად შევთანხმდებით კომერციული და სოციალური ურთიერთობებისთვის მისაღებ დროზე.**

# ქართული ხომჯიუსიხი თამაში "პოლიცია" - შთაბეჭდილებები



ნიკო ნერგაძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზე ([www.police.ge](http://www.police.ge)) „პოლიცია“ თებერვლის დასაწყისში გამოჩნდა. მართალია, ის „პირველ ქართულ კომპიუტერულ თამაშად“ არის მოხსენიებული, მაგრამ დასრულებულ თამაშამდე „პოლიციას“ კიდევ ბევრი უკლია – საიტზე ჩამოსაწერი ფაილი, ეგრეთ წოდებული, „პრეალფა“ ვერსიაა, ანუ ჯერ შავი ვარიანტიც კი არ არის. შესაბამისად, რეცენზიისათვის ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ ზოგად შთაბეჭდილებებს კი გაგიზიარებთ.

ჯერ შინაარსი: „პოლიციის“ მთავარი გმირი საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ირაკლია, რომელსაც, მენეჯილესთან ერთად, ბანკის ძარცვის აღსაკვეთად გამოიძახებენ. აღკვეთა, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ პატრულის რამდენიმე თანამშრომელი შუა ქუჩაში დგას და ელოდება სპეცრაზმს, რათა, ერთ-ერთის თქმით, მათ მძარცველები „ყვერებით გამოათრიონ“ შენობიდან. შემდეგ მძარცველები შენობიდან ცეცხლს გახსნიან და პოლიციელების ნაწილს დახოცავენ. ირაკლი ფანჯრიდან შეძვრება შენობაში. უშუალოდ თამაშის ნაწილი აქ იწყება – მოთამაშე აკონტროლებს ირაკლის, რომელიც მძარცველებს ხოცავს. სიკვდილის წინ მძარცველები იძახიან „ბლიად“, „დამჭრეს ამ ბოზებმა“ ან „მომკლეს ჩემი...“ მთელი ეს ამბავი დაახლოებით 10 წუთს ნაგართმევთ.

თამაშს ტექნიკური პრობლემები აქვს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ამაზე ლაპარაკი არ ღირს – ეს ჯერ შავი ვერსიაც არაა და ნელ-ნელა ტექნიკურ პრობლემებს ეშველება. აი, მთავარ პრობლემას კი რა ეშველება, არ ვიცი – თამაში უკიდურესად მოსაწყენი ჩანს და არც ეტყობა, რომ რაიმემ საინტერესო



გახადოს.

არადა, იდეა ცუდი არ არის. მას თამაშის შემქმნელები ინტერვიუებში ასე აღწერდნენ – პატრულის თანამშრომელი ირაკლი კარიერულ წინსვლას ყველაზე დაბალი თანამდებობიდან იწყებს, მონაწილეობას იღებს გამოძიებებში რეალურად მომხდარ დანაშაულებზე, შეეხება ვიდეოების დევენა, დაკავება, დაზვერვა და ასე შემდეგ. კარგად, ან, გნებავთ, საშუალოდ გაკეთებულიც კი არ უნდა გამოვიდეს ცუდი.

ახლა კი თამაშს ამ აღწერასთან საერთო არაფერი აქვს. დღევანდელი მდგომარეობით „პოლიცია“ არის ძალიან ჩვეულებრივი „შუტერი“ (სროლებიანი თამაში). ისეთივე ბანალური, როგორი სათაურიც აქვს. ამ ჟანრის თამაშებში საინტერესო არის ხოლმე იარაღის არჩევანი, ოთახების ჭკვიანური დიზაინი, ზოგ შემთხვევაში ამბავი, ზოგ შემთხვევაში გარემო... მოკლედ, რამე მაინც!

„პოლიციას“ კი ეს „რამე“ არა აქვს. კი, მოქმედება საქართველოში ხდება და

ქართულად მოლაპარაკე პერსონაჟები რალაც მომენტში დაგაინტერესებს კაცს, მაგრამ ეს „რალაც მომენტი“ ზუსტად 5 წუთია. შემდეგ კი თამაშმა უნდა ჩაგითრიოს. ჩამთრევი კი აქ არაფერია.

ისე კი, ამ ეტაპზე მყოფი თამაშის ინტერნეტში განთავსება ჩამოსაწერად სრული უსინდისობაა მათ მიმართ, ვინც ამ თამაშს აკეთებს. „პრეალფას“ ადგილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზე კი არა, მუშა კომპიუტერებშია. მით უფრო, რომ საიტზე შესვლისას გგონია, დასრულებულ თამაშს იწერ და არა საშუალო ვერსიას. ისედაც, რიგითმა მომხმარებელმა „პრეალფა“ სულ არ იცის, რა არის. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მზა პროდუქტია და რომ „ქართველებმა არაფრის კეთება არ ვიცით, მათ შორის, არც კომპიუტერული თამაშებისა“.

ჰოდა, უსამართლობაა! ნამდვილად არ მაქვს იმედი, რომ ამ პროექტისგან რამე გამოვა, მაგრამ კრიტიკას მაშინ ექნება აზრი, როდესაც მუშაობა დამთავრდება და გამოჩნდება, რა გამოვიდა და რა – არა. ■

# ეზისტოცა ბეხინადასბან



გადავარჩინოთ რიგითი ირანელი პანაჰიცი და შექსპირის კოროლანოსიცი

დავით ბუხრიკიძე



ფოტო: ვაჰარაშვილი პიციცი / REUTERS

ბერლინალის გასსნა, 10 თებერვალი 2011

ბერლინის 61-ე საერთაშორისო კინოფესტივალის გასსნაზე მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ ყველაფრის მიუხედავად, ხელით დანერილი ტექსტი მნიშვნელობას არასოდეს დაკარგავს. ირანის ხელისუფლების მიერ ექვსი წლით დაპატიმრებული ირანელი რეჟისორის, ჯაფარ პანაჰის ციხიდან გამოგზავნილი წერილი მისმა მეგობრებმა ათასობით ეგზემპლარად ამობეჭდეს და

თეირანში ისე გაავრცელეს... ბერლინის კინოფესტივალის დირექციამ ეს ფაქტი უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჩათვალა. ჯერ ერთი, პანაჰი ფესტივალის ჟიურის წევრი უნდა ყოფილიყო; მეორეც, ყოველ ათ წუთში „ბერლინალე პალასტის“ ვიდეოკამერები რეჟისორის ფოტოებს უჩვენებდნენ. შემდეგ მცირე პერფორმანსიცი მოეწყო სახელწოდებით „ჯაფარ პანაჰის სკამი“ (ცარიელი სკამი მთელი

ცერემონიის განმავლობაში სცენაზე იდგა). ფინალში ჟიურის თავმჯდომარემ, მომხიბვლელმა იზაბელა როსელინიმ, სცენიდან ნაიკითხა ეს წერილი, რომელიც რამდენიმე ენაზე ინტერნეტით გავრცელდა. დარბაზში რამდენიმე სტუმარი კი ფეხზე წამოდგა და ირანელი რეჟისორის სურათები ააფრიალა. თავად ამ ფაქტმა ლამის დაჩრდილა ეთან და ჯოელ კოენების ფილმის პრემიერა, რომლითაც გაი-

ხსნა წლევანდელი ბერლინალე. პანაჰის ფილმს „ოფსაიდი“, რომელიც 2006 წელს „ვერცხლის დათვით“ დააჯილდოვეს რეჟისორისათვის, სპეციალურად უჩვენებენ სწორედ „ბერლინალე პალასტში“.

კონკურსის „ჭეშმარიტი სიმტკიცე“ კონკურსში არ მონაწილეობს. ფილმი „ოსკარის“ ფავორიტია და თებერვლის ბოლოს რამდენიმე ნომინაციას აუცილებ-

რეკლამირებული ბერლინში.

„ოქროს დათვის“ მაძიებელთა შორის რამდენიმე გამოჩენილი რეჟისორის, უფრო მეტად კი – ექსპერიმენტატორის მოძებნა შეიძლება. პირველ რიგში, უნგრელი რეჟისორი ბელა ტარი უნდა დავასახელოთ, რომელსაც მომაკვდავი საავტორო კინოს „დინოზავრად“ მიიჩნევენ. შავ-თეთრ ფილმში „ტურინელი ცხენი“,

მირანდა ჯულის „მომავალი“, ისევე, როგორც ახალგაზრდა ამერიკელის, ჯეი სი ჩენდერის ფილმი Margin Call, რომლითაც ის ბერლინალეს პუბლიკას ვარსკვლავებითაც „დააპურებს“ – კევინ სპეისი, ჯერემი აირონსი, დემი მური.

შექსპირს რომ არასოდეს გამოეღევა ინტერპრეტატორები, ეს, როგორც თეატრალს, მახარებს. თუმცა, როგორი იქნება პოპულარული მსახიობის, რაღფ ფაინსის კინოოპუსი სახელწოდებით „კორიოლანოსი“ (ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით), ძნელი სათქმელია. განსხვავებულ სივრცესა და დროით კოორდინატებში მოქცეული შექსპირის პერსონაჟები ავტომატებით არიან შეიარაღებულნი. პუბლიკა ნამდვილად არ მოიწყენს, კრიტიკოსებსა და ჟურნალისტებზე ძნელია საუბარი, ვნახოთ...

გასული წლის წარმატებით „ნახალისებული“ რუსი ჟურნალისტები (პოპოგრესლის ფილმმა „როგორ გავატარე გასული ზაფხული“ რამდენიმე პრიზი მიიღო) იმედს არც წელს კარგავენ და მიაჩნიათ, რომ ალექსანდრე მინდაძის ფილმი „შაბათს“ რაღაცას მიიღებს. ბედის ირონიით, წელს ეს ერთადერთი ქართული გვარია საკონკურსო პროგრამაში და ისიც რუსეთს წარმოადგენს. კინოს მოყვარულთ მხოლოდ შევასხენებთ, რომ რუსეთში მოღვაწე ალექსანდრე მინდაძე 80-90-იან წლებში კარგი სცენარისტი იყო და რეჟისორ ვადიმ აბდრაშიტოვის ფილმების თანაავტორიც. მოგვიანებით კი თავად დაიწყო ფილმების გადაღება.

ჩაროზი ბოლოსთვის შემოვიწახეთ: ჩემთვის ყველაზე საინტერესო თანამედროვე ქორეოგრაფისა და ხელოვანის, 2009 წელს გარდაცვლილი პინა ბაუმის შესახებ, ცნობილმა რეჟისორმა ვიმ ვენდერსმა დოკუმენტური ფილმი გადაიღო, სახელწოდებით „პინა“. მეორე, არანაკლებ ლეგენდარული გერმანელი რეჟისორი, ვერნერ შერცოგი კი სამხრეთ საფრანგეთში, მღვიმეში აღმოჩენილი 30 ათასი წლის წინანდელი ნახატების შესახებ საინტერესო ამბავს გვპირდება. ორივე ფილმი სამგანზომილებიანი კინოს ფორმატში იქნება ნაჩვენები. ასე რომ, დოკუმენტურმა კინომ ბერლინალეზე მოულოდნელად კარგი „შეესება“ მიიღო. ■



ფოტო: ჟოზეპ კობანი / REUTERS

ძმები კონენები ნითელ ხალიჩაზე, ბერლინალე, 10 თებერვალი 2011

**კონენების „ჭეშმარიტი სიმტკიცე“ „ოსკარის“ ფავორიტია და თებერვლის ბოლოს რამდენიმე ნომინაციას აუცილებლად გამოჰკრავს ხელს. ამგვარი დასაწყისი ევრო-ამერიკული პარიტეტის შენარჩუნებად უფრო ალიქმება, რასაც ფესტივალის დირექტორი უკვე ათი წელია, ენერგიულად ცდილობს.**

ბლად გამოჰკრავს ხელს. ამგვარი დასაწყისი ევრო-ამერიკული პარიტეტის შენარჩუნებად უფრო ალიქმება, რასაც ფესტივალის დირექტორი, ბატონი დიტერ კოსლიკი უკვე ათი წელია, ენერგიულად ცდილობს. მყარად აგებული სცენარით, საფუძვლიანი რეჟისორული ირონიითა და მსახიობთა (განსაკუთრებით ჯეფ ბრიჯესი და მეთ დეიმონი) რეალისტური ცინიზმით გაჯერებული ფილმი კარგადაა

ფილოსოფოს ფრიდრიჰ ნიცშეს განდების სამყაროს აღწერს, როცა ის მეეტლის მიერ საკუთარი ცხენის სასტიკ მკვლელობას შეესწო. ამ კონკრეტული ფაქტით ანალიზებს ფილოსოფოსი ბოროტების ბუნებას, რეჟისორი კი – სისასტიკის ესთეტიკას. ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს დამოუკიდებელი ამერიკული კინოს ერთ-ერთი იმედის, მსახიობის, მომღერლისა და შემდგომში უკვე რეჟისორის,

# უთოვლო, მზიანვარი ბაზაზი



რატი ამალაშვილი

საქართველოში ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტები შენდება და იხვეწება: მესტია, ბაკურიანი, ზემო აჭარა, შემდეგ წელს თბილისთან ახლოს, ბეთანიაში იგეგმება სათხილამურო ტრასის გახსნა, რაც ფრიად სასიხარულოა. სავარაუდოდ, ხსენებული კურორტების ინფრასტრუქტურა წლიდან წლამდე განვითარდება და დაიხვეწება. რა ხდება ამ დროს გუდაურში, რომელიც გამოირჩევა თავისი მდებარეობით, ლანდშაფტებითა და მზამზარეული ინფრასტრუქტურით? აშკარაა, რომ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ავსტრიელების მიერ ათვისებული გუდაური ვერ ვითარდება; რა არის ამის მიზეზი? არადა, თითქოს ალტერნატიული კურორტების არსებობა ერთგვარი მაპროვოცირებელი ბიძგი უნდა ყოფილიყო გუდაურის განვითარებისათვის. ყოველ შემთხვევაში, კონკურენტული გარემო, როგორც წესი, ყოველთვის განვითარებისა და უკეთესი პირობების შექმნას უნდა მოასწავებდეს, ეს აქსიომაა და ამ აქსიომას არ ექვემდებარება გუდაური. თუ საძელეს მთაზე გაყვანილ საბაგიროს არ ჩავთვლით და ასევე, ამენებულ კორპუსებს, რომელთაც სათხილამურო სერვისთან და შემოთავაზებებთან არაფერი ესაქმებათ, ბუნებისა და ავსტრიელების შექმნილი გუდაური, თითქმის ისევე გამოიყურება, როგორც გასულ ათასწლეულს, 1987 წელს.

პრეზიდენტის ინიციატივას, რომ სამთო-სათხილამურო სპორტი ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი მოქალაქისთვის, მათ შორის, უცხოელი დამსვენებლისთვის, მისი სხვა ინიციატივებისგან განსხვავებით, პირადად მე გულწრფელი სიმპატიით ვუყურებ.

პრეზიდენტის ამ სურვილისა და იმპულსის დიაგნოსტიკურად განსხვავებული, საპირისპირო რეალობა სუფევს გუდაურში, რომლის არსებობის ყოველ დეტალს, მიზეზთა და მიზეზთა გამო, დიდი ხანია, ყურადღებით ვაკვირდები.

ზოგადი საუბრით თავი რომ არ შეგანყინოთ, დაახლოებით იმ ციფრებს მოვიტან, რაც გუდაურში შაბათ-კვირას ასულ თითოეულ ადამიანს უტრიალებს თავში და არა – ჯიბეში. მას ასე: ვთქვათ, ბედმა გაგიღიმათ და იპოვეთ მეგობარი, რომელიც გუდაურისკენ საკუთარი მანქანით მიდის და დაზოგეთ სამგზავრო ხარჯები; ვთქვათ, გაქვთ თქვენი თხილამური და არ ქირაობთ მას, და დაზოგეთ 40 ლარი; ერთი ღამის გათევა სასტუმრო „გუდაურში“ მინიმუმ 400 ლარამდე ღირს, სხვა სასტუმროებში – 100 დოლარის ეკვივალენტი ლარებში. ამაზე ნაკლები არ არის, არ იოცნებოთ!

ერთი დღე სრალი 33 ლარი დაგიჯდებათ, თანაც იმგვარ ტრასებზე, რომელიც სახიფათოა თქვენი სიცოცხლისთვის, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ – სახიფათო! როდესაც შესაძლებელია ძვირდება საბაგიროთი მგზავრობა, ბუნებრივია, მოლოდინი გვაქვს, რომ



ახალი ტიპის მომსახურებაც გაჩნდება, მაგალითად, ახალი ტრასები, თოვლის ახალი სატკეპნი მანქანები, ან თუნდაც ხელოვნური თოვლი. ეს სიახლეები გუდაურში არ არის, სამაგიეროდ, თქვენ უნდა ჩადგეთ, სულ მცირე, საათნახევრიან რიგში, გადაიხადოთ 33 ლარი და ისრიალოთ არა უსაფრთხო ტრასებზე, არამედ ბრძოლის ველზე, სიამოვნება კი არ მიიღოთ – იბრძოლოთ გადარჩენისათვის. ასეთი მოუვლელი სათხილამურო ტრასებით დაუშვებელია სეზონის გახსნა.

რით ჰგავს გუდაური და რით აღემატება იგი თუნდაც ჩვენს რეგიონში არსებულ სათხილამურო კურორტებს, ვთქვათ, თურქეთისას? მხოლოდ ფასით. რადგან მომსახურების ხარისხი ყველგან, გუდაურის გარდა, გაცილებით მაღალია. ზაფხულობით ტრასები ქვებისგან მაქსიმალურად ინმინდება, იგება სპეციალური ბალახი, რომელიც ირწყვება, იკრიჭება, ისეთი ბალახი, რომელზეც მინიმალური რაოდენობის თოვლის არსებობაც კომფორტულ და უსაფრთხო სრიალს ხდის შესაძლებელს. ასეთ კურორტებზე არ არიან დამოკიდებული მხოლოდ ბუნებაზე და ბუნებრივი მოვლენების გამო, როგორცაა თოვლი – დამსვენებლებზე დიდ ფულს არ აკეთებენ. არცერთი მსოფლიო სტანდარტის სამთო-სათხილამურო კურორტი თანამედროვე სამყაროში არ არსებობს მსგავსი ხელოვნური თოვლის, ზემოთ ნახსენები გასატარებელი სამუშაოებისა და სტანდარტების გარეშე. გუდაურში კი ეს შესაძლებელია, ერთი მარტივი მიზეზის გამო: გასაძი!

ყველამ იცის, რომ სამთო-სათხილამურო სპორტი და ტურიზმი არ არის იაფი, მაგრამ ამავე დროს, მსოფლიოში ყველაზე ხარისხიანი მომსახურება სწორედ ამ სივრცეშია. მთა და მთასთან ურთიერთობა, პირველ ყოვლისა, კულტურაა, ცოდნა და არამხოლოდ პრიმიტიული სურვილი ფულის კეთებისა. ამიტომაც გუდაურში თხილამურზე დგომის მოსურნეთა რიცხვი, სამწუხაროდ, არ იზრდება, ქვა-ლორიდან ტრასებზე დაშვებულთა რიცხვის საპირისპიროდ, რომელთა კოლოსალურ დანახარჯებს ახლა მკურნალობის ხარჯებიც ემატება. ■

# ინგლისი ხოსა მოიბებს



გიო ახვლედიანი

კვლავ აღნთო იმედებით საფეხბურთო ინგლისი, კვლავ ბრძენია ფაბიო კაპელო და კვლავაც ყველაფერი წინაა.

უსაშინლესი შარშანდელი სეზონის შემდეგ, რომელიც მონტენეგროსთან უსახური ფრეთი და ფრანგებთან კიდევ უფრო უსახური წაგებით დაგვირგვინდა, ინგლისის მრავალტანჯულმა ნაკრებმა, რომელიც, ტრადიციულად, ვერ შეიკრიბა თავისი საუკეთესო შემადგენლობით, კოპენჰაგენის პარკენზე დანიის ნაკრები დაამარცხა 2-1, თანაც ისე, რომ თავიდან აგებდა.

მერე რა, რომ თამაში ამხანაგური იყო და დიდს არაფერს ნყვეტდა, ინგლისელებისათვის, რომლებიც ახლა გატეხილი სულის გუნდად მიიჩნევა და მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, საერთოდაც, ერთ ჩვეულებრივ ნაკრებად ითვლება, ყოველ გამარჯვებას დიდი ფასი აქვს.

მთელ შარშანდელ წელიწადს ფეხბურთის მიმომხილველთაგან ხშირად გაიგონებდით, რა გავახურეთ საქმე, ჩვეულებრივი ფეხბურთელები გვყავს, სახელი კი ისეთი გვინდა დავიგდოთ, როგორიც არაჩვეულებრივი ფეხბურთელებით სავსე გუნდებს აქვთო. ეს ასეცაა და მთლად ასეც არ არის. ინგლისს სხვა რამ მოსდგამს ფეხბურთში. ისეთი რამ, რაც სხვაგან არსად მოიძებნება. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ნაკრები ამ ქვეყნის მარადი პრობლემაა.

კოპენჰაგენის თამაშში გოლები ბენტმა და ლუკ ინგმა გაიტანეს, ფეხბურთელებმა, რომლებსაც კაპელო ადრე დიდად არ ენდობოდა. მაგრამ მთავარი კაცი ინგლისელთათვის სხვა იყო, სხვა გახლდათ სამზერი: 19 წლის ჯეკ ვილმირი, რომელიც პირველად იყო გამოძახებული ნაკრებში და ახლა ინგლისელთა სამომავლო გუნდის მთავარ იმედად აღიქმება თავდამსხმელ ენდი კეროლთან ერთად,

რომელიც დანიას ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა.

ვილმირი მართლაც უნიჭიერესი ნახევარმცველია და ბედიც მას ჰქონია, რომ სწორედ არსენ ვეგერის ხელში მოხვდა და დიდი ფეხბურთის რამეები მისგან ისწავლა.

პრემიერ-ლიგაში ორი მწვრთნელია, ვისთან მოხვედრაც ნიჭიერ კაცს უნდა

უხაროდეს: ვენგერი და სერ ალექს ფერგიუსონი. ეს ორი კაცი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ყმანვილი დიდი ფეხბურთელი გახდეს, დანარჩენი კი ყმანვილზეა. ვინ გამოუზრდიათ ამ ძველი სკოლის მწვრთნელებს, ჩამოთვლას აზრი არა აქვს. ფეხბურთელის გახსნას რომ ეძახიან, სწორედ ამის ოსტატები კი არიან.

ჰოდა, ინგლისმა მოიგო.

წლეულს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გადმწყვეტი წელია. ფაბიო კაპელოს, ძველ, სიბერეზე უარისმთქმელ მგელს სწორედ ეს წელიწადი დარჩა თავისი ინგლისური რეპუტაციის აღსადგენად. მერე კი ჩემპიონატი მოვა და თუ რამის გამოჩენა ძალუძს, იქ უნდა გამოაჩინოს. სხვანაირად მისი ოთხწლიანი ყოფნა ინგლისის ნაკრების სათავეში მხოლოდ ის იქნება, რასაც ახლა ამბობენ: ეს კაცი თითო თამაშის ხელმძღვანელობაში ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგს იღებს და რატომ, პალზ, რატომ? რა გააკეთა წინამორბედებზე უკეთესი? პირიქით, უარესი გამოუვიდა.

მაგრამ ინგლისელთა ამბავიც ამაშია, რომ ერთი მოგება, თუნდაც ამხანაგურ თამაშში, ერთი ისეთი მოგება, როგორსაც ისინი აფასებენ და წარსული და ვინწყებას მიეცემა. ისინი კი აფასებენ ღია ბრძოლაში მოგებას. ტაქტიკაზე ლაპარაკი არ უყვართ.

ჰოდა, კოპენჰაგენში ზუსტად ასე გამოვიდა.

სამწუხაროდ, ინგლისის ნაკრებს იმის უფლება აღარ აქვს, რომ ამხანაგურ თამაშებში ექსპერიმენტებს მიმართოს. საქმე აქამდეა მისული.

ჰოდა, მოიგეს.

ჰოდა, ისტორია გრძელდება.

ქამ ონ, ინგლანდი!



# მეხსივნად და ბასაბებად



კახა თოლორდავა

დენიალიზმი ბოლო დროს საკმაოდ აქტუალურ ტერმინად იქცა და, მიუხედავად მისი მოქნილობისა, ის, ძირითადად, აღნიშნავს იდეოლოგიურ პოზიციას, როდესაც ადამიანი სისტემატურად უარყოფს ემპირიულ, მისთვის არაკომფორტულ ჭეშმარიტებას. ეს ტერმინი რამდენიმე დღის წინ გამახსენდა, როდესაც სალამოხანს სახლში დაბრუნებულმა ტანსაცმელი აივანზე გაჭიმულ თოკებზე ჩამოვკიდე გასანიაველად. ეს ქმედება უკვე ჩემი ყოველდღიური რიტუალი გახდა. აივნისკენ რომ მივემართებოდი, რამდენიმეჯერ დავსუნე დღის განმავლობაში ნატარები ჩემი სამოსი და იძულებული გახდი, კიდევ ერთხელ მეღიარებინა, რომ სუნი, რომელიც ნესტოებში მირტყამდა, თ ბ ი ლ ი ს ი ს სუნი იყო... ყოველი ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი, მოტკბო-მომყავო, გაბულულ ოთახებში დაკიდებული სიგარეტის ბოლის და გაუნიავებელ კაფე-რესტორნებში, იქაური სამზარეულოებიდან გამოვარდნილი ოხშივარის სუნი, რომელიც, თუ ტანსაცმელში ჩაჯდა, ძალიან ძნელი „გასაგდები“ ხდება. ამ მხრივ, თბილისი, უმეტესწილად, ნ ე ს ტ ო ბ რ მ ა თ ა ქალაქია.

მოდი, თავი რომ არავინ იგრძნოს შეურაცხყოფილად, „ნესტობრმას“ ამ ტექსტში, უბრალოდ, „გადავახტები“ და დავტოვებ მხოლოდ ერთს, ყველაზე მთავარს, რომელიც უბრალოდ ტანსაცმელში ჩამჯდარ სუნზე მეტია და ყველაფერთან ერთად, კარგი მაგალითია ერთ-ერთი თბილისური დენიალიზმის – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ს ი გ ა რ ე ტ ი ს ბ ო ლ ი ს – აღსაწერად. პირადად მე, უკვე შვიდ წელზე მეტია, აღარ ვეწევი, მაგრამ ყველა ჩემი ახლობელი დამეთანხმდება, რომ სხვებისათვის შემანუხებელი არამწველი არასდროს ვყოფილვარ; ვგულისხმობ იმას, რომ კამპანიაში ყოფნისას, მწვევლებით გარშემორტყმულს, არც ერთხელ არ დამცდენია საყვედური, იმ დროსაც კი, როდესაც ვგრძნობ ხოლმე, რომ სუნთქვა მიჭირს. ასეთ დროს უბრალოდ ვდგები და ჰაერზე გავდივარ.

თბილისი ჯიუტად, ბრმად უარყოფს იმ ა რ ა კ ო მ ფ ო რ ტ უ ლ ფაქტს, რომ საზოგადოებრივ ადგილებში მეორად მოწვეას შეუძლია ზიანის მოტანა. სანამ გავაგრძელებდე, მინდა, აქვე გამოვრიცხო კრეტინების ისეთი შეკითხვები, როგორებიცაა – „რა, ცას გინდა გამოეკერო?“ ან „სიკვდი-



ლის გეშინია, ბრატ?“ საზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს ტექსტი არაა ანტინიკოტინური პროპაგანდა, არამედ მცდელობა – კიდევ ერთხელ შევახსენო საკუთარ თავს, რომ საერთო სივრცეში თანაარსებობა ხშირად სხვების სასარგებლოდ გარკვეული მსხვერპლის გაღებას გულისხმობს. საკმარისია, თავი შეინუხო, სულ რაღაც ნახევარი საათი დახარჯო და ზერელედ მაინც გაეცნო ინფორმაციას მეორადი მოწვევის მავნებლობის შესახებ, რომ, თუ ოდნავი თავმოყვარეობა მაინც შეგრჩენია, ამ ფაქტმა უნდა ჩაგაფიქროს. ხოლო თუ ამის შემდეგადაც ბრმად უარყოფ შემოთავაზებული ფაქტების ჭეშმარიტებას, მაშინ შენ დენიალიზმის სენით შეპყრობილი არსება ხარ.

ვიცი, რომ მაინც მოღერებული თითით საუბარი გამომდის, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მიჭირს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დაკიდებულ სიგარეტის ბოლში გახვეული ბავშვების ყურება. მათ უფროსები საათობით არ იცილებენ გვერდიდან მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ან საქმე აქვთ, ან უბრალოდ, ერთობიან. დამერწმუნებით, რომ ეს იშვიათი სანახაობა არაა თბილისში და რაკი ძალა არ შეგვწევს, შევცვალოთ ჩვენივე ქცევის პრაქტიკა, საჭიროა კ ა ნ ო ნ ი ს ძალით მოხდეს ეს ცვლილებები. თან რაც შეიძლება, სწრაფად.

მგონი, მარტივად და გასაგებად ვთქვი, არა? დენიალიზმის სენით შეპყრობილებს შეუძლიათ, ამ წამიდანვე დაიწყონ ჩემი ათვალწუნება. ■



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი  
გორი, ქარელი, საშუსრი  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**

**FM 103.0**

**FM 104.5**

**FM 101.0**

**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

